



ახალი ეკონომისტი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№3-4, თებერვალი, 2007 წელი

1591
2007


ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის, მუწარმეთა და მეცნიერთა პოლიტიკები)

ბაზასახადები, ბუღალტრული აღრიცხვა, აკაუნტი


საბანკო საქმე (ბანკირი, ბიზნესმენი, მუხანაბრე)

საპანორეგულაციო სიამაღები (სამეწარმეო სამართალი), კომპენტარები

მონარმეთა კითხვები და პროფესიონალითა პასუხები



შპს „ლოი“ გათავაზობთ:
საგამომცემლო-პოლიგრაფიულ
მომსახურებას;
ფირმების რეგისტრაციას;
ბიზნეს-კონსულტაციას;



ჩვენი რეკვიზიტებია:
თბილისი, ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: 99-05-76 / 855 277 554
ელ.ფოსტა: karchava-1@myoffice.ge
ვებ.გვერდი: www.loi.ge



ახალი ეკონომისტი

akhali EKONOMISTI

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №3-4 თებერვალი, 2007
SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE №3-4 February, 2007

მთავარი რედაქტორი:
ლოიდ ძარჩავა

Editor-in-Chief:
LOID KARCHAVA

სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი:
თემურ შენგელია

Edotor of the Scientific part:
TEMUR SHENGELIA,

სარედაქციო კოლეგია

EDITORIAL BOARD

საქ. მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტები:
ავთანდილ სილაგაძე
ლეო ჩიქავა,

Corresponding-members of Academy of Science of Georgia:

გე. მეცნ. დოქტორები, პროფესორები:
გივი გამსახურდია, სიმონ გელაშვილი, რევაზ გველსიანი, ვოლფგანგ ვენგი (ბერლინი, გერმანია), შოთა ვეშაპიძე, ნუგზარ თოდუა, მერაბ კაკულია, პარტალ კუნცი (ბრანდენბურგი, გერმანია), იაკობ მესხია, ელგუჯა მკვაბიშვილი, მირიან თუხაშვილი, ლარისა კორგანაშვილი, მიხეილ ჩიქვილაძე, გიორგი წერეთელი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, ეთერ ხარაიშვილი.

AVTANDIL SILAGADZE, LEO CHIKAVA,
Dr. Prof. of Economics:
GIVI GAMSAKHURDIA, SIMON GELASHVILI, REVAZ GVELESIANI, WOLFGANG WENG (Berlin, Garmany), SHOTA VESHAPIDZE, NUGZAR TODUA, MERAB KAKULIA, HARALD KUNZ (Brandenburg, Garmany), JAKOB MESKHIA, ELGUJA MEKVABISHVILI, MIRIAN TUKHASHVILI, LARISA KORGANASHVILI, MICHAEL CHIKVILADZE, GIORGI TSERETELI, NODAR KHADURI, ELENE KHARABADZE, ETER KHARAIHVILI.

თამაზ ვაშაკიძე (მცირე მეწარმეთა კლუბის მენეჯერი, საქართველოს მეწარმეთა კავშირის აღმასრულებელი დირექტორი), გოჩა თუბერიძე (ბიზნესის მართვის ბიუროს დირექტორი, გე. მეცნ. კანდიდატი, პროფესორი), გიორგი ისახაძე (საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი), დავით ნარმანია (საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე, გე. მეცნ. კანდიდატი, პროფესორი), ზვიად როგავა (იურისტი), ედიშერ ძარჩავა (იურისტი)

TAMAZ VASHAKIDZE (Manager of Club of Small Entrepreneurs, Executive Director of Union of Georgian Entrepreneurs), GOCHA TUTBERIDZE (Director of Business Management Bureau, Dr. Prof.), GIORGI ISAKADZE (Executive Director of Federation of Georgian Businessmen), DAVID NARMANIA (Chairman of Board of Association of Yang Economists of Georgia, Dr. Prof.), ZVIAD ROGAVA (Lawyer), EDISHER KARCHAVA (Lawyer).

მისამართი: ა. ჯორჯაძის ქ. №5
ტელ: 99-05-76
მობ: 8(55)277-554
ელ.ფოსტა: karchava-@myoffice.ge
ვებ-გვერდი: www.economisti.ge



რედაქცია შეიძლება არ იზიარებდეს ავტორის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. რედაქციასთან შეუთანხმებლად ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე სახით გამოყენება დაუშვებელია.

საქართველოს ეკონომისტი



შინაარსი

რედაქტორის გვამრდი 5

მთავარი გვამრდი (საშობაო ეპისტოლე) 6

მეცნიერება

ღავით ნარმანია, ელგუჯა ზოპრიშვილი – საქართველოს საგადასახადო სისტემა 13

ღალი ხიხამე – ბიზნესის ორგანიზაციის თავისებურებანი საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში 18

კობა სოხამე – ჩრდილოვანი ეკონომიკა, კორუფცია და კრიმინალური ეკონომიკა, როგორც ქვეყანაში ეკონომიკური წესრიგის დამკვიდრების ხელისშემშლელი ფაქტორები 25

ბორის ლაბვილავა, ლეილა ქაღაბიშვილი – ბიზნესის იდეოლოგიის მარკეტინგული ხედვის თავისებურებანი 29

შუანბი სამაღაშვილი – ბიზნესის საფუძვლების ამოსავალი ცნებები 35

ბუნებრივი ადრინცხვა

ელენე ხარაბაძე – არამატერიალური აქტივების ადრინცხვა 42

კითხვა-კასუხი

საკანონმდებლო სიასლენი 47

ბიზნესის ისტორიიდან 81

ვალუტის კურსი 89


ჩვენის ავტორები 90

ახალი ეკონომისტი

© ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2007 წ.,
© გამომცემლობა „ლო“

რედაქტორის გვერდი

ბანახლეშვილი „ახალი ეკონომისტი“



გეინდა მკითხველს ინფორმაცია მივაწოდოთ და განმარტება მიეცეთ ჟურნალის დაგვიანების შესახებ. საქმე იმაში გახლავთ, რომ ჟურნალის გამოცემაზე ორი გამომცემლობა მუშაობდა შეთანხმებისამებრ. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ეს ამხანაგობაც ვერ შედგა. ამან მცირედი შეფერხება მოგვცა ჟურნალის დროულად გამოცემაში და იძულებული გავხდით ორი ნომერი გაგვეერთიანებინა. დღეიდან ჟურნალის გამოცემის

უზრუნველყოფას საკუთარ თავზე იღებს გამომცემლობა „ლოი“ და შეეცდება გაამართლოს მკითხველისა და უპირველეს ყოვლისა ხელმომწერთა ნდობა.

ამასთან, ჟურნალი მკითხველს სთავაზობს გარკვეულ სიახლეებსაც. მაგალითად:

- თუ ადრე განზრახული იყო თვეში სამჯერ გამოცემა, პირველი მარტიდან ის თვეში ორჯერ გამოვა;

- ჟურნალის რუბრიკებს დაემატება არაერთი ახალი მიმართულება, მათ შორის „საბანკო სექსე“. ჟურნალი გააშუქებს ეკონომიკის ყველა სექტორსა და დონეს, როგორც მსოფლიო ასევე, ოჯახის ეკონომიკას;

- ჟურნალის სამეცნიერო ნაწილს უხელმძღვანელებს ბატონი თამაზ შანბალია - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის საგანმანათლებლო პროგრამის, „ბიზნესის ადმინისტრირების“ მიმართულების ხელმძღვანელი, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი.

ჩვენ უახლოეს მომავალში არა ერთ სიახლეს შევთავაზებთ მკითხველს. ასევე, შეძლებისდაგვარად გავითვალისწინებთ მკითხველის სურვილებსა და მოთხოვნებს. გმადლობთ, რომ კითხულობთ ჩვენს ჟურნალს.

ლოიდ ქარჩავა
27.02.2007

25667

საგარეო საგანმანათლებლო საქმეთა სამსახური

საქართველოს
საგარეო
საგანმანათლებლო
საქმეთა
სამსახური

„ჩვენ უნდა მოვამზადოთ ჩვენი აღბილი მსოფ-
ლიო ეკონომიკურ სივრცეში“

ილია II

უწმიდესი და უნეტარესი,
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი



საგარეო ეკონომიკა

საშობაო ეპისტოლე

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-
პატრიარქის ილია II

“შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა;

შეიყვარე მოყვასი, ვითარცა თავი თვისი” (მათე 22,37,39)

ქრისტესმიერ საყვარელნო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, პატივცემულნო ხელისუფალნო, მართლმორწმუნენო, მკვიდრნო საქართველოსა და სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, სიყვარული და სიხარული განგმრავლებოდეთ, რაძეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

აღსრულდა ყოვლადწმინდა სამების საღვთო განგება, ახდა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველება, - “ღმერთი გამოჩნდა ხორციით” (1 ტიმ. 3,16). მაცხოვარი მოვიდა წუთისოფელში, რომელიც ძალადობით, დაპირისპირებითა და ბოროტებით არის საესე. მოვიდა, რათა სრულიად გარდაექმნა იგი. თვინიერ ცოდვისა მიიღო ჩვენი დაცემული ბუნება, რომ საღვთო სიყვარულის ძალით მოეხდინა ჩვენი შინაგანი ფერისცვალება, შეიმოსა ადამიანური სხეულით, რომ მარადიული ტანჯვისაგან ეხსნა კაცთა მოდგმა.

ბეთლემში შობილი ყრმისაკენ მიმავალი გზა ხსნილია ყველასათვის. ერთნი ცოდნისა და ინტელექტის, ანუ მოგვთა, გზით მიდიან; სხვანი განსაცდელისა და მწუხარების ბილიკს მიუყვებიან, მესამენი, მწყემსთა მსგავად, თავმდაბლობითა და ლოცვით მიემართებიან. რა თქმა უნდა, არსებობს სხვა გზებიც.

საზოგადოების ნაწილი კი საპირისპირო მიმართულებით მიდის და ბნელეთისაკენ მიექანება, თუმცა ამას თავიდან თითქმის არავინ აცნობიერებს, რადგან ეშმაკი ათასგვარი საცდურით აბრუებს ადამიანებს და ცოდვის ჭაობში ღრმად ითრევს.

ჩვენს დროში მისი ქმედება უფრო დახვეწილი გახდა და სიკეთისა და ბოროტების



მთავარი გვერდი

გარჩევა კიდევ უფრო გაჭირდა. ამიტომაც აუცილებელია, კარგად გავაცნობიეროთ, რა გარემოში ვცხოვრობთ, რომელი ტენდენციებია მნიშვნელოვანი; რა არის მისაღები და რა უარსაყოფი; ქვეყნისთვისაც და ჩვენთვისაც რა არის პირველი რიგის ამოცანა, რა შექმნევა გასაკეთებელი საქმე?

ტელევიზიის, მობილური კავშირგაბმულობის, კომპიუტერისა და ინტერნეტის განვითარებამ მანძილი და დრო მკვეთრად შეამცირა. ეკონომიკა თანდათან კარგავს მხოლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და იქმნება ტრანსნაციონალური კომპანიები, რომელთაც, ძირითადად, საკუთარი მიზნები ამოძრავებთ და არა სახელმწიფო ინტერესები. მიმდინარეობს კულტურათა ასიმილაციის პროცესიც. ეს ყველაფერი მრავალსახოვანი გლობალიზაციის გამოვლინებაა.

ასეთ ვითარებაში ჩვენი ხალხი ახალი პრობლემების წინაშე დადგა. ეს არის დროის გამოწვევა. კონკრეტული ძალა არ ჩანს, მაგრამ ცრუსთაყიანობაზე დაყრდნობით, მასშედიის საშუალებებით (სერიალებით, მდარე ტელე-პროდუქციით) ხდება ზემოქმედება ჩვენი საზოგადოების, განსაკუთრებით კი მომავალი თაობის, ცნობიერებაზე, რათა მათში დაინერგოს არაეროვნული, არაქრისტიანული მსოფლმხედველობა, რაც შედეგად გამოიწვევს ჩვენი ეთნოფსიქიკის შეცვლას და ერთიანი ქართველი ერის დაშლასა და გადაგვარებას.

უნდა გავაცნობიეროთ, რომ შეტევა ხორციელდება თითოეული ადამიანის აზროვნებაზე, ამიტომაცაა ყოველი ჩვენთაგანის გული და გონება ამ ბრძოლის ასპარეზი. ესა თუ ის პიროვნება ან რჩება ქართველად, ან, თავისი შინაგანი სისუსტისა და მიმბაძველობის გამო, იცვლის ღირებულებათა სისტემას.

ეს ისეთივე მნიშვნელობის თემა, როგორც ჩვენს მამა-პაპათ გამოუვლიათ.

მოგმართათ ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, შეინარჩუნეთ ჩვენი თვითმყოფადობა, ჩვენი ტრადიციული ქრისტიანული ცხოვრების წესი. გახსოვდეთ, მთავარი ბრძოლა ბოროტთან მოგებულა. უფალი ბრძანებს: "ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევები სოფელსა" (ინ.16,33) მაშ, იბრძოდეთ, ჩვენი გმირი წინაპრების მსგავსად, რათა საკუთარ თავში და თქვენს გარშემო დაიცვათ თქვენი წილი საქართველო. დღეს ეგ თემა თქვენი დიდგორი, თქვენი ბასიანი.

უნდა იცოდეთ, რომ ქართული იდეა ორ უმთავრეს სვეტს ეყრდნობა. ესაა სულიერი ღირებულებები (რაც გულისხმობს მართლმადიდებლურ სარწმუნოებას და მის წეს-ჩვეულებებს) და ეროვნულ-კულტურული ფასეულობები, რითაც ასე მდიდარია ჩვენი ქვეყანა.

ქართულმა იდეამ რომ ხორცი შეისხას და განვითარდეს, საჭიროა გაერთიანდეს სახელმწიფოს, საზოგადოებისა და ეკლესიის ძალისხმევა.

ახლა კი შეეჩერდები იმ მიმართულებებზე, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს:

ტერიტორიული მთლიანობა მუდამ იყო ქვეყნის პრიორიტეტი. იგი დღესაც ჩვენი ხელისუფლებისა და ყოველი ჩვენგანის მთავარი საზრუნავია. თანამედროვე ეტაპზე ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ურთიერთობები და მსოფლიო თანამშრომლობაში ღირსეული ადგილის დამკვიდრება. თუმცადა, უპირველეს ამოცანად, მაინც საქართველოს ერთიანობასათვის ზრუნვა რჩება და არ არსებობს მისი სანაცვლო სხვა ღირებულება.

ქვეყნის განვითარების აუცილებელ პირობას ეკონომიკური სიძლიერე წარმოადგენს. ეს ის მთავარი საკითხია, რომელიც ჩვენმა სახელმწიფომ დროულად უნდა გადაჭრას. ამასთან, ჩვენ უნდა მოვებნოთ ჩვენი ადგილი მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში.

არაერთხელ გვითქვამს, რომ საქართველოს გააჩნია მეტად ძვირფასი ბუნებრივი რესურსი მტკნარი წყლის სახით, რომლის მნიშვნელობაც და ღირებულებაც ახლო

ახალი ეკონომიკა



მთავარი გვერდი

მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. ამიტომ, ვფიქრობთ, საყოველთაო პრივატიზაციის პროცესში, ეს ბუნებრივი რესურსი და მისი ექსპლოატაცია სახელმწიფო სექტორში იუსტილებლად უნდა დარჩეს და გამოყენებულ იქნას ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის.

ცნობილია, რომ მთელ მსოფლიოში მოთხოვნილება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე მკვეთრად გაიზარდა და დიდი მოგების მიღების მიზნით მოდიფიცირებული და გენური ინჟინერიით მიღებული პროდუქტების წარმოებზე ორიენტირებული ქვეყნების სოფლის მეურნეობა მაღალ სტანდარტებს ვეღარ აკმაყოფილებს. ჩვენ საერთაშორისო ბაზარს უნდა შევთავაზოთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი. ეს დიდ მოგებას მოუტანს ხალხს და ააღორძიებს სოფელს.

ზოგიერთმა პატარა სახელმწიფომ თავი დაიმკვიდრა მოწინავე ტექნოლოგიებისათვის. მაგ. სამხრეთ კორეამ, ისრაელმა, ფინეთმა. . . ეკონომიკის ამ დარგში სერიოზული განაცხადისათვის ჩვენს ქვეყანასაც გააჩნია ინტელექტუალური რესურსი. ქართული ფუნდამენტური მეცნიერული სკოლები აღიარებული იყო როგორც ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ასე რომ, ჩვენი მეცნიერული პოტენციალი შეიძლება პრაქტიკულად იქნას გამოყენებული, თუკი მას სათანადო პირობები შეექმნება.

სახელმწიფოში

საერთოდ, მეცნიერებასთან ერთად და განათლებას ქვეყნის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწავლის პროცესში ხდება მომავალი თაობის ფორმირება პიროვნებად. ამიტომაც სკოლა და, ზოგადად, სასწავლებელი მარტო ცოდნას კი არ უნდა აძლევდეს მოზარდს, არამედ მან უნდა აღზარდოს იგი და ჩამოაყალიბოს თავისი ქვეყნის ღირსეულ მოქალაქედ. ამ საქმეში მეტად დიდია ოჯახისა და ეკლესიის როლი. სასწავლებელი, როგორც ხალხის მიერ დაქირავებული დაწესებულება, ვალდებულია, თავისი საქმიანობა წარმართოს საზოგადოების ინტერესების შესაბამისად და რადგანაც საზოგადოება ფაქტობრივად არის ოჯახთა ერთობლიობა და ეკლესია (რომლის წევრია ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა), განათლების სისტემა უნდა შეესაბამებოდეს ეკლესიისა და ოჯახის ტრადიციულ ღირებულებებს (ვისაც სურვილი აქვს განსხვავებულ გარემოში აღზარდოს შვილები, შეუძლია ეს კერძო სასწავლებელში განახსოროცილოს). ეს არის სწორედ იმის გარანტი, რომ მომავალი თაობა ავაცილოთ თუნდაც ისეთ საშინელ სენს, როგორც არის ნარკომანია და სხვა მანიკერი გამოვლინებები.

ნარკომანია ჩვენი დიდი ტკივილია, რომელიც ერის სულიერ და დემოგრაფიულ გენოციდს იწვევს. ჩვენ არაერთხელ შევხებივართ ამ თემას და ყოველთვის აღვნიშნავდით, რომ ამ მიმართულებით პირველი რიგის ამოცანაა პრევენციული ნაბიჯების გადადგმა. ჩვენ ვვებლამ ერთად უნდა შევქმნათ ნარკოტიკის მიმართ უარყოფითი განწყობა. უნდა დავანგრეთ ცრუ სტერეოტიპი იმის შესახებ, თითქოს ნარკომანობა პრესტიჟულია.

ნარკომანობა სირცხვილია!

ნარკომანი არის ავადმყოფი, საცოდავი, ღამარი, სუსტი ადამიანი, რომელიც ეშმაკის ბაღეშია მოხვედრილი და, წამალზე მიჯაჭვულობის გამო, ხშირად ბოროტმოქმედებასაც ჩადის; შემდეგ კი ციხეში ხვდება და კიდევ უფრო იმძიმებს თავის მდგომარეობას.

მინდა, ციხეში არსებულ მდგომარეობასაც ნაწილობრივ შევხუ.

დღეს იქ მძიმე პირობებია. ცივილიზებულ ქვეყნებში ციხე გამოსწორების ადგილს წარმოადგენს. იმედია, ჩვენი პენიტენციალური სისტემაც მალე ამ სტანდარტებს დაუახლოვდება. ამისთვის კი, პირველ რიგში, უნდა გაიმიჯნოს საშინო ბოროტმოქმედი ეკონომიკური და სხვა შედარებით მსუბუქი სახის დანაშაულის ჩამდენისაგან. კარგი



მთავარი გვერდი

იქნება, თუ ასეთი პატიმრებისათვის აღდგება სასჯელის მოხდა მიმაგრების ადგილებში და ამისთვის საქართველოს მაღალმთიანი დაუსახლებელი რეგიონები გამოიყენება. ეს, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს პატიმართა გამოსწორებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას და მეორე მხრივ ამ ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკურ ათვისებასა და განვითარებას.

რაც შეეხება მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევთ, ციხეში მათთვისაც უნდა არსებობდეს ისეთი გარემო, რომ გაუნდეთ განწყობა ცხოვრების წესის შეცვლისა.

ფიქრობთ, პენიტენციალურ სისტემაში შრომის დანერგვა და სასულიერო პირის უფრო აქტიურად ჩართვა დიდ შედეგს მოიტანს, რისი გამოცდილებაც უცხოეთის ქვეყნებში კარგა ხანია აქვთ.

ცნობილია, რომ ციხის გაფლენა მის გარეთაც ვრცელდება. ზოგიერთისთვის კრიმინალური მსოფლმხედველობა ერთგვარ დადებით მოვლენასაც კი წარმოადგენს, რაც შეცდომაა. ეს არის ღვთის მცნების უარყოფელი დიდი ცოდვა. ეს არის დანაშაული მოყვასის წინაშე. წმიდა პავლე მოციქული გვასწავლის: "ნუთუ არ იცით, რომ უსამართლონი ვერ დაიმკვიდრებენ ღვთის სასუფეველს... ვერც მპარავნი, ვერც მტაცებელნი..." (I კორ.6,9,10)

სამწუხაროდ, ქუჩა, უბანი, გარემო, ზოგჯერ მავნე ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს, რაც მათში ცრუ ღირებულებების დაქვეითებით არის გამოწვეული. ახალგაზრდების ნაწილი მიმბაძველობით ან თავისი წრის ზემოქმედებით, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ იქცევა. თუმცა ბევრი მათგანი ეკლესიაში დადის (ხოლო ვინც არ დადის, რწმენის მიმართ პატივისცემა მაინც აქვს), მაგრამ ეს სათანადოდ ვერ აისახება მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე. სამეგობრობებში არსებულ ასეთ მდგომარეობაზე, მისი თითოეული წევრი არის საპსუხისმგებელი, განსაკუთრებით კი ისინი, რომელნიც ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობენ. ისინი კარგად უნდა დაფიქრდნენ თავის ცხოვრებას, რომ, ნებისთი თუ უნებლობად, ეშმაკის მსახური არ გახდნენ.

საზოგადოება ისეთია, როგორი ავტორიტეტებიც ყავს მას.

ფაქტია, რომ ღირსეული პიროვნებები ჩვენთან სათანადოდ არ არიან დაფასებულნი. მათ ნაცვლად წინ წამოწეულნი არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც მნიშვნელოვანი არაფერი აქვთ გაკეთებული (ყოველ შემთხვევაში დღეისათვის), ან ისინი, რომელნიც უგულვებელყოფენ სულიერ ღირებულებებს. ახალგაზრდები უფრო იცნობენ ტელე-შოუების გმირებს, ვიდრე თავისივე თაობის ნიჭიერ პოეტებს, მხატვრებს, კულტურის მოღვაწეთ, მეცნიერებს და, ზოგადად, ღირსეულ ადამიანებს. ეს ძირითადად მასშეღისგან მომდინარე ნაკლია და იგი უნდა გამოსწორდეს.

მიუხედავად ასეთი პრობლემებისა, პიროვნებასა და საზოგადოებას მაინც ბევრი რამის შეცვლა შეუძლიათ.

XX საუკუნის დასაწყისში, გასაბჭოების პერიოდში, როცა აქტიურად შეუტეეს ტრადიციულ ღირებულებებს, ახალგაზრდა მამულიშვილებმა, რომლებიც შემდეგ ცნობილი საზოგადო მოღვაწენი გახდნენ (პავლე ინგოროყვა, კონსტანტინე გამსახურდია, ვახუშტი კორტეტიშვილი, ალექსანდრე აბაშელი), ჩამოაყალიბეს "წოხოსანთა" საზოგადოება. ეროვნული სამოსის ტარება იყო ერთგვარი პროტესტის ფორმაც და მათი მსოფლმხედველობის დემონსტრირების საშუალებაც. შემდეგ პერიოდში ამ მაგალითს, მართალია ერთეულებმა, მაგრამ მაინც სხვებმაც მიბაძეს. დღეს ეს მოძრაობა ახალ ეტაპზე გადავიდა და საზოგადოების ფართო ფენა მოიცვა. მისასაღმებელია, როდესაც ცნობილი ადამიანები საერო და საეკლესიო დღესასწაულებზე ეროვნულ ტანსაცმელს იცვამენ (ეს კარგი ტრადიციაა ევროპის ბევრ ქვეყანაში დიდი ხანია არსებობს), სულ უფრო იზრდება ახალგაზრდების რიცხვი, რომელნიც ჩოხით იმოსებიან და ჯერისწერისასაც ამ სამოსს

ახალი მკვლევანობა



მთავარი გვერდი



იცვამენ. დღეს ჩოხოსანთა საზოგადოებას გაცილებით მეტის გაკეთება ძალუძს, ვიდრე მათ წინამორბედთ.

რა თქმა უნდა, ჩვენ მართო ეროვნული სამოსის ტარებით არ უნდა შემოვიფარგლოთ. როგორც ადვინიშნით, აუცილებელია ავადორძინით ქართველი კაცის ჩვეული ცხოვრების წესი. საჭიროა, თუნდაც ჩვენი ყოფისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის პირვანდელი სახით აღდგენა, როგორცაა ქართული სუფრა. დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ იგი ისევე, როგორც სხვა ტრადიციები, გარკვეულწილად, შეიღახა; სინამდვილეში კი მისი არსი მთლიანად ქრისტიანულია და გამორიცხავს როგორც თრობას, ისე დღეს არსებულ სხვა მანიკერ გამოვლინებებს. კარგად აღზრდილი ადამიანი არ დათვრება და ამით თავს არ დანიშნობს.

ეკლესიური ცნობიერებიდან გამომდინარე, კარგია, რომ ჩვენს სუფრაზე თანდათან მკვიდრდება სადღეგრძელოთა შინაარსი და ტრადიციული თანამიმდევრობა, რაც იწყება უფლის სადიდებლით და მთავრდება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სხენებით. ამასთან ყოველი სადღეგრძელო დალოცვაა, ღოცვის ერთგვარი სახეა. ქართული სუფრის ღრმა სულიერი ხასიათზე მიუთითებს ისიც, რომ ყოველთვის ხდება გარდაცვლილთა მოხსენიება.

ქრისტიანული სუფრა არის ადამიანთა ერთობისა და თანადგომის, ჭირისა და ღვინის გაზიარების ადგილი, სადაც უფალი მყოფობს. ამიტომაც პურობა იწყება და მთავრდება ღოცვით.

ქართული სუფრა არის ქრისტიანული სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის გამოხატვის უნიკალური ინსტიტუტი.

ყოველ ერს, ისევე როგორც ცალკეულ პიროვნებას, ღვთისაგან სხვა და სხვა მადლი და ნიჭი აქვს ბოძებული და მასზეა დამოკიდებული თუ როგორ გამოიყენებს მათ.

ქართველმა კაცმა სიყვარულის ნიჭი განავითარა.

ახალ აღთქმაში ღმერთის ყველაზე მთავარ თვისებად სწორედ სიყვარულია დასახელებული. "ღმერთი სიყვარული არს" (I იოანე 4,8).

აქვე ვკითხულობთ: სიყვარული ყოვლისმომცველია, არ ამპარტავნობს, არ ზვავობს, სულგრძელია და ტკბილი, არ მრისხანებს, ყოველივეს ითმენს, არავისი შურს, ჭეშმარიტებით ხარობს, იგი ადამიანის მთავარი მამოძრავებელი ძალაა, რომელიც უკვლავებასთან არის წილნაყარი. იმედი და რწმენა სიკვდილის შემდეგ განქარდება, ხოლო სიყვარული მარადიულად ჰგვიცხ.

პაველ მოციქული იმასაც ბრძანებს, რომ, თუ სიყვარული არა გვაქვს, ფუჭია ქველმოქმედებაც, სასწაულთმოქმედების უნარიც, მოსაგრეობაც, თვით მოწამებრივი აღსასრულიც კი, რადგან უსიყვარულოდ ყველა სიკეთე უქმი-ქმნების.

გავისენოთ სახარება: იუდამ გაცვა მაცხოვარი, პეტრემაც სამჯერ უარყო იგი. შემდეგ ერთმაც შეინანა და მეორემაც, მაგრამ იუდა წარწყმდა იმიტომ, რომ უსიყვარულო იყო ქრისტესთან გატარებული მისი ცხოვრება და აქედან გამომდინარე, უიმედო მისი სინანული; პეტრეს სინანული კი სწორედ მისი მხურვალე სიყვარულის გამო იქნა შეწყნარებული.

მიუხედავად სხვა და სხვა სირთულისა და განსაცდელისა სიყვარული ნეტარებასთან და სიხარულთან არის დაკავშირებული; და რაც უფრო დიდია სიყვარული, მით მეტია ნეტარებაც და სიხარულიც.

ყველაზე აღმატებულია ღმერთის სიყვარული.

ამ სიყვარულის დამტყენელნი არიან დიდი სულიერი მოღვაწენი, რომელნიც მძიმე მოსაგრეობის პარალელურად, ღვთაებრივ ნათელთან ღოცვითი თანაზიარებით ამ ქვეყნადვე აღწევენ უსაზღვრო ნეტარებას.

სხალი ეკონომისტი



მთავარი ბეჭედი

სამშობლოსა და ერის ჭეშმარიტად მოყვარული ადამიანებიც დიდ სიხარულს გრძნობენ, როდესაც თავის მიზანს, თუნდაც სიცოცხლის ფასად, ერთგულად ემსახურებიან.

შეიძლება ითქვას, რომ მოყვასის სიყვარული ერთგვარი პირველი საფეხურია. იოანე ღვთისმეტყველი ბრძანებს: "ვისაც არ უყვარს თავისი მძა, რომელსაც ხედავს, როგორღა შეიყვარებს ღმერთს, რომელსაც ვერ ხედავს?" (I იოანე 4,20).

ღმერთი, სამშობლო, მოყვასი- ეს არის ერთმანეთისაგან გამომდინარე იერარქია და უწყვეტი ჯაჭვი; თუ ღმერთის ადგილი სხვა რამემ, თუნდაც სამშობლომ, დაიკავა, ზემოთ აღნიშნული თანამიმდევრობა ირღვევა და პატრიოტიზმი უკვე ხელოვნურად გამოგონილ ღირებულებებს ეფუძნება, რომელთაც შეიძლება კარგი სახელიც ერქვას, მაგრამ შედეგად ვიღებთ ისეთ მანიკერ გამოვლინებებს, როგორიცაა ფაშიზმი, რასიზმი და შოენიზმი, ანდა ტრადიციული ფასეულობების სრულ უარყოფას, - კოსმოპოლიტიზმს. ამ ორ უკიდურესობას გამორიცხავს ღვთის რწმენა, რომელიც ჭეშმარიტ პატრიოტიზმს განაპირობებს.

მოციქული გვასწავლის: "ვინც ამბობს, რომ უყვარს ღმერთი, მაგრამ სძულს თავისი მძა, ცრუობს" (I იოანე 4,20). ამდენად მხოლოდ ღმერთის სიყვარული ხიბლია და თავს იტყუებს ვისაც ეს ასე გონია. ოდენ მოყვასის სიყვარული კერძოაყვანისმცემლობაში გადადის; საკუთარი თავისადმი გადაამტკბული სიყვარული კი - ეგოიზმსა და ნარცი-სიზმს შობს.

ადამიანი სიყვარულის ღვთაებრივ ნიჭს მაშინ ეხიარება, როცა ამ გრძნობას თავისი "მე"-დან მოყვასისაკენ მიმართავს. გაცილებით დიდ სიმაღლეზე კი მაშინ ადის, როდესაც მოყვასს შეიყვარებს, როგორც საკუთარ თავს; "არავის აქვს იმაზე მეტი სიყვარული, ვინც სულს დასდებს თავისი მეგობრებისთვის" (იოანე 15,13), - ბრძანებს უფალი.

მოყვასისათვის სიყვარული და თავდადება ქართული კაცის ცხოვრების უწყვეტ იქცა და ბუნებრივია მისი საახლოლოდ წრე მეტად ფართოა. იგი მოიცავს სისხლისმძივრ და ნათელმშრონობით ნათესაობას, მეჯვარეობას, მოყვრობას, მოგვარეობას, მეზობლობას, მეგობრობას და სხვა. ასეთი ურთიერთობა უნიკალურია როგორც ქრისტიანულ სამყაროში, ისე მთელ მსოფლიოში. ფაქტია, რომ ქართველ კაცს არა აქვს მოწინააღმდეგის სიძულელი, რაც ბოლო პერიოდის მოვლენებმაც დაადასტურა. მაგალითად, მძათამკვლელ ომს აუხახუთხა და სამაჩაბლოში ჩვენს ხალხს დაპირისპირებული მხარის მიმართ გაბოროტებდა არ გადაზრდილა და იგი დღესაც მზად არის კეთილმეზობლური ურთიერთობისათვის. ეს იმიტომ, რომ შენდობისა და პატიების, საკუთარი შეცდომის აღიარებისა და სხვისი მწუხარების თანაზიარების დიდი უნარი გვაქვს. ეს კარგად ხჩანს "ვეფხისტა და მოყმის" ბალადაშიც.

ტოლერანტობა ჩვენი ბუნებიდან მომდინარეობს და მისი სწავლა არასოდეს დაგვირგვბოია.

დაიწყო ახალი 2007 წელი, რასაც ოფიციალური სახელმწიფო კალენდრით თითქმის მთელი მსოფლიო აღნიშნავს. თუმცა, შეიძლება ბევრი ვერც აცნობიერებს, რომ ეს წელთაღრიცხვა მაცხოვრის დაბადებას უკავშირდება.

ღიას, 2007 წლის წინ აღსრულდა ქრისტეშობის საიდუმლო, - "ისე შეიყვარა ღმერთმა ქვეყანა, რომ მისცა ძე თვისი მხოლოდშობილი" (ინ. 3-16). დაუსაბამო იგი, დროში იშვა, ყოვლისმკვირობელმა და ყოვლისშემოქმედმა მონის სახე მიიღო, რათა მისი სიყვარულით აღვსილნი და ამაღლებულნი საღვთო წიადს კვლავ გზიარებოდით.

საერთოდ, ღვთის ყველა ქმედებას მხოლოდ სიყვარული განაპირობებს.

ადამისა და ევას სამოთხიდან გამოძევების მიზეზიც სიყვარულიდან მომდინარეობს. მათ ღმერთის ყოვლისმომცველ სიყვარულში შეეპარათ ეჭვი და რადგან შემოქმედის მცნება დაივიწყეს და ეშმაკს დაუჯერეს, ისინი თვითონვე მოაკლდნენ საღვთო სიყ-

კალენდარი



ვარულს, რაც უფალთან მათ ერთობას განაპირობებდა. დაცემულ მდგომარეობაში მყოფნი კი უკვდავების ხის ნაყოფის შეჭმით მარადიულად რომ არ წარწყმედილიყვნენ უფალმა განარიდა თავის საძოვოვლს.

მაცხოვარმა განკაცებით დედამიწაზე ის სიყვარული მოიტანა, რომლის მსგავსიც მანამდე არ იცოდა კაცობრიობამ და რომელთანაც თანაზიარებით მოგვეცა სამოთხეში დაბრუნების შესაძლებლობა. "ახალ მცნებას გაძლეეთ თქვენ, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ" (იხ. 13-34) - ოღონდ აუცილებელია, რომ მოვიპოვოთ სიწმინდე და შევიმოსოთ ჭეშმარიტი სიყვარულით, რადგან ამ თვისებების გარეშე ღმერთს ვერ მივემსგავსებით და ჩვენივე ნებით საკუთარ თავს განვაშორებთ მის მაცხოვრებელ მადლს.

სადაც მკაცრად მისი

საუკუნეთა მანძილზე საქართველო გადაარჩინა მოყვასის, ღვთის და მამულისადმი თავდადებულმა ქრისტიანულმა სიყვარულმა. რისი მაგალითიც აურაცხელია ჩვენს ისტორიაში, როგორ იქნება ჩვენი ზეალინდელი დღე დამოკიდებული იმაზე, თუ ჩვენ როგორ არჩევანს გადავკეთებთ, მივიღებთ ბოროტის მიერ შემოთავაზებულ მოჩვენებით სიყვარულისა და ცრუ ღირებულებებს თუ ცოდვასა და სიკვდილზე გამარჯვებული ღმერთის მხარეზე დავდგებით. ჩვენი ადგილი, რომ კარგად გადავცნობიეროთ, უნდა გავარჩიოთ ჩვენი მისწრაფებანი და ქმედებანი შესაბამისობაშია თუ არა უფლის სწავლებასთან.

ღმერთო ძლიერო, სიტყვაო, უწინარეს ყოველთა საუკუნეთა მამისაგან შობილო და ქალწულისაგან მარიამისა სორც მუსხმულო, მოიხილე მადლით ერსა ზედა წილხვედრსა დედისა შენისასა და ისმინე მუხლმოდრეკითი თხოვნა ესე: გვედრებით, გვისხენ ცოდვათაგან და ბოროტთა განზრახვათა ჩვენთაგან, გული განგვისპეტაკე, გონება განგვინათლე, სული განგვიწმიდე, - შეცდომილნი მოგვაქციე, სულიერნი და სორციელნი სნეულბანი ჩუენნი განკურნენ და შეგვზღუდენ საღმრთოთა შჯულითა შენითა; მოიხილე ჩვენზედა, სახიერო, და სიყვარულითა შენითა უოხტნოთა დაცემულნი კვალად აღგვადგინენ და ტაძრად სულისა წმიდისა გამოგუაჩინე, რათა ვიყოთ ჭეშმარიტი მსახურნი მოყვასისა, მამულისა და ღვთისა.

სახელისა შენისათვის, აღდეგ, უფალო, შექვენად ჩუენდა და დააყენე კუერთხი უშჯულოთა; გარეწარაქციე ყოველნი მტერნი და მაჭირებელნი ჩუენნი, რომელთა განიგდეს წილი სამკვიდრებელსა შენსა ზედა. მოიხსენე ვედრება დედისა შენისა და ყოველთა წინაპართა ჩუენთა, რომელთა იღუაწეს სახელისა შენისათვის და დასთხიეს სისხლი თვისი; მათი ღოცით ადაღვინე მამული ჩუენი - საქართველო - პირველსავე დიდებასა და დაიცვე საზღვარნი მისინი უცხოთესლთა ზედა მოსვლისაგან.

ჰე, უფალო, იხილე და მოხედე ვენახსა ამას და განამტკიცე ესე, რომელი დაასხა მარჯუენემან შენმან, რათა ჩუენცა ყოველნი, მკვიდრნი ღვთიეკურთხეული ივერიისა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებნი ქართველნი, შენს ზეციურ ნათელს და საღვთო სიყვარულს ზიარებულნი, ვგალობდეთ:

"დიდება მადალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშეიდობა და კაცთა შორის სათნობა".

თქვენთვის მლოცველი

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
ქრისტეს შობა 2007 წელი თბილისი



მეცნიერება

საქართველოს საგადასახადო სისტემა



**დავით
ნარმანიძე**
ეკონომიკურ
მეცნიერებათა
კანდიდატი,
ოსუ პროფესორი



**ელგუჯა
ხოკრიშვილი**
გერმანიის
ქ. პოტსდამის
უნივერსიტეტის
დოქტორანტი

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „ახალი ეკონომისტი“ №1, 2006წ; №1, 2, 2007წ)

ბაღასახადის გადამხდელთა და საგადასახადო ორგანიზაცია უფლებამოსილია განსაზღვროს გადასახადის გადამხდელი არის პირი, რომელსაც გააჩნია საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადის გადახდის ვალდებულება. ასეთი ვალდებულება წარმოიშობა ნებისმიერი გადასახადის დაბეგვრის ობიექტის არსებობისას.

გადასახადის გადამხდელთა უფლებები:

საგადასახადო ორგანოებისაგან მიიღოს ინფორმაცია საგადასახადო კანონმდებლობის, გადასახადის გადამხდელთა უფლებების, საგადასახადო ორგანოთა და მათი თანამდებობის პირთა უფლებამოსილებების შესახებ, აგრეთვე საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე;

პირადად ან თავისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით წარმოადგინოს საკუთარი ინტერესები საგადასახადო ორგანოებში; საგადასახადო ურთიერთობისას ნებისმიერ დროს შეცვალოს თავისი წარმომადგენელი;

ისარგებლოს საგადასახადო შეღავათებით ან გათავისუფლდეს გადასახადებისაგან საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლებითა და წესით;

1 იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლი.

დროულად დაიბრუნოს ან/და ჩაითვალოს სხვა გადასახადების ვალდებულებათა ანგარიშში ზედმეტად გადახდილი ან/და ზედმეტად ამოღებული გადასახადის ან/და სანქციის თანხა;

კანონით დადგენილი წესით გაეცნოს მის შესახებ საგადასახადო ორგანოებში არსებულ ინფორმაციას;

დაესწროს მის მიმართ ჩატარებულ გასვლით საგადასახადო შემოწმებას;

მიიღოს საგადასახადო შემოწმების აქტისა და საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების დედანი ან დამოწმებული ასლი, აგრეთვე „საგადასახადო მოთხოვნა“;

საგადასახადო ორგანოთა თანამდებობის პირებს მოსთხოვოს კანონმდებლობის დაცვა გადასახადის გადამხდელეთა ან დაკავშირებულ მოქმედებათა განხორციელებისას;

საგადასახადო ორგანოებსა და მათი თანამდებობის პირებს წარუდგინოს ახსნა-განმარტებები ჩატარებულ საგადასახადო შემოწმებათა აქტების შესახებ, აგრეთვე გადასახადების გამოანგარიშებისა და გადახდის თაობაზე;

ამ კოდექსით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას დადგენილი წესით მოითხოვოს მის მიერ ჩადენილი საგადასახადო სამართალდარღვევის შესაბამისი

ახალი ეკონომისტი



მეცნიერება



პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება, პასუხისმგებლობის შემსუბუქება ან პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება;

კანონით დადგენილი წესით გაასაწიროს მისთვის წარდგენილი "საგადასახადო მოთხოვნა", აგრეთვე საგადასახადო ორგანოთა და მათი თანამდებობის პირთა სხვა გადაწყვეტილებები და ქმედებები;

არ შეასრულოს საგადასახადო ორგანოთა და მათი თანამდებობის პირთა საგადასახადო კოდექსთან და საქართველოს სხვა კანონებთან შეუსაბამო აქტები და მოთხოვნები;

საგადასახადო ორგანოებსა და მათი თანამდებობის პირებს მოსთხოვოს საგადასახადო საიდუმლოების დაცვა;

კანონით დადგენილი წესით მოითხოვოს და მიიღოს საგადასახადო ორგანოთა და მათი თანამდებობის პირთა უკანონო გადაწყვეტილებების ან ქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

საგადასახადო ორგანოს არც ერთ შტრუქტურულ ნაწილს არა აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა გადასახადის გადასხდელისათვის/საგადასახადო აგენტი-სათვის ან სხვა ვალდებული პირისათვის, თუ იგი არ არის შედგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წერილობითი ფორმით (საგადასახადო ინსპექციის უფროსის ან უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერით და ბეჭდით) არ ჩაბარდა გადასახადის გადასხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს.

გადასახადის გამომხდელის ვალდებულებები:

შეასრულოს საგადასახადო ვალდებულებები საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით;

საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით აღრიცხვაზე დადგეს შესაბამის საგადასახადო ორგანოში;

გადასახადების გამოანგარიშებისა და გადახდის მიზნით საგადასახადო კანონმ-

დებლობით დადგენილი წესით აღრიცხოს შემოსავლები, ხარჯები და გადასახადებით დაბეგრის ობიექტები;

კანონმდებლობით დადგენილი წესით, საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს საგადასახადო დეკლარაციები, გაანგარიშებები, ცნობები და ბუღალტრული ანგარიშგება იმ გადასახადებზე, რომელთა მიმართაც იგი ითვლება გადასახადის გადასხდელად;

საგადასახადო შემოწმების ჩატარებისას ან საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში საგადასახადო ორგანოებსა და მათი თანამდებობის პირებს წარუდგინოს გადასახადების გამოანგარიშებლად და გადასახდელად საჭირო დოკუმენტები (ცნობები);

შეასრულოს საგადასახადო ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირთა კანონიერი მოთხოვნები საგადასახადო კანონმდებლობის გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრასთან დაკავშირებით, აგრეთვე ხელი არ შეუშალოს ამ თანამდებობის პირებს სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას;

განაცხადოს საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის ან გადასახადებისაგან გათავისუფლების შესახებ და საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოს ან საგადასახადო აგენტს წარუდგინოს საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები;

უსრუნველყოს იმ დოკუმენტების შენახვა, რომელთა საფუძველზედაც ხდება გადასახადებით დაბეგრის ობიექტების აღრიცხვა და საგადასახადო დეკლარაციების შედგენა, აგრეთვე შემოსავლისა და მოგების მიღების, გაწეული ხარჯებისა და გადახდილი ან/და დაკავებული გადასახადების დამადასტურებელი დოკუმენტების შენახვა წლის ვადით;

შეასრულოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი სხვა ვალდებულებები;

2. იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 41-ე მუხლი



მენიერება

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ცნობები:

1. ბანკებში და საბანკო ოპერაციების განმახორციელებელ სხვა ორგანიზაციებში საბანკო ან სხვა ანგარიშების გახსნის შესახებ, ასეთი ანგარიშების გახსნიდან 5 დღის ვადაში. ამასთან, საქართველოს საწარმოები, საქართველოს ორგანიზაციები და მეწარმე ფიზიკური პირები წარადგენენ ინფორმაციას როგორც საქართველოში, ისე საქართველოს ფარგლების გარეთ გახსნილი ანგარიშების შესახებ, ხოლო უცხოური საწარმოები და ორგანიზაციები დ მხოლოდ საქართველოში გახსნილი ანგარიშებისა და იმ ანგარიშების შესახებ, რომლებთანაც ისინი ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოში;

2. საწარმოს ქვედანაყოფების რეგისტრაციის, რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ, მათი რეგისტრაციიდან, რეორგანიზაციიდან ან ლიკვიდაციიდან 10 დღის ვადაში, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად;

3. საწარმოს გაკოტრებულად გამოცხადების, ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ, ასეთი გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად;

4. საქმიანობის ადგილის, მართვის ადგილის ან ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ადგილის შეცვლის შესახებ, ასეთი გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში, ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

საგადასახადო ორგანოების უფლებები³:

შეამოწმონ გადასახადის გადამხდელის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური დოკუმენტები, საბუღალტრო წიგნი, ანგარიში, ხარჯთაღრიცხვა,

ფინანსური სახსრები, ფასიანი ქაღალდები და სხვა ფასეულობანი, განაგარიშები, დეკლარაციები, გადასახადების განაგარიშებისა და გადახდის სხვა დოკუმენტები;

გადასახადის გადამხდელისაგან/საგადასახადო აგენტისაგან ან/და მისი წარმომადგენლისაგან მიიღონ გადასახადების გამოანგარიშებასთან და გადახდასთან დაკავშირებული დოკუმენტები აგრეთვე წერილობითი და სიტყვიერი განმარტებები საგადასახადო შემოწმების დროს წამოჭრილ საკითხებზე;

გამოიკვლიონ საწარმოთა, ორგანიზაციების და მეწარმე ფიზიკურ პირთა საწარმოო, სასაწყოო, საეჭრო და სხვა სათავსები, შექმნან საგადასახადო საგუშაგოები, ინვენტარიზაციით მოახდინონ საქონლის მარაგების აღრიცხვა, ჩაატარონ დაკვირვება ქრონომეტრაჟის ან სხვა მეთოდის გამოყენებით და განსაზღვრონ დასაბეგრი ობიექტების ოდენობა, ჩაატარონ კამერალური, გეგმური და საგადასახადო შემოწმება, უზრუნველყონ გადასახადის გადამხდელის მიერ საკონტროლო-საღარი აპარატების გამოყენების წესების დაცვის კონტროლი და მათი დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი პირების მიმართ გაატარონ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომები;

საგადასახადო ორგანოში გამოიძახონ გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი (მის ნაცვლად შეიძლება მივიდეს მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელსაც აქვს სადარიცხვო დოკუმენტაცია ან/და გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაცია)

დამოუკიდებლად განსაზღვრონ გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის საგადასახადო ვალდებულების მოცულობა საგადასახადო ორგანოში არსებული ინფორმაციით (მათ შორის, გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის დანახარჯების შესახებ) ან შედარების მეთოდით დ სხვა ამგვარი გადასახადის

3. იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 51-ე მუხლი.



მეცნიერება



გადამხდელების შესახებ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, თუ გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი არ წარადგენს საგადასახადო კონტროლის განსახორციელებლად საჭირო საადრიცხვო დოკუმენტაციას ან დადგენილი წესის დარღვევით აწარმოებს ბუღალტერიას, აგრეთვე საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

გადასახადის იმ გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიმართ, რომელმაც დაარღვია საგადასახადო კანონმდებლობა, გამოიყენონ სანქციები;

გადასახადის გადამხდელისაგან/საგადასახადო აგენტისაგან საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებით დადგენილ ვადაში ამოიღონ გადაუხდელი გადასახადი ან/და სანქციების სახით დაკისრებული თანხა;

საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე სამართალდამრღვევთა მიმართ შეადგინონ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები და მიიღონ დადგენილებები ადმინისტრაციული სახდელების დაკისრების შესახებ;

დასაბეგრო ობიექტის სრულად განსაზღვრის მიზნით განახორციელონ გადასახადის გადამხდელისაგან საქონლის/ მომსახურების საკონტროლო შესყიდვა;

გადასახადების ადმინისტრირების მიზნით მოიწვიონ სპეციალისტები ან ექსპერტები;

სამსახურებრივი მიზნებისათვის სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებისაგან უსასყიდლოდ მიიღონ მონაცემები, ცნობები, დოკუმენტები და სხვა საჭირო ინფორმაცია;

მოითხოვონ და მიიღონ საადრიცხვო დოკუმენტაციის ასლი (საჭიროების შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის მიერ დამოწმებული ასლი);

დააყენონ მრიცხველები ან/და აიღონ მათი მანევრებლები, აგრეთვე საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით დალუქონ დოკუმენტები ან სხვა მასალები;

საგადასახადო ორგანოების ვალდებულებები⁴:

დაიცვან საგადასახადო კანონმდებლობა, იმოქმედონ ამ კოდექსისა და საგადასახადო კანონმდებლობის სხვა აქტების მოთხოვნათა შესაბამისად და მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკის გატარებაში;

დაიცვან გადასახადის გადამხდელთა უფლებები და სახელმწიფოს ინტერესები;

გააკონტროლონ გადასახადების გამოანგარიშების სისწორე, სისრულე და დროულად გადახდა, ჩაატარონ საგადასახადო შემოწმებები ამ კოდექსით დადგენილი წესით და ამ შემოწმებათა ჩატარებისას გააცნონ გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებული პირს მისი უფლებები და ვალდებულებები;

უზრუნველყონ გადასახადის გადამხდელთა დროულად აღრიცხვა;

განახორციელონ დარიცხული და ბიუჯეტებში გადახდილი გადასახადების აღრიცხვა და შეადგინონ ანგარიშგება გადახდილი გადასახადების შესახებ;

გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს დაუბრუნონ დარიცხულ თანხასთან შედარებით ზედმეტად გადახდილი თანხები ამ კოდექსის შესაბამისად;

დაიცვან გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის შესახებ ინფორმაციის საიდუმლოება და ინფორმაციის შენახვის წესები ამ კოდექსის შესაბამისად;

შეიმუშაონ დეკლარაციების და გადასახადის გამოანგარიშებასთან და გადახდასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების ფორმები და უზრუნველყონ გადასახადის გადამხდელისათვის/საგადასახადო აგენტისათვის ინფორმაციის მიწოდება;

განახორციელონ საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების შესწავლა, ანალიზი და შეფასება და დასახონ

4. იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 52-ე მუხლი.

საგადასახადო კანონმდებლობა



მეცნიერება

შესაბამისი ღონისძიებები საგადასახადო სამართალდარღვევათა გამომწვევი მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად;

გამოავლინონ ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც თავს არიდებენ გადასახადის გადახდას, და აღკვეთონ საგადასახადო სამართალდარღვევები, აწარმოონ საგადასახადო სამართალდარღვევათა საქმეები და გამოიყენონ პასუხისმგებლობის ზომები ამ კოდექსით დადგენილი წესით;

აწარმოონ მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისათვის დასაშვები საკონტროლო-საღარი აპარატების მოდელების სახელმწიფო რეესტრი, განახორციელონ საკონტროლო-საღარი აპარატების რეგისტრაცია და დალუქვა, აკონტროლონ საკონტროლო-საღარი აპარატების გამოყენების წესების დაცვა;

მიიღონ საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე განცხადებები, შეტყობინებები და სხვა ინფორმაცია და კანონით დადგენილი წესით შეამოწმონ ისინი;

დადგენილი წესით განიხილონ გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის წერილები, საინფორმაციო და შეკითხვები, საჭიროების შემთხვევაში უსასყიდლოდ მიაწოდონ მას ინფორმაცია მოქმედი გადასახადების, მათი გამოარგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ, აგრეთვე გადასახადის გადამხდელის უფლებებისა და ვალდებულებების თაობაზე;

ნაატარონ განმარტებითი მუშაობა საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით, გამოსცენ მეთოდური და ინსტრუქციული მითითებები, სახელმძღვანელოები და ბროშურები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოაქვეყნონ კონსულტაციები და განმარტებები;

საგადასახადო სამართალდარღვევის გამო განახორციელონ ადმინისტრაციული წარმოება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით;

საგადასახადო კოდექსითა და საგადასახადო კანონმდებლობის სხვა აქტებით გათვალისწინებული წესითა და დადგენილ ვადებში გადასცენ (გაუგზავნონ) გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან მის წარმომადგენელს საგადასახადო შემოწმების აქტები, აგრეთვე საგადასახადო ორგანოების სხვა გადაწყვეტილებები და შეტყობინებები;

გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს და სხვა ვალდებულ პირს წარუდგინონ "საგადასახადო მოთხოვნა", ხოლო მისი შესრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით მიიღონ ზომები მისი შესრულების უზრუნველსაყოფად;

დაუყოვნებლივ დაადასტურონ გადასახადის გადამხდელის მიერ უშუალოდ გადამცემული წერილებისა და საგადასახადო აღისწინებული სხვა დოკუმენტების მიღება;

უზრუნველყონ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საწარმოების (მათი ფილიალების), საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ფონდების, კაპიტრების, მათი ფილიალების და უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალების სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია, სამეწარმეო და სახელმწიფო რეესტრების წარმოება, ამ კოდექსის შესაბამისად გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო რეგისტრაცია (რეესტრის წარმოება) და მათთვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება.

საგადასახადო ორგანო ვალდებულია გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის მოთხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა გადასცეს მას ამონაწერი მოთხოვნაში მითითებულ პერიოდში მისი საგადასახადო ვალდებულებების ცვლილებებისა და შესრულების მდგომარეობის შესახებ.

25667

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
აზრობითობა



ბიზნესის ორგანიზაციის თავისებურებანი საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში



ლალი ხისაკი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

სადაც კონკრეტული

მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში უდიდეს როლს ასრულებენ (მეწარმეები), რადგანაც ბიზნესმენი ორგანიზაციას უწევს და ახორციელებს გაბედულ, რთულ და მეტად მნიშვნელოვან პროექტებს. ბიზნესი უპირველესად ენერგიული და ინიციატივითაა აღამიანების ინტელექტუალური მოდერაიზაცია, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ ფლობენ რაიმე მატერიალურ ფასეულობას და იყენებენ იმ ბიზნესის ორგანიზაციისათვის, რომელსაც თავად მართავენ. სწორედ მეწარმეობა ასოცირდება ცნებებთან: „დინამიზმი“, „ინიციატივა“, „სიახლისადმი ორიენტაცია“, „რისკის გაწვევის პასუხისმგებლობა“, ამდენად მეწარმე, რომელიც თავის სასარგებლოდ მუშაობს, იმავდროულად მაქსიმალური სარგებლობა მოაქვს მთელი საზოგადოებისა და ქვეყნისათვის.

საბჭოთა კავშირის დროს ყველა ზემოთ აღნიშნული ცნებები – ბიზნესმენი, მეწარმე, მენეჯერი გაიგივებული იყო ისეთ სიტყვაში, როგორიცაა საქმოსანი, რაც აღამიანის არაკანონიერ მოქმედებასაც გულისხმობდა და საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გაღიზიანებას იწვევდა. საბაზრო ეკონომიკის პრინციპებმა რადიკალურად შეცვალა ასეთი დამოკიდებულება, ძლიერი ბიზნესმენები, მენეჯერები, ინვესტორები

ითვლებიან ქვეყნის სიძლიერის და ეკონომიკური განვითარების გარანტად.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ბიზნესი თანდათანობით ყალიბდება და გარკვეული პერიოდის შემდეგ იქცევა რეალურ ეკონომიკურ და სოციალურ ძალად, მაგრამ დღევანდელ ვითრებაში ის ფორმირდება პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარემოებების წინააღმდეგობრივი ზეგავლენით. გარდამავალი პერიოდის სპეციფიკური თავისებურებანი ხასიათდება იმ ასპექტით, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია ბიზნესის განვითარების ტრადიციები, გამოცდილება და კულტურა, რასაც ემატება ქვეყანაში პოლიტიკური არასტაბილურობა, წინონიკების თვითნებობა, რეკეტი და კორუფციული მექანიზმი, საკანონმდებლო ბაზისის გაურკვევლობა და არასრულყოფილება. საქართველოში ხელისუფლების კომპეტენციები და პასუხისმგებლობა ჯერ კიდევ გაუმთავრებელია. სახელმწიფო მარეგულირებელი ფუნქციებით და ბერეკტებით უნდა შეასრულოს მოუსყიდველი და დამოუკიდებელი არბიტრის როლი, არ უნდა ერეოდეს „თამაშში“, მაგრამ ქმნიდეს ბიზნესისათვის „თამაშის წესებს“ და განუხრებლად იცავდეს მას ნორმალური და ჯანსაღი ბიზნესის განვითარებისათვის.



მეცნიერება

საზოგადოების კეთილდღეობა დამოკიდებულია ბიზნესმენის კომპიუტერულ წარმატებაზე, ამდენად სახელმწიფოს უმაღლესი მიზანი და მოვალეობაა ბიზნესის ორგანიზაციის ხელშეწყობა, სტიმულირება, დაკვირვების სისტემის ამოქმედება, კანონმდებლობის მოწესრიგება, საქართველოში კი, პირიქით ცუდი წინამძღვრები არსებობს ბიზნესის განვითარებისათვის, რაც დასტურდება იმ გარემოებით, რომ საქართველოდან ახლო და შორეულ საზღვარგარეთის ქვეყნებში ათეულ ათასი ბიზნესმენი გადავიდა, რასაც ქვეყანაში საინვესტიციო კლიმატის გაუარესება მოჰყვა და ეკონომიკური კრიზისი ქვეყანაში უფრო მეტად გამწვავდა. წარმატებას მიღწეულ ბიზნესმენებშიც კი არსებობს გაურკვევლობა, რადგან მათი ორიენტაცია მიმართულია არა განვითარებისათვის, არამედ წარმოებს ბრძოლა საკუთარი ბიზნესის გადარჩენისათვის.

საქართველოში ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად, ქვეყნის წინაშე დგას მთავარი ამოცანა, ქართული ბიზნესის განვითარებისათვის ყოველმხრივი ხელშეწყობა, თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნების ბიზნესმენთა მდიდარი გამოცდილების გაზიარება, საქართველოს რეალური ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. ამ მნიშვნელოვან საქმეში საჭიროა ყველამ თავისი წვლილი შეიტანოს შეძლებისდაგვარად – ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ბიზნესმენებმა, მეცნიერებმა და სხვა პროფესიონალებმა.

ბიზნესის ორგანიზაცია – მომავლის ორგანიზაციაა, რადგანაც ბიზნესმენი ორიენტირებულია პრობლემების გადაწყვეტაზე, ახალი სარისკო იდეების მატერიალიზაციაზე. მისთვის მთავარია მოძრაობა ერთი პრობლემიდან მეორისაკენ, კონკრეტული შედეგების მიღწევა მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით. სწორედ მეწარმის მიერ თავისი იდეების განსახორციელებლად ჩამოყალიბდა ბიზნესის ორგანიზაცია, რომელიც განსაკუთრებული

თავისებურებით ხასიათდება საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში.

ფორმალურად ორგანიზებული ადმიანთა ჯგუფები, რომლებიც იქმნებიან განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ორგანიზაციებს წარმოადგენენ. ყოველ საქმიან დაწესებულებას ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა გააჩნდეს და ბიზნესის ორგანიზაციის საბაზო ფორმა ზოგადად დამკვიდრებული ალტერნატივებიდან უნდა მიიღოს. მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში ბიზნესის ორგანიზების ყველაზე გავრცელებული ფორმებია: ინდივიდუალური მეწარმეობა, ამხანაგობა და საზოგადოება.

ინდივიდუალური საწარმო ერთი პირის (ან ოჯახის) მფლობელობაში მყოფ საწარმოს წარმოადგენს. ასეთ საწარმოში დაქირავებული მუშა-მოსამსახურეებიც შეიძლება მუშაობდნენ, მაგრამ ფირმის ფინანსურ სიცოცხლისუნარიანობაზე პერსონალურად მხოლოდ ფირმის მფლობელი აგებს პასუხს.

მცირე საწარმოთა უმრავლესობა ინდივიდუალურ საწარმოს ფორმით იქმნება და ამ საწარმოთა გავრცელების სფეროებს მიეკუთვნება სცალოვაჭობა, მცირე მოცულობის სატრანსპორტო გადაზიდვები, ბენზინ გასამართი სადგურები, მომსახურების სალონები და სხვა. საქმიანი აქტივობით დაკავებულ საწარმოებს რაოდენობაში პირველი ადგილი 47.0 ათასი ერთეულით ინდივიდუალურ საწარმოებს ეკუთვნის (მათი ხვედრითი წილი 45.5% შეადგენს).

ბიზნესის განხორციელების საწყისი ორგანიზაციული ფორმები მცირე საწარმოთა საქმიანობით ხასიათდება. მცირე ბიზნესის საწარმოს განმარტებისას სხვადასხვა მიდგომა არსებობს. კერძოდ, მცირე საწარმოთა პარამეტრები განისაზღვრება – მომუშავეთა რიცხვივობით, მანქანა დანადგარების რაოდენობით, საქონლის ან მომსახურების წლიური გაყიდვების მოცულობით და ასე შემდეგ. განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მცირე ბიზნესის საწარმოების როლი

საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის



ახალი მკვლევარები

თანდათანობით იზრდება. მაგალითად ამერიკელები თვლიან, რომ ამერიკის ეკონომიკის „ხერხემალს“ მსხვილი კორკორაციები წარმოადგენენ, „კუნთების“ როლში მცირე ფირმები გვევლინებიან და მათ მოქმედებაში მოჭყავთ დიდი ბიზნესი. თანამედროვე ეტაპზე მცირე საწარმოებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საახლეუბის შექმნისა და პრაქტიკაში მათი დანერგვის საქმეში. მცირე საწარმოების როლი ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში საკმაოდ მნიშვნელოვანია და რიგი თავისებურებებით ხასიათდება:

- დამოუკიდებელი მოღვაწეობის საშუალება. მცირე ბიზნესის საწარმოების უმრავლესობაში მმართველობითი იერარქია მკაცრად არ არის დაცული, ენერჯულ და ინიციატივიან მეწარმეებს თავისუფალი მოქმედების საშუალებას აძლევს.

- მოქნილი და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა დიდი ფირმებთან შედარებით, რაც მათ საშუალებას აძლევს სწრაფად მოახდინონ ადაპტირება ბაზრის კონიუნქტურულ ცვლილებებთან.

- მცირე ბიზნესის საწარმოები ადვილად ეგუება ადგილობრივი მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებს, ისტორიულ ტრადიციებს, მათ სურვილებს და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს.

- სწრაფი მატერიალური წარმატების შესაძლებლობა.

- სამეწარმეო სულისკვეთების შენარჩუნება, მცირე საწარმოებში ყველაზე უფრო ნათლად ვლინდება ინოვაციებისადმი სწრაფვა, რისკის პასუხისმგებლობა.

- მხარდაჭერა ხელისუფლების მხრიდან. მცირე ბიზნესი ტრადიციულად მთავრობის მხრიდან გარკვეული მხარდაჭერით სარგებლობს, რასაც ნაკლები ყურადღება ექცევა საქართველოში. იმისათვის, რომ განვითარდეს ლეგალური ბიზნესი საჭიროა შედავათიანი პირობების დაწესება, სპეციალური ფონდების შექმნა, სალიზინგო, საკრედიტო, სადაზღვევო, კონსალტინგური სახის მომსახურების გაწევა.

მცირე ბიზნესის საწარმოები არსებული ალტერნატივებიდან ნებისმიერი სამართლებრივი ფორმით შეიძლება იყოს

ორგანიზებული. მაგრამ საქმიანობის მასშტაბებიდან გამომდინარე ყველაზე პოპულარული ფორმა ინდივიდუალური მეწარმეობაა.

ინდივიდუალურ საწარმოებს მრავალი უპირატესობა გააჩნია:

- საქმის დაწყების შედარებითი სიმარტივე, არ არის საჭირო წესდებისა და რთული იურიდიული დოკუმენტების შედგენა.

- სრული დამოუკიდებლობა, თავისუფლება და მოქმედების ოპერატიულობა. მფლობელი თავად შეიმუშავებს ფირმის სამოქმედო პოლიტიკას, ვინაიდან იურიდიულად მასთან არ არის დაკავშირებული, იგი შედარებით ოპერატიულად იღებს გადაწყვეტილებებს, ვიდრე ამას ამხანაგობის პარტნიორები ან კომპანიის ხელმძღვანელები გადაწყვეტენ. ინდივიდუალური მფლობელობის საწარმო განსაკუთრებით მოსახერხებელია მაღალი სამეწარმეო უნარის მქონე პირებისათვის.

- მოქმედების კონფიდენციალურობა. ბიზნესის სოფიერის სახეობისათვის მნიშვნელოვანია საწარმოო პროცესების ტექნოლოგიური საიდუმლოებანი. ასეთ შემთხვევაში ინდივიდუალური საწარმოს ფორმა გაცილებით უფრო მისაღებია კონფიდენციალობის შესანახად.

- მოქნილობა და მოტივაციის მაღალი ხარისხი. საწარმოს მფლობელს შეუძლია საქმის წარმართვა მაქსიმალური მოქნილობით, და მოქმედების მეთოდები სწრაფად შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე არსებული სიტუაციის, კონკურენციის პირობების, ეკონომიკური მდგომარეობის და სხვა ფაქტორების ცვლილებების დროს. ვინაიდან საწარმოს მთელი მოგება ერთპიროვნულ მფლობელს ეკუთვნის იგი დაინტერესებულია გულმოდგინე მუშაობით, მოზომილი გადაწყვეტილებების მიღებით და საქმიანი ოპერაციების ზრდით.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა ამავე დროს ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებს:

- დიდი კაპიტალის მოზიდვის სიძნელეები. რადგანაც ინდივიდუალური საწარმოს მფლობელის კრედიტუნარიანობის რეიტინგი დაბალია დიდი ფირმებთან შედარებით. მას ჩვეულებრივ კრედი-



მეცნიერება

ტის მისაღებად მაღალი საპროცენტო განაკვეთის გადახდა უხდება.

- მფლობელის პირადი მთლიანი პასუხისმგებლობა საწარმოს ვალდებულებებზე. წარუმატებლობის შემთხვევაში მფლობელი შეიძლება იძულებული გახდეს ვალდების გასასტუმრებლად თავისი პირადი ქონება გაყიდოს.

- მფლობელს მთლიანად ეკისრება საქმიანობაზე პასუხისმგებლობა, მართვა, მიმწოდებლებთან და მომხმარებლებთან კავშირურთიერთობა, საგადასახლო სამსახურთან ურთიერთობა და სხვა მრავალი სახის სამუშაოს შესრულება. რაც ერთი ადამიანისაგან მოითხოვს მაღალპროფესიულ და ექსპქტიან მოქმედებას.

- ინდივიდუალური მფლობელობის საწარმოს უპირატესობების და ნაკლოვანებების ანალიზს იმ მოსაზრებამდე მიყვართ, რომ ეს ორგანიზაციული ფორმა მისაღებია იმ შემთხვევაში თუ ბიზნესს არ ჭირდება დიდი მოცულობის, საწყისი კაპიტალი. ფორმა შეიძლება მართოს ერთმა პირმა თუ ამ ან ოჯახმა, ბიზნესს არ მოიცავს კავშირების რთულ და განსტოლებულ სქემას და არ საჭიროებს ხალხის დიდ რაოდენობასთან პირად კონტაქტებს.

- ინდივიდუალური მფლობელობის საწარმო განსაკუთრებით მიმზიდველია ბიზნესის საწყის ეტაპზე, როდესაც ძალზე მნიშვნელოვანია გულმოდგინე მუშაობა, საქმისადმი გაჭედებული ყურადღება, მოქნილობა, ოპერატიულობა, მაშასადამე ბიზნესის ორგანიზაციის საკუთესო საწყის ფორმად ითვლება მაგრამ თუ მეწარმე აპირებს ბიზნესის გაფართოებას უფრო მიზანშეწონილია ბიზნესის უფრო რთულ ორგანიზაციულ ფორმებზე გადასვლა.

ამხანაგობა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მიღებულ ფორმებს - სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კომანდიტურ საზოგადოებას შეესაბამება.

ინდივიდუალური მფლობელობის საწარმოსაგან განსხვავებით ამხანაგობაში შესაძლებელია მის წევრებს შორის შრომის გადანაწილება და თითოეული პარტნიორის ცოდნისა და გამოცდილების სრულფასოვნად გამოყენება. ცალკეული პარტნიორი საერთო საქმის იმ ნაწილს ასრულებს

რომელიც მას ყველაზე უკეთ ეხერხება, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს რაიმე სერიოზულ შეფერხებას ამხანაგობის საქმიანობაში.

ამხანაგობის შესახებ ხელშეკრულება სამართლებრივი დოკუმენტო მტკიცდება და მას ამხანაგობის შესახებ აქტს უწოდებენ, რომელსაც ნოტარიუსი ამტკიცებს. ამხანაგობის შესახებ ზედმიწევნით და დეტალურად შედგენილი აქტი მისი შეუფერხებელი ფუნქციონირების წინაპირობას წარმოადგენს.

ამხანაგობას რიგი უპირატესობანი გააჩნია:

- პარტნიორებს თავის რესურსების გაერთიანებით გაცილებით დიდი მოგების მიღება შეუძლიათ.

- ცალკეული პარტნიორის ცოდნა და გამოცდილება ოპტიმალურად გამოიყენება.

- პარტნიორებს ერთობლივად უფრო მეტი კაპიტალის შესება შეუძლიათ, ვიდრე თითოეულს ცალ-ცალკე.

- ამხანაგობას, როგორც ინდივიდუალურ მფლობელობას ფირმის საიდუმლოების შენახვაში უპირატესობა გააჩნია, რადგანაც ამხანაგობა არ არის ვალდებული საკუთარი ანგარიშგება გამოაქვეყნოს ან ვინმეს შესამოწმებლად წარუდგინოს.

- მოქმედების ოპერატიულობა და თავისუფლება. პარტნიორები ადვილად და სწრაფად იღებენ გადაწყვეტილებებს ზემდგომი ორგანიზაციების კონტროლის გარეშე.

ამხანაგობის ნაკლოვანებები შემდეგია:

- ყოველი პარტნიორი ფირმის ყველა ვალზე პერსონალურად აგებს პასუხს. შესაძლებელია პარტნიორებს შორის ადგილი ქონდეს უთანხმოებებს, რომლებიც შესასრულებელ სამუშაოს რაოდენობასა და ხარისხთან იყოს დაკავშირებული.

- ამხანაგობა როგორც წესი კორპორაციის სახით ორგანიზებულ ბიზნესთან შედარებით მცირე კაპიტალის დაგროვება შეუძლია.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია ჩამოყვავილობით განმარტვებული თავისებურებანი კომანდიტური

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ეროვნული სააგენტო

საზოგადოებასა და სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას შორის.

კომანდიტურ საზოგადოებაში სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებისაგან განსხვავებით ერთ ან მეტ პარტნიორს გააჩნია შეზღუდული პასუხისმგებლობა, რომელსაც კომანდიტებს ანუ “მძინარე პარტნიორებს” უწოდებენ. კომანდიტი არის ის პარტნიორი რომელიც კაპიტალს აბანდებს, მაგრამ ბიზნესის საქმიანობაში მონაწილეობას არ ღებულობს. კომანდიტურ საზოგადოებაში ყოველთვის უნდა იყოს ერთი მაინც შეუზღუდავი პასუხისმგებლობის მონაწილე (კომპლემენტარი). ფირმის კაპიტალში, რაც უფრო მეტია შეზღუდული პასუხისმგებლობით დაცული კაპიტალის წილი, მით უფრო მეტია რისკი, რომელსაც კომპლემენტარები იღებენ თავის თავზე, ვინაიდან ბიზნესის წარმატებლობის შემთხვევაში ისინი პასუხს აგებენ საკუთარი ქონებითაც და არა მარტო ბიზნესში დაბანდებული კაპიტალის მიხედვით. ამდენად კომანდიტური საზოგადოება გარდამავალ პერიოდში ბიზნესის ორგანიზაციის წარმატებულ ფორმად არ ითვლება. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში სოლიდარული პასუხისმგებლობის ფორმა იმ ბიზნესმენების ინტერესების დაცვას ემსახურება რომლებმაც ბიზნესში ფული დააბანდეს, თუმცა მის ფუნქციონირებაში აქტიურ როლს არ ასრულებენ. ამ შემთხვევაში მათი პირადი ქონება დაცულია და მხოლოდ ის წილი შეიძლება დაიკარგოს რაც ბიზნესში ინვესტირებული თანხის ტოლია.

საზოგადოებები გარდამავალ ეკონომიკის პირობებში კერძო ბიზნესის ორგანიზაციის ყველაზე პოპულარულ ფორმად ითვლება. ტერმინი “საზოგადოება” მაგიერ ჩვეუნი ფართო გავრცელება ჰპოვა მისმა ინგლისურენოვანმა სინონიმებმა “კომპანია” და “კორპორაცია”. კომპანია და კორპორაცია ერთი და იგივე ფორმას ნიშნავს, მაგრამ იგი ძირითადად ინგლისში და ინგლისურენოვან ქვეყნებში გამოიყენება, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში უფრო პოპულარულია

ტერმინი კორპორაცია. “კომპანია” გერმანულენოვან ქვეყნებში (გერმანია, ავსტრია, შვეიცარია), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და სააქციო საზოგადოებას შეესაბამება. ანალოგიური მნიშვნელობა გააჩნია “კომპანია” საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

საზოგადოებები ძირითადად ორი ტიპისაა: საჯარო ანუ ღია ტიპის საზოგადოებები, რომელთა აქციები საფონდო ბირჟაზე იყიდება და ამის გამო მათ სააქციო საზოგადოებებს უწოდებენ. კერძო ანუ დახურული ტიპის შეზღუდული ტიპის საზოგადოებები.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის ისეთი სახის, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. საზოგადოების პარტნიორი არ არის პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებებზე, მაგრამ შ.პ.ს. დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც (ს.ს.კ. მუხ.44).

საზოგადოების საწესდებო კაპიტალი უნდა შეადგენდეს სულ ცოტა ორას ლარს (.მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ.45.1).

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბიზნესის ყველაზე პოპულარული ფორმაა და საწარმოო ორგანიზაციათა რაოდენობაში 1/3 შეადგენს, მაგრამ შ.პ.ს.ს პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შეზღუდულია და ამ მხრივ მესამე პირებთან ურთიერთობაში საჭიროა დახუსტდეს საკითხები მის ლიკვიდურობასთან დაკავშირებით.

საზოგადოების დასაარსებლად მთელი რიგი ლეგალური პროცედურების ჩატარება საჭირო. ეს ძირითადად საზოგადოების რეგისტრაციის ადგილას სხვადასხვა დოკუმენტების წარდგენაში მდგომარეობს. დაშვებულია დოკუმენტების გაცნობა გარეშე პირთათვის. ყველა საზოგადოება ვალდებულია კორპორაციის შესაქმნელად ნებართვისათვის წარადგინოს საზოგადოების წესდება. წესდებაში ის წესებია მითითებული, რომლებიც საზოგადოების შიდა საქმიანობას ასახავს, სხვადასხვა

საზოგადოების კომანდიტური



ტიპის აქციების ფლობაზე, საზოგადოების მიერ მოცემული უფლებანი, აქციების გამოშვებისა გადაცემის წესები და პროცედურები. საზოგადოების კრებების განრიგი და ჩატარების პროცედურები. დირექტორების უფლებამოსილებანი და პასუხისმგებლობანი. კორპორაციაში სამუშაოდ მიღების წესები. ამ დოკუმენტების მიღების შემდეგ, საზოგადოებას საქმიანობის დაწყების ულება მიეცემა. ამ ნებართვის საფუძველზე საზოგადოება იურიდიულ პირად მტკიცდება და საზოგადოებას და არა ინდივიდუალურად აქციონერებს გარიგებების დადება და თავისი სახელით სასამართლოში საქმის აღძვრა შეუძლია. სააქციო საზოგადოებას კერძო ბიზნესის ორგანიზაციის სხვა ფორმებთან შედარებით კაპიტალის გაზრდის უფრო დიდი პერსპექტივები გააჩნია, რაც საფონდო ბირჟის მეშვეობით არის შესაძლებელი, სადაც წარმოებს აქციების კურსის საბირჟო კოტირება. ს.ს ვადადებული შემოწმებული სააღრიცხვო და სხვა დოკუმენტები ყოველწლიურად წარადგინოს სათანადო უწყებაში. სააქციო საზოგადოებებს და მსსს გარკვეული უპირატესობები გაჩნიათ ბიზნესის ორგანიზაციის სხვა ფორმებთან შედარებით. კერძოდ:

- აქციონერების შესულებული პასუხისმგებლობა;
- აქციების გამოშვების გზით კაპიტალის ზრდის სიმარტივე;
- კრედიტის აღების ფართო შესაძლებლობები;
- დიდი მასშტაბებით საქმიანობის გაფართოების შესაძლებლობები - მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დაქირავების შესაძლებლობა
- დირექტორებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა თუ ისინი დადგენილი წესების მიხედვით იმოქმედებენ;
- საზოგადოების საფირმო სახელწოდება კინონით დაცულია
- მიუხედავად ზემოთ აღნიშნული უპირატესობებისა გარდამავალ პერიოდში საზოგადოებების ფუნქციონირებაში აღსანშნავია ზოგიერთი ნაკლოვანებები:

- საზოგადოების ფორმირებისა და ფუნქციონირების ხარჯები შეიძლება მაქსიმალურად დიდი იყოს;
 - გადაწვეტილებების მიღება მეტ დროს მოითხოვს;
 - გიგანტური სააქციო საზოგადოებების ფუნქციონირება ზოგჯერ არააუმეტესიანი და არამომგებიანი ხდება;
 - საქმიანობა საჯაროდ ხორციელდება და არ არის დაცული საქმიანობის კონფიდენციალობა;
 - საზოგადოების საქმიანობა სხვადასხვა აქტების მეშვეობით მკაცრად რეგულირდება და წესების დარღვევის შემთხვევაში მკაცრის სანქციები მიიღება.
- კოოპერატივები ისტორიულად წარმოიშვა XIX საუკუნეში, რაც განაპირობა კაპიტალიზმის განვითარებამ ევროპაში. კოოპერატივის წარმოშობის ძირითადი მოტივი იყო თვით-დახმარება მეპაიავ წვერებს შორის.
- კოოპერატივი ბიზნესის ორგანიზების პრაქტიკულად ერთ-ერთ არასახელმწიფო ფორმას წარმოადგენს. 'პერესტროიკის' პერიოდში კოოპერატივებმა საკმაოდ დიდი გაქანება ჰპოვეს კერძო სექტორში ბიზნესის ორგანიზებისას, ხოლო დღეისათვის მათი როლი განსაკუთრებით სამრეწველო სექტორში საგრძნობლად შემცირდა. კოოპერატივი არის წვერთა შრომის საქმიანობაზე დაფუძნებული ან წვერთა მყურნეობის განვითარებისა და შემოსავლების გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წვერთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე.
- კოოპერატივებს მიეკუთვნება:
- ნელელულის მომპოვებელი კოოპერატივები;
 - სასოფლო-სამეურნეო და სარეწი პროდუქტების გასადების კოოპერატივები;
 - სასოფლო-სამეურნეო და საწარმოო კოოპერატივები;
 - სამომხარებლო მრავალდარგოვანი კოოპერატივები;
 - მასობრივი მოხმარების საქონლის საბითუმო წესით შემქენი და საცალო

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის განყოფილება

მეცნიერება

ვაჭრობით სარეალიზაციო კოოპერატივე-
ბი;
- სასოფლო-საკრედიტო კოოპერატივე-
ბი.

კოოპერატივები თავისი ვალდებულე-
ბების გამო კრედიტორების წინაშე პა-
სუხს აგებენ მხოლოდ თავისი ქონებით.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში
ადგილი აქვს პრივატიზაციის საწინააღმ-
დეგო პროცესს - ნაციონალიზაციას, რაც
გულისხმობს კერძო ფირმებისა და
ეკონომიკის ცალკეული დარგების სახელმ-
წიფო საკუთრებაში გადასვლას.

სახელმწიფო საწარმოების ჩამოყალიბ-
ებებს რამდენიმე მიზეზი და თავისებურე-
ბა გააჩნია:

- სახელმწიფოს მიერ კონტროლის გაწ-
ევა მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგე-
ბის მიმართ (ენერგეტიკა, სარკინიგზო
ტრანსპორტი, პორტები, აეროპორტები, მილ-
სადენები), რადგანაც სახელმწიფო მასშ-
ისმგებელი ინფრასტრუქტურის შენარ-
ჩუნებასა და კონტროლზე. დასაქმების
უზრუნველყოფისათვის სახელმწიფომ
მიზნად უნდა დაისახოს არ მხოლოდ მოგე-
ბაზე ორიენტაცია, არამედ სამუშაო ადგი-
ლების შექმნა.

- მსხვილი წარმოების უპირატესობა
და მძალეუფექტიანობა, რამდენიმე მცირე
საწარმოსთან შედარებით. სახელმწიფო
უნდა ცდილობდეს სოციალური თვალ-
საზრისით თავის წარმოებულ პროდუქ-
ციაზე უფრო მცირე ფასი დააწესოს, კერ-
ძო ფირმასთან შედარებით.

სხელმწიფო საწარმოები ორ დიდ სფ-
ეროს წარმოადგენს: მთლიანად სახელმ-
წიფოს საკუთრებაში მყოფი საწარმოები
და სააქციო საზოგადოებები, რომელთა
აქციების ძირითად ნაწილს სახელმწიფო
ფლობს და მათზე კონტროლს სახელმ-
წიფო ახორციელებს. სახელმწიფოს წი-
ლობრივი მონაწილეობით შექმნილი
საწარმოთა ორგანიზაციათა რაოდენობამ
2005 წელს 4.2 ათასი შეადგინა (5.7%).

კვლევის შედეგების საფუძველზე შეი-
ძლება აღენიშნოს, რომ ბიზნესის ორ-
განიზაციის ასეთ ფორმას მრავალი უარყ-
ოფოთი მხარე ახასიათებს: სახელმწიფოს

საწარმოებში პრაქტიკულად არ არსებობს
კონკურენცია, რის გამო საწარმო ორგა-
ნიზაციების საქმიანობა არაუფექტიანია.
დღეისათვის არ არსებობს სახელმწიფო
საწარმოთა ეფექტიანი მართვის მექანიზმი.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე
გარდამავალი პერიოდი საკმაოდ გახან-
გრძლივდა და ეკონომიკურმა რეფორმებმა
ვერ უზრუნველყო ქვეყანაში ბიზნესის
ეფექტიანად განვითარება და ბიზნეს გარე-
მოს გაუმჯობესება. ბიზნესის განვითარე-
ბისათვის რეკომენდებულია ზემოთ აღნიშ-
ნული ბიზნესის ორგანიზაციის თავისე-
ბურებების გათვალისწინება.

ახალი ეკონომისტი

გაყიდვები

ახალი ეკონომისტი

მწარმოების, ბუღალტრების,
აუდიტორების, ეკონომისტების,
საგადასახდლო ინსპექტორების,
სამხადიდო ეკონომისტი


სხელმწიფოს დირექტორები:

3 თვე	24 ლარი
6 თვე	48 ლარი
9 თვე	72 ლარი
12 თვე	96 ლარი

ჩვენი რეკვიზიტები:
თბილისი, ჯორჯიანს ქ. №5
ტელ: 99-05-76855 277-554
ელ.ფოსტა: karchava-l@myoffice.ge
ვებ-გვერდი: www.economist.ge

მეცნიერება

ჩრდილოვანი ეკონომიკა, კორუფცია და კრიმინალური ეკონომიკა, როგორც ძვეყანაში ეკონომიკური წესრიგის დამკვიდრების ხელისშემშლელი ფაქტორები



კობა სოხაძე,
ეკონომიკის დოქტორი, თბილისის
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის პროფესორი.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური წესრიგის დამყარების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსათვის, სადაც ისევე როგორც დსთ-ს სიერცის თითქმის ყველა ქვეყანაში, მეტად მტკივნეულად მიმდინარეობს ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი. აღნიშნული განპირობებულია მრავალი ფაქტორით, მათ შორის იმითაც, რომ სახელმწიფომ სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო დათმო ქვეყნის ეკონომიკის მართვის სადავეები. მიმდინარეობს საბაზრო ეკონომიკის სტიქიურად დამკვიდრების პროცესი, რომლის ანალიზის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის წინაშე მდგარი სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა.

ქვეყანაში ეკონომიკური წესრიგის დამკვიდრების პოლიტიკის შემუშავება და გატარება შეუძლებელია არსებული ჩრდილოვანი და კრიმინალური ეკონომიკისა და კორუფციის მასშტაბების გამოვლენისა და მათი ლიკვიდაციისათვის საჭირო მწყრობრი სისტემის შექმნის გარეშე.

კრიმინალური ეკონომიკისა და კორუფციისაგან განსხვავებით, რომლებიც მთლიანად უკანონო ქმედებებთანაა დაკავშირებული, ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმოშობა და არსებობა ძირითადად, ქვეყნის არასწორი ფისკალური პოლიტიკის შედეგია. ერთი შეხედვით გასაკვირია მაგრამ ფაქტია ის, რომ საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როცა სასოგადოების ყველა სფეროში გამეფებული იყო ქაოსი და განუკითხაობა, ქვეყნის ეკონომიკაში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მეტად უმნიშვნელო იყო. მხოლოდ 90-იანი წლების შუა ხანებიდან, როცა ქვეყანაში მიღებული იქნა ახალი კონსტიტუცია, დაიწყო კანონიერებისა და წესრიგის დამკვიდრება, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები და წილი ქვეყნის ეკონომიკაში გაიზარდა. აღნიშნული განპირობებული იყო ქვეყანაში ისეთი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის არსებობით, რომელთა დარღვევის გარეშე შეუძლებელი იყო სამეწარმეო საქმიანობა და ბიზნესის ნებისმიერ სფეროში წარმართვა. აღნიშნული კანონმდებლობის მიღება კი იმ “გალსტუკიანი ყაჩაღების”

საგარეო საინფორმაციო სამსახური

ლობისტური ინტერესებით იყო განპირობებული, რომლებიც აღმასრულებელი ხელისუფლებაში იყვნენ მოკალათებულნი და მათ მიერ სახელმწიფო დონეზე დაცანონებული კორუფციული გარიგებების სისტემიდან უზარმაზარ თანხებს ითვისებდნენ.

ჩდილოვანი ეკონომიკის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ მაშინაა ეფექტური, როცა სწორადაა გააზრებული მისი წარმოშობის მიზეზები და ტარდება რეალური ღონისძიებები ისეთი საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებისათვის, რომელიც ეკონომიკას ჩრდილიდან გამოიყვანს და საშუალებას მისცემს ბიზნესს იმუშაოს საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე და არ იქნება განწირული წინასწარგანზრახული კორუფციული გარეგებისათვის შექმნილ კანონმდებლობასა და იმ ჩინოვნიკებთან, რომლებიც ამ კანონმდებლობით იკვებებიან.

“ვარდების რევოლუციის” შემდეგ გაჩნდა ქვეყნაში ეკონომიკური წესრიგის დამყარების სახელმწიფო ნება. განვილიმა სამმა წელმა გვიჩვენა, რომ ეს ურთულესი პროცესებია რადგან უკავშირდება ბიუროკრატიული აპარატის ზოგიერთი შტოსათვის ჩრდილოვანი ეკონომიკიდან მიღებული კოლოსალური თანხების დაკარგვას. საგადასახადო და საბაჟო კოდექსებში შეტანილი პერმანენტური ცვლილებები გვიჩვენებს, რომ საქართველოს პრეზიდენტის ძალისხმევა, ქვეყნის ეკონომიკაში დამყარდეს წესრიგი და შეიქმნას სასურველი

გარემო საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, უზარმაზარ წინააღმდეგობებს აწყდება. საჭიროა ჩრდილოვანი ეკონომიკის წინააღმდეგ ბრძოლის უკვე აპრობირებული ისეთი პრობორტების ცხოვრებაში გატარება, როგორებიცაა:

ა) სახელმწიფო მმართველობის ეფექტიანობის ამაღლებისა და კორუფციის შეზღუდვის ღონისძიებები, რომელიც

ითვალისწინებს: ღონისძიებებს სამთავრობო დაწესებულებების სტრუქტურული რეორგანიზაციისა და ოპტიმიზაციის მიმართულებით, შრომის ანაზღაურების სისტემის სრულყოფას, კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული საკანონმდებლო აქტების სრულყოფას და გამკაცრებას, კრედიტებისა და გრანტების განაწილებისა და სახელმწიფო ქონების მართვის სფეროში რეფორმების გატარება, ამ პროცესების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

ბ) საბიუჯეტო თანხების ხარვეზის მონიტორინგის გამკაცრება და რაციონიზაცია, რაც ითვალისწინებს: საბიუჯეტო შემოსავლებისა და გასავლების სტრუქტურის ოპტიმიზაციისა და პროგრამული დაფინანსების განვითარების ღონისძიებების შემუშავებას, სახელმწიფო შესყიდვების სისტემის, განსაკუთრებით ძალიერების სტრუქტურების უწყებების, შესყიდვების სისტემის შემდგომ სრულყოფას, მისი გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შერჩევისა და დაფინანსების წესის სრულყოფას და სხვა.

გ) ეროვნული მუდრეხობის დარღვევასა და სეროების აღრიცხვიანობის მოწესრიგება, რაც ითვალისწინებს: ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების განსაზღვრის მეთოდის სრულყოფას, ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში და დარგში აღრიცხვიანობის გაუმჯობესება, საკუთრების ყველა ფორმის საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის ახალ საერთაშორისო სტანდარტებთან (“ბასს“-თან) სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა, აგრეთვე მიგრაციული პროცესების სრულყოფილი აღრიცხვის მექანიზმების შემუშავება და დანერგვა და ა.შ.

დ) ფისკალური ადმინისტრირების გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავება, რაც უმთავრესად საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობაში დამატებებისა და ცვ-

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურული ცვლილებების შესახებ



მეცნიერება

ლილეების შეტანას გულისხმობს. აღნიშნული საბაჟო და საგადასახადო რეკვიმების შემდგომი სრულყოფა, მცირე და საშუალო ბიზნესსათვის საგადასახადო დაბეგურების განაკვეთების გამარტივებისა და საგადასახადო აღმინისტრირების გამკაცრებისაკენ უნდა იქნას მიმართული. უნდა დაისახოს ღონისძიებები სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების სისტემის სრულყოფისა და კონდრახანდის წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესების მიზნით და ა.შ.

ე) ლეგალური მეწარმეობის განვითარების სტიმულირებისა და სამართლიანი კონკურენციის დამკვიდრების ხელშეწყობის ღონისძიებების გატარება, რომელიც გულისხმობს: ვაჭრობისა და მომსახურეობის ფორმებისა და წესების სრულყოფას, პროდუქციის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, ანტიმონოპოლიური სისტემის გამკაცრებას, აღურიცხავი და არასტანდარტული პროდუქციის რეალიზაციის აღრიცხვას, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შემდგომ განვითარებას, ქვეყნის საბანკო სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობის და საიმედოობის ამაღლებას და ა.შ.

ქვეყანაში ეკონომიკური წესრიგის დამკვიდრებისა და სახელმწიფო ეკონომიკური და სოციალური ფუნქციის განხორციელების მნიშვნელოვანი ბარებია კორუფცია, რომელიც შეეხო საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარეს. კორუფცია არ უნდა იქნას განხილული როგორც მხოლოდ წასული მმართველობითი სისტემის გადმონაშთი. საკითხის ასე დაყენება მცდარია და ხელს უშლის საზოგადოებასათვის ამ მეტად მავნე სენის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებისა და ფორმების შემუშავებასა და დახვეწას.

კორუფცია არ არის ერთსახიანი მოვლენა. ის საზოგადოების ყველა სფეროშია გავრცელებული და ძირითადად დაუსჯელობის სინდრომით იკვებება. აქედან გამომდინარე შეიძლება გამოყოფილი საზოგადოების მმართველობის სფეროში

გავრცელებული, შეიძლება ითქვას, ელიტარული კორუფცია და შემთხვევითი ამა თუ იმ ყოფითი სიტუაციიდან გამომდინარე კორუფცია. ჩვენი ქვეყნის უახლოეს წარსულში ფართოდ იყო გავრცელებული ე.წ. სისტემური კორუფცია, რომელმაც ძირითადად მოიცავდა აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას. ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელი ნიშანი იყო ფულის ქრთამის სახით დაუფარავი მიცემა სახელმწიფო მოხელისათვის, რომელსაც სამსახურებრივად ევალუბოდა ამ საქმის შესრულება, მაგრამ შეეძლო გაეჭიანურებინა ან საერთოდ უარი ეთქვა მის შესრულებაზე. აღნიშნული სიტუაციის ძირითადი მიზეზი იყო სამართალდამცვი ორგანიზების, სასამართლო ხელისუფლება და ქვეყნის მმართველობის უმაღლეს რგოლებთან დაახლოებული კლანების კორუფციის არნახული მასშტაბები და შრომის ანაზღაურების (ხელფასის) უადრესად დაბალი დონე. მაგალითად XXI საუკუნის დასაწყისში მინისტრის ხელფასი შეადგენდა 200 ლარს, მაშინ როცა ეს თანხა მინისტრის იმიჯის შენარჩუნებას ელემენტარულადაც ვერ აკმაყოფილებდა, მით უმეტეს ნებისმიერ მინისტრს, ნებისმიერ ეპოქაში გარს ახვევია ქრთამის მიმცემთა დაახლოებული და დასპეციალებული ამაღლა.

“ვარდების რევოლუციის” შემდგომი ეტაპი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებით ხასიათდება. მაგრამ ეს ბრძოლა ძირითადად შემთხვევითი კორუფციის წინააღმდეგაა მიმართული და წვრილმანი კორუფციონერების დაკავებით შემოიფარგლება. იქმნება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის რეალური მექანიზმები, მაგრამ ის ძირითადად მოიცავს შემთხვევითი კორუფციის და ხელშეუხებლად ტოვებს ე.წ. “ელიტარული” კორუფციის სფეროს. ამ უკანასკნელის აღმოფხვრის მიზნით მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა განათლების სფეროში. ქვეყნის განათლების სისტემის რეფორმა

ხალხი ეკონომიკაში

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ძირითადად, სწორედ “ელიტარულ” კორუფციონერებს შეეხო. დღეისათვის შეუძლებელია ქრთამით უმაღლეს სკოლაში მოწყობა და შემდეგ ნიშნების მიღება. განათლების სფეროს გამოცდილება სხვა სფეროებში, უპირველეს ყოვლისა კი შეღავათიანი კრედიტებისა და გრანტების განაწილებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების სფეროებში ე.წ. შავი ფული გათეთრების წინააღმდეგ ქმედითი, რეალური მექანიზმების შექმნით უნდა განხორციელდეს. ამ კუთხით კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ქმედითი მექანიზმად მიგანიანია გაწეული სამუშაოების შედეგების რეალური კრიტერიუმების შექმნა. მაგალითად საქართველომ ბოლო 15 წლის განმავლობაში თითქმის 2 მილიარდი დოლარის შეღავათიანი კრედიტი და გრანტი მიიღო. გამოთვალეთ მისი გამოყენების ეფექტი და ჩვენ მივიღებთ ამ სფეროში კორუფციის რეალური მაშტაბების ნათელ სურათს. ასეთი კრიტერიუმები შეიძლება შეიქმნას ყველა სფეროში, რაც კორუფციისმადას დაუკარგავს ხელისუფლების უმაღლესი ეშალონის ბევრ წინწინს.

მსოფლიოში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებში საქართველოს ჩართვის შედეგად, უცხოეთში გასასვლელი ვიზების თავისუფლად მიღების შესაძლებლობამ და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უმეტესობაში უვიზო რეჟიმების შემოღებამ, შესაძლებელი გახადა საქართველოს მოქალაქეების უცხოეთის ქვეყნებში თავისუფლად წასვლა და შესაბამისად უცხოელების საქართველოში თავისუფლად შემოსვლა. აღნიშნული ძირითადად პოზიტიური მოვლენაა, თუმცა მას თან ახლავს ნეგატიური შედეგები, რაც ძირითადად მსოფლიოში გავრცელებული კრიმინალური ქმედებების საქართველოში “იმპორტითა” განპირობებული. თუ კი გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოში კრიმინალური ეკონომიკა ძირითადად წარმოდგენილი იყო: საქონ-

ლის იატაკქვეშეთში (სახელმწიფოსაგან მალულად) საქონლის წარმოებით, შემოსავლების დამალვით, საბანკო და საკრედიტო სფეროში თაღლითობით და ა.შ. დღეისათვის წინა პლანზე წამოიწია ქართული მენტალიტეტისათვის ისე უცხო კრიმინალური ეკონომიკის ქმედებებმა, როგორებიცაა: უცხოეთში მონური შრომის (ძირითადად პროსტიტუციის) მიზნით აღმიანების გაყვანა-ტრეფინგი, ნარკოტიკების შემოტანა და ვაჭრობა, უცხოური გემებით საქართველოს საზღვაო აკვატორიაში თევზის ჭერა, პროსტიტუცია, შავი ფულის გათეთრება, ანტიმონოპოლიური საქმიანობის მასშტაბები და ა.შ.

კრიმინალური ეკონომიკის წინააღმდეგ სახელმწიფოს ქმედების ძირითადი ინსტრუმენტი კანონის უზენაესობის დაცვა და სასამართლო ხელისუფლებაში კორუფციის აღმოფხვრაა. ამასთან აუცილებელი კრიმინალური ეკონომიკის მსოფლიო მაშტაბით ისეთი აპრობილებული მექანიზმების შემოღება, როგორებიცაა: შავი ფულის გათეთრების თავიდან აცილების მიზნით სახელ-მწიფო ქონების გაყიდვის ქმედითი მექანიზმების შექმნა, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის გამკაცრება და დახვეწა, საბანკო სფეროში და ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე თაღლითობის თავიდან ასაცილებლად სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნა და ა.შ.

“მისი „ლო“ გათავაზობს:
 ფინანსების რეგისტრაციასა და
 საბუღალტრო საქმიანობასთან
 დაკავშირებულ იურიდიულ და
 ბიზნეს-კონსულტაციებს

ჩვენი რეკვიზიტები:
 თბილისი, ალექსანდრე ქ. №5
 ტელ.: 99-05-76 / 855 277-554
 ელ.ფოსტა: karchava-1@myoffice.ge
 ვებ.გვერდი: www.loi.ge



მეცნიერება

ბიზნესის იდეოლოგიის მარკეტინგული ხედვის თავისებურებანი

ბორის ლაბვილავა

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

ლეილა ქადაბიშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი

წინამდებარე სტატიის ფაბულის განსამტკიცებლად მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, სტატიის პრეამბლუაში, ძალზე მოკლედ გაგვემახვილებინა ყურადღება, თვით იდეოლოგიის პოლიტიკურ ასპექტზე. დავიწყოთ იქიდან, რომ დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ სერ უინსტონ ჩერჩილმა, პოლიტიკოსებს სამოქმედოდ დაუტოვა ფორმულა, რომელშიც, ფაქტობრივად, აკუმულირებულია სახელმწიფოს მიერ გასატარებელი პოლიტიკის ძირითადი არსი. შეკითხვაზე, თუ რომელ სახელმწიფოს მიიჩნევს სტრატეგიულ და ტრადიციულ მეგობრად, მან უპასუხა: „ჩვენ არა გვეყავს მუდმივი მეგობარი, ჩვენ გაგვანია მუდმივი ინტერესები.“

თუ ამ გამონათქვამს, მართლაცდა, აქსიომბატოკურობის რანგს მივანიჭებთ, მაშინ გამოდის, რომ სწორედ „ინტერესთა“ შესატყვისი „მეგობრების“ ძიების პრობლემა, ჩაერთვის იმ კონკრეტულ დროში გადასაწყვეტ ლოკალურ პრობლემათა ნუსხაში, რომელთა ბაზახეც უნდა იყოს უზრუნველყოფილი სახელმწიფოს მიერ სტრატეგიულ მიზნად დასახული განვითარების გეზის შეუქცევადობა. მაშასადამე, სიტუაციის დარად, ცვალებები მხოლოდ „მეგობრების“ წრეს ეხება, ნებისმიერი ფორმით გამოხატული „ინტერესი“ კი, როგორც ასეთი, მუდმივად ინარჩუნებს თავის პირვანდელ სახეს.

საინტერესოა, რომ გაცილებით უფრო ადრე, ანუ XV-XVI საუკუნეებში მოღვაწე საყოველთაოდ ცნობილმა პიროვნებამ,

როგორცია მაკიაველი (რომელსაც ჩვენ არაერთგზის მოვისხენიებთ სხვადასხვა სტატიებში), ფაქტიურად ანალოგიური სენტენცია დაუტოვა შთამომავლობას: „მიზანი ამართლებს საშუალებას“, უდავოა, რომ „მიზნის“ ქვეშ სახელმწიფოებრივი ინტერესები მოიაზრება, „საშუალებებში“ კი, ნებისმიერი ქმედება, რომელიც უკვე კონკრეტულ მიზანს (და არა პრობლემას), მაკიაველის აზრით, თავიდან აცილებინებს ლოკალურ დანიშნულებას და მას სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს. ამით კი, ადეკვატურად, მართლდება მის მიერვე რეკომენდირებული „საშუალებათა“ მიზანშეწონილობა და არა მათი მორალთან შესატყვისობა. საკითხის ასეთი გააზრებით, უკვე იკვეთება, რომ საუბარია სახელმწიფოს მართვის განამტკიცებულ ისეთ ატრიბუტზე, როგორცია იდეოლოგია. იმაგდროულად, თვით ცნება „იდეოლოგია“ ძალზე რთული ბუნების მატარებელი სუბსტანციაა, რადგანაც ის ითავსებს, როგორც უალტერნატივოდ დადგენილი შიდა სახელმწიფოებრივი მოწყობის და საგარეო პოლიტიკის წაძლიერის ნორმების და წესებს, აგრეთვე, იმ ისტორიული ფესვების მქონე მსოფლმხედველობის დანიშნულებასაც, რომელზედაც საზოგადოებრივ ეკონომიკური ფორმაციათა მონაცვლეობა ძალიანმიერ ზეგავლენას ვერ ახდენს. ამის ხელშემშლელ ფაქტორად კი, გვევლინება ის, რომ სახელმწიფო ერთეულდება ჩამოყალიბებული და იურიდიულად გაფორმებული სისტემების ასეთი დევარდობის შესანარჩუნებლად. თვით ცხოვრების მი-

საქართველოს ეკონომიკის



ერა ერთგვარი თავდაცვითი მექანიზმი გათვლისწინებული. ნათელია, რომ ამ შემთხვევაში იდეოლოგია წარმოდგება, როგორც სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის მატერიალიზებული იდეა.

მართალია, თუ მივადევნებთ თვალს კაცობრიობის მიერ განვლილ ისტორიულ გზას, შევამჩნევთ, რომ სხვადასხვა ეპოქაში და საუკუნეში, მრავალმა სახელმწიფომ დათმო იდეოლოგიურად გამყარებული და მსოფლიო რუკაზე დაფიქსირებული თავისი ადგილი. მაგრამ, რაც უფრო უმნიშვნელო-ვანესია, არა ნებაყოფლობით, „დამნაშავეებად“ გვევლინებიან მსოფლიო და მსოფლიო ის დაუძღვევლი და აშკარად ობიექტური გარემოებები, რომლებმაც აიძულეს ეს სახელმწიფოები დაჰყოლოდნენ დროის მოთხოვნას და შეგუებოდნენ გარდაქმნის ამ პროცესს. ასე, რომ ვერც „თავდაცვითი მექანიზმი“ იცავდა ბოლომდე რიც სახელმწიფოს, შეენარჩუნებინა ადრე მისთვის ფრიად მისაღები სტატუს-კეო. ეს, რაც შეეხება საკითხის პოლიტიკურ-სოციალურ ასპექტს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ეკონომიკის სფეროში კი, თუ ჩვენ საქონელმფლობელთა მონაცვლეობის პროცესს ავიღებთ ამოსავალ დებულებად, რაც უკვე სრულიად შეესიტყვება წინამდებარე სტატის თემატიკას, მაშინ, დასაბუთებულად შეიძლება ითქვას, რომ ზეისტორიული პერიოდიდან მოყოლებული დღევანდლობამდე. აღებ- მიცემითობაზე დაფუძნებულ სამეწარმო-კომერციულ საქმიანობის (შემდგომში – ბიზნესის) იდეოლოგიად მიჩნეულ სუბსტრატისა, ჟამთა უამრავმა ქართველმა ეკონომიკური კვლევა ვერ დაამჩნია. ვერც დაამჩნევდა, რადგანაც ბიზნესის იდეოლოგიური ღერძის დეფინიცია, პოლიტიკური დატვირთვის მქონე იდეოლოგიის დეფინიციისაგან განსხვავებით, ხისტ ნიშნულს ემყარება, რომლის თანახმადაც, ნებისმიერ გარემოში, ბიზნესის მასტიმულირებელ ლაბიტორტივად, განურთვლად აიღება მოვების მიღებისაკენ სწრაფვა. აქედან გამომდის, რომ „ბიზნესი“

„ადამიანებით დასახლებულ მიწელ სამყაროს ერთადერთ კონტექსტში აღიქვამს, ისე რომ არ ექცევა არავითარი ყურადღება იმ პერიპეტებს, რომლებიც რაღაც სახით „ხან იქ, ხარ აქ“ პერმანენტულად იწენენ ხოლმე თავს. ამ სამყაროს, კი ეკონომიკური ტერმინოლოგიით - საბაზრო სივრცე ეწოდება.

რაც შეეხება ბიზნესის იდეოლოგიისა და მისი კონკრეტული გამოხატულების - ბიზნესის ინტერესის დროში და სივრცეში შეპირისპირებას, აქ საქმე უფრო რთულადაა ამ სირთულე განაპირობებს ის, რომ მაკოაველი ისევე ითვზა - მიზანი (იდეოლოგიურად გამყარებული ბიზნესის სტრატეგიული მიზნის კვიტენსენცია) ამართლებს საშუალებას (რომელშიც მოიაზრება ყველა ის დასაშვები, უმეტესწილად კი, დაუშვებელი სერხები, რომლებიც ხელს უწყობენ მოვების მიღებას), საბაზრო ეკონომიკის არსიდან გამომდინარე, საფუძველშივე სცილდება ცნება „ინტერესის“ ისეთ გაგებას, რომლის მიხედვითაც, ერთის მხრივ, „ინტერესი“ დროში და სივრცეში, სრულიად უნდა შეესაბამებოდეს ბიზნესის იდეოლოგიად აღიარებულ კრედოს, მეორე მხრივ კი, ასეთი შესაბამისობა აბსოლუტურად უნდა გამოირიცხავდეს ბიზნესმენის მხრიდან „ინტერესისადმი“ სუბიექტურ-ავტორიტული მიდგომის ყოველგვარ გამოვლენას. ამგვარად, ბაზრის სივრცეში მიმდინარე პროცესების თვალთახედვით, მიზანი ამართლებს ბიზნესმენის მხრიდან ინიცირებულ მსოფლიო ისეთ ქმედებას, რომელთა მიღმადაც მოიაზრება არა მთლიანად საზოგადოება, როგორც მყიდველთა აბსტრაქტული ერთობა, არამედ ყოველი მისი ცალკეული წევრი, როგორც ინდივიდუალური ღირებულებითი ცნობიერების მატარებელი სუბიექტი. სწორედ, ამ ინდივიდისათვის მისასადაგებელი „მეგობრების წრის“ დადგენის პრობლემაქმნის სირთულე. უფრო კონკრეტული თუ ვიქნებით, საუბარია ბიზნესისათვის ნიშანდობლივ ისეთ ქმედებებზე, რომელთა შერ-



მეცნიერება

ჩვეისას ბიზნესმენმა პირადი ინტერესი (ბიზნესის იდეოლოგიის დაცვის პირობებში) უნდა დათმოს მყიდველის (შემდგომ - მომხმარებლის) ინტერესის სასარგებლოდ და სწორედ, მასზე ორიენტაციით უნდა ააგოს დასამუშავებელ დონისძიებათა სქემატ. ამრიგად, ამ სქემის კონსტრუქციაში, როგორც ამერიკის, არ უნდა გაითვალისწინებოდეს ისეთი „საშუალებები“ რომლებიც ინტერესთა ასეთ ჩანაცვლებას შეეწინააღმდეგებიან, ანდა უპირისპირდებიან. თუქცა წარსულში ეს არც გაითვალისწინებოდა და რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ინტერესთა ჩანაცვლებების ეს უფროეული პროცესი რატოედაც თვლინებით წარმართებოდა ისე, რომ ამის მიზეზის გამორკვევაზე „დიდად არც არავინ იწუხებდა თავს“.

და აი, XIX საუკუნის დასასრულისთვის, რიცე იმ პერიოდისათვის სახეითარებულ ქვეყნებად მიჩნეული სახელმწიფოები, მთოეცვა ისეთმა მთაფრმა ეკონომიკურმა კრიზისმა, რომლის ბუნება მანამდე ბიზნესის სამკაროსათვის ფრიად უცხო იყო. იმ დროინდელმა მეცნიერ-ეკონომისტებმა, არა ერთი ვრცელი და დრმა მეცნიერულ დონეზე შესრულებული გამოკვლევები მიუძღვენეს ამ კრიზისის ბუნების ახსნას (არადა, მექანიკის დონეზე, ერთი შეხედვით, ყველაფერი ნათელი იყო), მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ მოვლენებმა, რომლებიც ამ კრიზისმა წარმოშეა, ბიზნესმენები ერთგვარად დააშორიშორა იმ მომხმარებლებისაგან, რომლებიც ჯერ კიდევ „ცოტა ხნის წინ“ საკუთარ მომხმარებლებად მიიჩნეოდნენ. ბიზნესმენის მიმართ „საკუთარი“ მომხმარებელთა ასეთ გაუცხოებას, სრულიად დასაბუთებული საბაბი გააჩნდა. ამ საბაბთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ მომხმარებელმა შესაძლოა პირველ ეტაპზე ქვეცნობიერად, მაგრამ მაინც იგრძნო, რომ მას უკვე იმ ბაზრის სუბიექტის სტატუსი მიენიჭა, რომელსაც მყიდველთა ბაზარი ეწოდება. სხვათაშორის, ვთვლით, რომ გამყიდველთა

ბაზრის მყიდველთა ბაზრად გარდასახვის პროცესის დასაწყისს, მომხმარებელმა უფრო ადრე მიაქცია ყურადღება და აულო ალლო, ვიდრე თვით ბიზნესმენმა. თუქცა, ერთობ რთულია ამის ხელაღებით მტკიცება. მაგრამ, ერთი კია, ასე რომ არ ყოფილიყო, აბსტრაგირების მეთოდს თუ მოვიშველიებთ, მაშინ კრიზისის წარმოქმნის მიზეზი ცალსახად ეყვემერულ, ანუ გაუპიროვნებულ-სტოქასტიკურ ბუნებას ვერ გასცდებოდა და არ მოითხოვდა კვლევის საგნად ბაზრის ისეთი ორგანული ატრიბუტის გამოყოფას, როგორიცაა - მკაცრად გაპიროვნებული (პერსონიფიციკრებული) კონკურენტული გარემო; სწორედ, კონკურენტული გარემო წარდგა იმ პირველ პირად, რომელმაც კატეგორიულად დასვა საკითხი ცხოვრების მიერ ტრადიციად ჩამოყალიბებული ბიზნესის იდეოლოგიისადმი თანაწვეროვე ხედვის მისადაგების შესახებ, ისე რომ მოგებას არ უნდა დაეკარგა თავისი იმპერატიული დანიშნულება.

თავი, რომ დაეანებოთ მოგების არსის ისედაც საყოველთაოდ ცნობილ დეფინიციას, რომლის თანახმდაც, მარტივად რომ ვთქვათ, შემოსავლისა და დანახარჯთა სხვაობას მოგების სტატუსი ენიჭება და იმასაც, რომ მოგება, ეკონომიკური თოროისი მიხედვით, ზედმეტი ღირებულების მატარებელი სუბსტანციაა, მას (მოგებას) კიდევ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, გენეტიკური კოდის ფუნქციაც ეკისრება. კერძოდ, მოგება წარმოადგენს ინდივიდისათვის იმ სტიმულს და მოქმედებისაკენ მბიძგებელ იმპულსს, რომელიც ჩაერთვის რა აღამიანის გენეზისში, აიძულებს მას თავის მოღვაწეობა ქვეცნობიერად მიუსადაგოს იმ სარგებელს, რომელიც მის საზოგადოებრივ დანიშნულებას უფრო მკვეთრად განამტკიცებს და წარმოაჩენს. ამავე დროს, მისთვის (აღამიანისათვის) არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რა ფორმით გამოიხატება ეს სარგებელი, რადგანაც მისი წინასწარ განსაზღვრა მის მიერ არ ხდება. მიგეან-

ხალა ეკონომისტი

საქართველოს ინფორმაციული აგენტობის მიერ

ნი, რომ მოგების ამ რაკურსში აღქმა, ანუ მისთვის მორალურ-ფსიქოლოგიური კატეგორიის მიკუთვნება სრულიად შეესიტყვება მის რეალურ ცხოვრებისეულ დანიშნულებას. მართლაც, ადამიანის მიზანდასახული მოღვაწეობა, რომლითაც ის გამოირჩევა ფაუნის სხვა წარმომადგენლებისაგან, თვალნათლივ მიაჩნება იმაზე, რომ მთლიანად საზოგადოებისათვის ტერმინი „ბარიკადა“ სრულიად უცხოა, რამეთუ წარმოსახვის დონეზე, მიწიერ სამყაროში არ არსებობს ისეთი მკაცრად გამოყოფილი და მორალურ-ზნეობრივ საწყისებზე კონსტრუირებული მიჯნა, რომლის ერთ მხარეს, ამ ნიშნით განკუთმდებულად, მხოლოდ ბიზნესმენები მოიაზრებიან, თავისი ეგოისტური მისწრაფებებით, მეორე მხარეს კი, რაფინირებული მომხმარებლები, ან პესიმისტები და ოპტიმისტები, ანდა „კარგები“ და „ცუდები“ და ა.შ. თუ ვივარაუდებთ, რომ ცნობიერების დონეზე ასეთი მიჯნის არსებობა დასაშვებია, მაშინ საზოგადოება და რაც მთავარია თვით სახელმწიფო, ვერ განიხილება, როგორც ემერჯენტული იმ თვისებების მქონე სისტემა, რაც ასევე, ეწინააღმდეგება ადამიანის რაობის განამატკიცებელ ისეთ შინაგან იმანენტს, როგორიცაა მისი საზოგადოებრივი დანიშნულება.

მოდით, ყოველივე ამის მიუხედავად, წინამდებარე სტატიის ლაიტმოტივიდან გამომდინარე, მოგება მაინც ისეთი დეფინიციას დაუკავშიროთ, რომლის მიხედვითაც მას ბიზნესის შედეგიანობის შემფასებელი მნიშვნელობა ენიჭება! მაშ ასე, წარმოქმნილი რეალიებიდან გამომდინარე, ცალკე ბიზნესმენებმა და ცალკე მეცნი-

ერ-მკვლევარებმა დაიწყეს მოგების მიღების წყაროების გადაფასება და იმ საშუალებების ძიება, რომლებიც კრიზისის დაძლევის გარდა, დინამიკურად განვითარებად კონკურენტულ გარემოში, მისცემდა ბიზნესმენებს საბაზრო სივრცეში თავისი ადგილის შენარჩუნების, ან დაკავების შესაძლებლობას. სწორედ, ამ ფონზე დამუშავებულ დონისძიებათა კომპლექსს დაემკვიდრა სახელწოდება „მარკეტინგი“ და როგორც განვლილმა მრავალთაუელმა წლებმა ცხადყო, მარკეტინგი, სრულიად დამსახურებულად, ჩადგა იმ ეკონომიკურ მეცნიერებათა რიგში, რომელთა ბაზაზეც იგება ეკონომიკური განვითარების ერთიანი ქარვა.

მარკეტინგის ძირითადი კონცეფციის თანახმად, მარკეტინგი განიხილება, როგორც მომხმარებელზე და მოგებაზე ორიენტირებული ბიზნესის ინტეგრირებული ფილოსოფია, რაც სრულიად წარმოაჩენს მარკეტინგის ძირითად არსს. ამასთან ერთად იმ პრაქტიკულ გამოცდილებებს ფონზე, რომელიც საბაზრო სივრცეში განსაკუთრებით XX საუკუნის მეორე ნახევარში იყო დაგროვილი, აშკარა გახდა, რომ განსაკუთრებით ის ბიზნესმენები აღწვევენ საგრძნობ წარმატებას, რომლებიც მოგების საანგარიშო მაჩვენებელად იღებენ არა გაყიდულ საქონელს. ან მომსახურების მოცულობას,

„მის-დოთი“ ციფრული
 უწყისების რეგისტრაცია და
 სამკვარიშეთ-საქმისიბაზის
 დეკლარირებულ უწყისიბა და
 ბიზნეს-კონსულტაციებს

ჩვენს რეკონსტრუქციას
 თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქ. №5
 ტელ.: 99-05-76 / 855 277-554
 ელ.ფოსტა: karchava.f@infooffice.ge
 ვებ-გვერდი: www.loi.ge

1. მოგების ამ ჭრილში განიხილება, უდავოა, არ აცილებს მას მორალურ-ფსიქოლოგიურ დატვირთვას. მითუმეტეს, მოგების მარკეტინგული პოზიციიდან შეფასებისას, სწორედ, მისი ეს თვისება წარმოადგენს ბიზნესმენის მომხმარებელთან დაკავშირების ძირითად ქვაკუთხედს.



მეცნიერება

არამედ მომხმარებელთა იმ ოდენობას, რომელთა მოთხოვნილებაც საქონლის ან მომსახურების მიმართ მაქსიმალურად იყო გათვლისწინებული და, რა თქმა უნდა დაკმაყოფილებული.

ერთი შეხედვით, მოგებისადმი მარკეტინგის მხრიდან წამოყენებულ ასეთ მოთხოვნას სრული საფუძველი გააჩნია, მაგრამ ამ მოთხოვნის სიდრმისეულ აღქმას წლები დასჭირდა. ამას თანმდევი, რამდენიმე აშკარად გამოხატული სუბიექტური და თანაც უკვე ჩვევად ქცეული, ფაქტორი განაპირობებდა, კერძოდ:

- თუ გასაღების მოცულობის მატება, გარკვეული დისკრეტული დროის განმავლობაში, ტენდენციურ ხასიათს იძენს, ადეკვატურად, მის საფუძველზე მიღებული მხარდი მოგება ერთგვარად აღწუნებს ბიზნესმენის ყურადღებას იმ ფაქტორთა მიმართ, რომელთა მიუხეობაც ხდება გასაღების მოცულობის ზრდა. და, ამგვარად კბინდება ასეთი გამოკვლევის ნატარების მნიშვნელობა, მითუმეტეს თუ „ადრე“ დიდად ამას არც მიიჩნევდნგენ საჭიროდ.

- გასაღების მოცულობის კლებადობა კი, უკვე შესაძლებელია, ან ტენდენციურად, ანდა ტალღისებურად მიმდინარეობდეს.

თუ პირველ შემთხვევაში გასაღების შემცირების ტენდენციურობა უმოკლეს ვადაში აიძულებს ბიზნესმენს ეძიოს მისი დაძლევის გზები, ანდა დააფიქროს მაინც, მეორე შემთხვევისას, უკვე, გასაღების მოცულობის ასეთი პერმანენტული ცვალებადობა, პირველი ვარიანტის დარად, კვლავაც განაწყოებს ბიზნესმენს ლოდინის პოზიციის დაკავებისაკენ, აქედან გამომდინარე ყველა უარყოფითი შედეგით;

მაგრამ, მიუაქციოთ ყურადღება იმას, რომ ორივე ვარიანტში, მარკეტინგული მიდგომის თანახმად, გასაღების მკვეთრი მატების ან კლებადობის გამომწვევი მიზეზი, არა თვით საქონლის ავკარგეიანობის კუთხით უნდა იყოს გაანალიზებული, არამედ კვლევის სანგად იმპერატორულად უნდა განიხილებოდეს მოტივაციის ის არეალი,

რომელიც დადებითად ან უარყოფითად განაწყოებს მომხმარებელს საქონლის ან მომსახურების მიმართ. თუმცა ის, რომ ასეთი მიდგომის აუცილებლობის გააზრებას, როგორც აღინიშნა სხვადასხვა გარემოებები უშლიდნენ ხელს, ამას აქვს თავისი პრაქტიკული გამართლება. მომხმარებლის მოთხოვნილებების გამოვლენა, წინასწარ განჭვრეტა და ბიზნესში გათვალისწინება, ისეთ სპეციფიკურ მარკეტინგული კვლევა-ძიების ნატარებას და პარალელურად, ისეთი რთული ორგანიზაციული საკითხების გადაწვეტას საჭიროებს, რომ სათანადო ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების გარეშე, მათი რეალიზაციის მცდელობის შემთხვევაშიც, ფაქტიურად საგრძნობი ეფექტი ვერ მიიღება. იქნებ ხელშემშლელ ფაქტორად ესეც შეიძლება იყოს მიჩნეული.

ვერ ვიტყვით, რომ შიდა სახელმწიფო-ლებრივ ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, ანუ იმ ფონზე, რომელიც საქართველოს ეკონომიკისათვისაა სადღეისოდ დამახასიათებელი ამ მიმართულებით არაფერი არ კეთდება. ბაზარზე თავისი პოზიციის გასამყარებლად, საკმაოდ წარმატებულ მარკეტინგულ მიდგომებს ასორციელებენ ისეთი კომპანიები, როგორიცაა: „ჯეოსელი“, „მაგთი“, „კოკა-კოლა“, „ნიკორა“, „აზბეგი“, „ნაბელდავი“, „ცენტრ-პოინტი“, რიგი კომერციული ბანკები და ა.შ. თავი რომ დავანებოთ იმ ფინანსურ შესაძლებლობებს, რომელთა მარკეტინგზე გამოყოფაც ჩამოთვლილ კომპანიებს ძალუძთ, ძირითადი მიზეზი მაინც მდგომარეობს იმაში, რომ ამ კომპანიების მესვეურებს ბიზნესის იდეოლოგიის არსი, უფრო სიდრმისეულად აქვთ გათავისებებული და სტრატეგიულ ჭრილში აღქმული, ვიდრე სხვა დანარჩენ მათ კოლეგებს, მითუმეტეს ბიზნესის იმ სფეროს წარმომადგენლებს, რომლებსაც მცირე ან საშუალო ბიზნესს მიაკუთვნებენ. მართლაცდა, შედარებით იმ მცირე მოცულობის სუბმენტში, რომლის ფარგლებშიც უწევთ მცირე ან საშუალო

საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობა



ბიზნეს-ერთეულებს თავისი მოღვაწეობის განხორციელება კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად, სრულიადაც არ არის აუცილებელი მნიშვნელოვანი ოდენობის ფულადი სახსრების მობილიზება. უპირაწია, აქცენტი იყოს აღებული ისეთი ხელმისაწვდომი მარკეტინგული ხერხების მომხმარებლისათვის შეთავაზებაზე, რომლებიც მინიმალურ დანახარჯებს საჭიროებენ. ნათელია, რომ წინამდებარე სტატიის ფორმაციან გამომდინარე, ჩვენ არ გავამახვილებთ ყურადღებას იმ რეკომენდაციებზე, რომლებიც ამ საკითხს ეხება, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ პრაქტიკულად, მცირე ბიზნესის წარმომადგენლების მხრიდანაც დიდი დანატერესება ამ რეკომენდაციებთანადმი არც შეიძლება. სწორედ ამიტომაცაა რომ, და ეს სტატიისტიკურადაც დასტურდება, 2-3 წლის განმავლობაში, მცირე ბიზნესის საერთო შემადგენლობის თითქმის ნახევარზე მეტი ბაზარზე წარუმეტებლობას განიცდის. წარმოქმნილ ვაკუუმს "სხვები" ავსებენ, მაგრამ წლიდან-წლამდე, სამწუხაროდ გაკოტრებულთა ოდენობას თუ მივადევანებთ თვალს, იგივე მეორდება.

არადა, მარკეტინგული ხედვის გარეშე, მითუმეტეს XXI საუკუნეში, ბიზნესის იდეოლოგია ილუზორულ და უპერსპექტივო იდეოლოგიის რანგს ვერ გაცდება, რამეთუ, სწორედ მარკეტინგია მოწოდებული, აბსოლუტურად ყველასთვის, იმ სამაშველო რგოლის ფუნქციის შესრულებაზე, რომელიც უანგაროდ ცდილობს ბიზნესმენს ასეთი საშიშროება თავიდან ააცილებინოს.

ამრიგად, ბიზნესი და მარკეტინგი ერთობლიობაში ქმნიან ისეთ ორგანულ ტანდემს, სადაც მთავარი "მესაჯის" როლი მომხმარებელს უპირობოდ აქვს დათმობილი, მაგრამ, ეს უფლება მომხმარებელს თვით აქვს მოპოვებული და არავის უბოძება ის მისთვის ნებაყოფლობით. სწორედ, ეს უნდა მიიჩნიოს ბიზნესმენმა თავისი საქმიანობის განამტკიცებელ ქვაკუთხედად, თუ სურს წარმეტების მისაღწევად დამატებითი შანსის მოპოვება იმ ბოლომდე

შეუცნობად საბაზრო სივრცეში, სადაც „წაგებისაგან“, ასევე ბოლომდე, არავინ არ არის დახლეკული.

ბამოყმენებული ლიტერატურა:

1. ნ. ბიჭიაშვილი, ბ. ლავგილაძე, ლ. ქადაგიშვილი, საბაზრო ეკონომიკა და მარკეტინგული გამოკვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი, თბ., 2000.
2. Котлер Ф. Маркетинг Менеджмент. Санкт-Петербург, 2005.
3. Michael H., Mescon, Courtland L., Bovee, John V. Thill. Business Today, Oppper Sad-die River, New Jersey, 2003.

საბაზრო ეკონომიკა

კერხავა
საბაზრო
ეკონომიკის
აქსელტებს კონკურსს
სარეკლამო აგენტებისა და
სარეკლამო განყოფილებების
უტრისის თანამდებობაზე
ჩვენ რეკვიზიტებია:
თბილისი, ფორჯისის ქ. №5
ტელ.: 99-05-76 / 855 277-554
ელ.ფოსტა: karchava-l@myoffice.ge
ვებ.გვერდი: www.loi.ge

მეცნიერება

ბიზნესის საფუძვლების ამოსავალი ცნებები



უშანგი სამაღაშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

ყოველ დისციპლინას აქვს ცნებითი აპარატი (ინსტრუმენტარიუმი), რომლის მეშვეობითაც შეიცნობა ობიექტური სინამდვილე ანუ საკუთარი შესწავლის საგანი. ამ მხრივ, გამონაკლისი არც ბიზნესის საფუძვლებია. იხმის კითხვა - რისთვის გეჭირდება ბიზნესის ცნებების ცოდნა? როგორც ხელოსნისგან არ უნდა ველოდეთ სასურველ სამეურნეო შედეგს, როდესაც იგი შრომის იარაღებს (ინსტრუმენტებს) ინსტრუქციის შეუსაბამოდ იყენებს, ისე ბიზნესის მკვლევარისგან ნაკლებად მოსალოდნელია რაიმე სასიკეთო ცნებების (ინსტრუმენტების) უზუსტოდ გამოყენების შემთხვევაში.

ცნებითი აპარატის კარგი ცოდნა გეხმარება არა მხოლოდ ეკონომიკური სინამდვილის სწორად შეცნობაში და ბიზნესის ენაზე ზუსტად მეტყველებაში, არამედ ბიზნესის წარმატება-წარუმატებლობის მიზეზთა გამოვლენაშიც. მაგალითად, იმის გარკვევაში, ფორმის გაკოტრების მიზეზი ცუდი ბიზნეს-იდეა (მეწარმეა), თუ არა კვალიფიციური და მოუქნელი ხელმძღვანელობა (მენეჯერი).

ბიზნესის თეორიის ცნებებია: საკუთრება, აქტიური და პასიური მესაკუთრე, ბიზნესი და მეწარმეობა, მეწარმეობა და სამეწარმეო უნარი, მენეჯმენტი, მენეჯერი და

სხვა. განვიხილოთ თითოეული მათგანი დეტალურად.

საკუთრება, აქტიური და პასიური მესაკუთრე

ეკონომიკური საკუთრება საბაზრო ეკონომიკის და, მაშასადამე, მეწარმეობის საძირკველია. მის დაცვაზე უზრუნველობაზე არის დამოკიდებული მეწარმეობისა და ეკონომიკის განვითარება. იქ, სადაც კერძო საკუთრება კანონით არ არის დაცული, ანუ მოსალოდნელია მისი ხელყოფა, ნაციონალიზაცია და კონფისკაცია, ან მეწარმის დაშანტაჟება, ბიზნესი ვერ მპოვებს განვითარებას და პირიქით. ე.ი. საჭიროა სახელმწიფომ შეიმუშაოს და მკაცრად დაიცავს კანონი კერძო საკუთრების შესახებ, ხოლო კანონმა - მეწარმის საკუთრება.

ბიზნესი (მეწარმეობა) ყოველთვის გარკვეული ქონების მფლობელობასთან, სარგებლობასთან და განკარგვასთან ანუ საკუთრების უფლებასთან არის დაკავშირებული.

ქონებაზე (საწარმოზე) საკუთრების უფლების მოპოვება შესაძლებელია მისი ჩამოყალიბებით, შესყიდვით, პრივატიზებით ან სხვა სახის სამოქალაქო გარიგების

საგარეო საკუთრების



შედგება. შესაძლებელია არა მარტო ქონების, არამედ მთლიანად საქმის (ბიზნესის) მომწოდებლებით და კლიენტებითურთ შექმნა, რაც საგრძნობლად ზოგავს საწყის სარეკლამო ხარჯებს.

საკუთრება, როგორც ეკონომიკური კატეგორია, იურიდიულისგან განსხვავებით, ასახავს ეკონომიკურ აგენტებს შორის ურთიერთობებს ეკონომიკური რესურსებისა და სამომხმარებლო დოვლათის მითვისებასთან დაკავშირებით. საკუთრებაზე შემოსავალს ითვისებს მისი მესაკუთრე (დეიჯინდს ლებულობს აქციის მესაკუთრე, ხელფასს - შრომის მესაკუთრე, რენტას - მიწის მესაკუთრე), ე.ი. ჯერ კუთვნილი ეკონომიკური რესურსებიდან ლებულობენ შემოსავალს და მერე ამ შემოსავლით იძენენ სამომხმარებლო საქონელს. მაშასადამე, ეკონომიკური რესურსების მითვისება არის პირველადი, განმსაზღვრელი სამომხმარებლო დოვლათის მითვისებასთან შედარებით. სწორედ ამიტომ ნებისმიერ ქვეყანაში მოსახლეობის დაყოფა მდიდარ და ღარიბ ფენებად ხდება ეკონომიკური რესურსებისადმი მათი განსხვავებული დამოკიდებულებიდან გამომდინარე. ჩვეულებრივ, მდიდრების ქვეშ მოიაზრება არა სამომხმარებლო დოვლათის მფლობელები, არამედ ქარხნების, ფაბრიკების, ბანკების და სხვათა მესაკუთრენი.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთის ქვეყნებში მოსახლეობის 75 პროცენტი მესაკუთრეა, მეწარმე კი (ე.ი. აქტიური მესაკუთრე) - 8-10 პროცენტი. მაშასადამე, საქართველოს ესაჭიროება არა უბრალოდ პასიური მესაკუთრე, რომელიც ქონებას მომხმარებლურად იყენებს, ან შემოსავლების პასიური ფორმებით (დეიჯინდი, რენტა, სარგებელი) შემოიფარგლება, არამედ უწინარეს ყოვლისა, აქტიური (ეფექტიანი) მესაკუთრე ანუ მეწარმე, რომელიც ქონებას სამეწარმეო დანიშნულებით მოგებისთვის მოიხმარს.

საკუთრებასთან მჭიდრო კავშირშია ბიზნესი (მეწარმეობა). სწორედ ამიტომ

საინტერესოა როგორ ვითარდებოდა ისტორიულად მეწარმეობის შესახებ თეორიები და შეხედულებები.

მეწარმეობის თეორიების რეტროსპექტიული ანალიზი

მართალია, ბიზნესი, როგორც რეალური ეკონომიკური მოვლენა, საზოგადოების ისტორიის გარიჟრაჟზე წარმოიშვა, მაგრამ თვით ტერმინი „ბიზნესი“ და მისი სინონიმი „მეწარმეობა“ სამეცნიერო და სამეურნეო ბრუნვაში შემოვიდა XVIII საუკუნეში, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად. უფრო კონკრეტულად, „მეწარმეობა“ წარმოიშვა საფრანგეთში და შემდეგ გამოიყენეს გერმანიასა და ავსტრიაში, ხოლო ტერმინი „ბიზნესი“ იშვა ინგლისში და შემდეგ გავრცელდა აშშ-ში. ორივე ტერმინი აღნიშნავდა ვაჭრობას და განიხილებოდა, როგორც პირადი გამდიდრების წყარო.¹

პირველი ეკონომისტი, რომელმაც „მეწარმეობის“ ცნება შემოიტანა და სცადა ეს მოვლენა თეორიულად გაეაზრებინა, არის ფრანგი რიჩარდ კანტილიონი (1680-1734). მან თავის ნაშრომში - „გამოცდილება ზოგადად ვაჭრობის ბუნების შესახებ“ - მეწარმეობა ვაჭრობას დაუკავშირა და მიიჩნია გამდიდრების წყაროდ, ხოლო მეწარმე ვაჭართან გააიგივა.

ასევე ფრანგის, ჟან ბაპტისტ სეის (1767-1832) დასახურება მეწარმეობის კატეგორიის კვლევაში იმაში მდგომარეობს, რომ მან თავის ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი“ მეწარმის მთავარ ფუნქციად სამი ფაქტორის (შრომა, მიწა და კაპიტალი) კოორდინაცია მიიჩნია.

გერმანელი, ოჰან ტიუნენის (1778-1850) სახელთან არის დაკავშირებული მეწარმეობის განსაზღვრაში რისკის შემოტანა.

¹ გ. ვერქომაიშვილი, მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებანი საქართველოში, თბ., 2004, გვ. 9.



მეცნიერება

მეწარმეობის თანამედროვე გაგებას საფუძველი ჩაუყარა ავსტრიელმა იოზეფ შუმპეტერმა (1883-1950), რომელმაც შემოქმედებითი მეწარმე ეკონომიკის რვეოლუციონერად, ანუ განვითარების საფუძველად აღიარა.

მსოფლიო კაპიტალისტური ეკონომიკის კრიზისის (XX ს-ის 20-30-იანი წლები) შემდეგ დაიწყო მეწარმეობის, როგორც ღია სისტემის, მაკროეკონომიკურ გარემოსთან ურთიერთკავშირების კვლევა. ეს მიდგომა განსაკუთრებით რელიეფურად აისახა ინსტიტუციურ თეორიაში (ჯ. სკოტის, კ. პარტის, თ. შანიჩის და სხვათა ნაშრომებში).

ა. ხოსკინგის ნაშრომში - „მეწარმეობის ეკონომიკა“, თანამედვერულად არის გადმოცემული მეწარმეობის თეორია, გაანალიზებულია მეწარმეობის გარემო და ბიზნესის მექანიზმი. გამოკვეთილია ურთიერთობა: მეწარმე-საზოგადოება-სახელმწიფო.

ამერიკელი პიტერ დრუკერი არის მეცნიერი, რომელმაც პირველად გამოიჯნა ცნებები: მეწარმეობა და ბიზნესი. მისი აზრით, ბიზნესს და მეწარმეობას შორის განსხვავება უნდა ვეძიოთ არა საქმიანობის სფეროში (საწარმოო ბიზნესია თუ საევაჯრო) ან საქმიანობის მასშტაბებში (მცირე, საშუალო თუ მსხვილი ბიზნესი), არამედ იმაში, ეს საქმიანობა რუტინულია (შაბლონურია, ძველებური), თუ შემოქმედებითია, სიახლეების მატარებელი.

მეწარმეობის თეორიების რეტროსპექტიული ანალიზი საშუალებას გვაძლევს გადავიდეთ მისი არსის განსაზღვრაზე.

ბიზნესისა და ბიზნესმენის ცნება

ბიზნესის ცნების ზუსტად განსაზღვრისათვის აუცილებელია სწორი მეთოდოლოგიური მიდგომა. კერძოდ, სხვადასხვა სახეობის სამეურნეო საქმიანობისათვის

დამახასიათებელი არარსებითი ნიშანთვისებებისგან საჭიროა გამოიყოს არსებითი (ზოგადი) და მოხდეს მათი გვერთინება ერთ კატეგორიაში - „ბიზნესი“. ასე, მაგალითად, ბიზნესის არსებითი თვისებები: პირველი, ბიზნესი არის არა ნებისმიერი, არამედ მხოლოდ ის სამეურნეო საქმიანობა, რომელიც მიმართულია მოგების ან რაიმე ეკონომიკური სარგებლის მიღებისკენ (ვთქვათ, წარმოებული დოვლათის საჭირო სხვა დოვლათზე გაცვლა); მეორე, ბიზნესი ითვალისწინებს მოგების მიღებას საზოგადოების მოთხოვნების შესატყვისი ეკონომიკური დოვლათის (საქონელი და მომსახურება) წარმოება-რეალიზებით; მესამე, ბიზნესი არის არა მხოლოდ საქმე, არამედ ამ საქმის მონაწილე სუბიექტებს შორის საქმიანი ურთიერთობა და მათი ინტერესების რეალიზების საშუალება; და მეოთხე, ბიზნესი, უწინარეს ყოვლისა, ინვესტირებაა, რისკია მოგებისთვის. ინვესტირების ქვეშ კი მთიაზრება არა მხოლოდ ფულადი კაპიტალის, არამედ ნებისმიერი სახეობის ეკონომიკური რესურსის დაბანდება.

ჩამოთვლილი არსებითი თვისებების სინთეზირებით (გაერთიანებით) მიიღება ბიზნესის ცნების ამგვარი განსაზღვრება: ბიზნესი არის ინვესტირება, საზოგადოების მოთხოვნის შესატყვისი საქონლისა და მომსახურების წარმოების ორგანიზება მოგების მიღების მიზნით

ბიზნესს (მეწარმეობას) გააჩნია ორი მხარე: სასიამოვნო და არასასიამოვნო. სასიამოვნოა ის, რომ იგი იძლევა მოგების (შემოსავლის) მიღების შესაძლებლობას. არასასიამოვნო კი ის არის, რომ დამოუკიდებლად მიღებულ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობა თავად მეწარმეს ეკისრება. სწორედ ამიტომ არის საშიშროება არა მარტო იმისა, რომ მეწარმე გამოჩნდეს ვერ ნახავს, არამედ იმისაც, რომ შესაძლოა ისიც კი დაკარგოს, რაც მას გააჩნია.

ახალი მეცნიერება

ის, ვინც ბიზნესს (მეწარმეობას) ეწევა, არის საქმიანი ადამიანი, ანუ ბიზნესმენი (მეწარმე). ბიზნესმენის როლში შეიძლება მოგვევლინოს როგორც ერთი მოქალაქე (ოჯახი), ისე მოქალაქეთა გაერთიანება და სახელმწიფო, როცა თავის სახსრებს ბიზნესში აბანდებს. თუმცა, საბაზრო ეკონომიკის ზოგადი კანონზომიერებებიდან გამომდინარე, სახელმწიფო როგორც ასეთი, რომელიც ადგენს ბიზნესის (თამაშის) ორგანიზების წესებს და აკონტროლებს მათ დაცვას, მეწარმეობის სუბიექტად ვერ გამოდგება.

მეწარმე შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი, კანონით აუკრძალავი სამეურნეო საქმიანობა: დაქირავებული შრომის გამოყენებით ან გამოუყენებლად; იურიდიული პირის შექმნით ან ფიზიკური პირის სტატუსით; დაიქირაოს და დაითხოვოს მუშაკები სახელშეკრულებო პირობებით; დამოუკიდებლად დააწესოს დაქირავებული პირების შრომის ანაზღაურება და სხვა შემოსავლების ფორმები; ყველა აუცილებელი გადასახადების გადახდის შემდეგ თავისუფლად განაგოს მოგება და სხვა.

ბიზნესისა და მეწარმეობის ცნებები და მათი მიმართება

ჩატარებული თეორიული ანალიზი შესაძლებლობას იძლევა კიდევ უფრო ნათლად გამოვკვეთოთ ბიზნესის და მეწარმეობის ცნებების არსი და მოვახდინოთ მათი გამიჯვნა (ამასთან, შეგნიშნავთ, რომ ამგვარი გამიჯვნა ხდება მხოლოდ თეორიულ დონეზე, რამეთუ ამის გაკეთება პრაქტიკაში თითქმის შეუძლებელია. თუნდაც სტატისტიკური აღრიცხვის მონაცემებისა უკონტროლის გამო). კერძოდ:

1) მეწარმეობა ინიციატივიანი, შემოქმედებითი საქმიანობაა, რომელიც მიმართულია ახალი საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და რეალიზაციისაკენ ან უკვე არსებულის არსებითი გაუმჯობესებისაკენ. ი. შუმპეტერის

აზრით, „იყო მეწარმე, ნიშნავს აკეთო არა ის, რასაც სხვები აკეთებენ... და არა ისე, როგორც სხვები აკეთებენ“. იგივე ავტორის შეხედულებით: „მეწარმე არის შემოქმედი მგრეველი, რომელიც ამსხვრევს არსებულ ძველ წესებს, მაგრამ, ამავდროულად, ქმნის ახალს“. იგი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, სრულყოფს ეკონომიკას და ამით ეკონომიკას საზოგადოებისაკენ შემოატრიალებს. მაშასადამე, მეწარმეობის ცნება ასოცირდება ახალი პროდუქციის, ახალი ტექნოლოგიის, ბიზნესის ორგანიზების ახალი ფორმების და მეთოდების და ახალი ბაზრების შექმნასთან, ე.ი. მეწარმეობა ინოვაციური, შემოქმედებითი საქმიანობაა. სწორედ ამით განსხვავდება იგი ჩვეულებრივი ბიზნესისაგან, რომლის ქვეშაც მოიაზრება მოგების მიღების მიზნით რუტინული, ერთგვარი საქმიანობა. მაგალითად, პიროვნების მიერ მარჯანიშვილის მოედანზე კიდევ ერთი ჯისურის ნაღმა აღკომპლური სასმელების ან სიგარეტის რეალიზაციის მიზნით, არის ბიზნესი, მაგრამ არა მეწარმეობა; ხოლო ცნობილი ქართველი ბიზნესმენის, გ. თოფაძის მიერ ეროვნული ბაზრიდან ჩეხური და გერმანული ლუდის განდევნა და გაუმჯობესებული ქართული ლუდისათვის ახალი ბაზრის შექმნა – მეწარმეობაა. ამგვარად, მეწარმეობა ინოვაციური და, მაშასადამე, უფრო სარისკო საქმიანობაა, ვიდრე ბიზნესი, რომელსაც უპირატესად რუტინული, შაბლონური ხასიათი აქვს.

2) ბიზნესმენისაგან განსხვავებით, რომელიც ქირობს საკუთარი ფირმისათვის სპეციალისტებს, მათ შორის მენეჯერებსაც ფირმის პრეზიდენტის ჩათვლით, მეწარმე თვითონ წარმართავს საკუთარ საქმეს (ე.ი. ასრულებს მენეჯერის ფუნქციებს), რამდენადაც არის მისი უშუალო შემოქმედი (ფირმის მიზნების ჩამოყალიბება, მათი მიღწევის საშუალებების განსაზღვრა და ა.შ.) და ავტორი. ამგვარად, ბიზნესმენმა საკუთარი საქმე შეიძლე-



მეცნიერება

ბა სხვას გადასცეს სამართავად, გადაუხადოს მათ ხელფასი და თვითონ მიიღოს მოგება, მეწარმე კი თავად წარმართავს საკუთარ საქმეს;

3) ბიზნესი შეიძლება იყოს ნებისმიერი ერთჯერადი კომერციული გარიგებაც, ეს მაშინ, როდესაც მეწარმეობა არაერთჯერადი, სისტემატური საქმიანობაა;

4) მეწარმეობისაგან განსხვავებით, ბიზნესი შეიძლება განახორციელოს პასიურმა მესაკუთრემაც, კერძოდ, იჯარით გასცეს ქონება, დროებით თავისუფალი სახსრები დააბანდოს ანაბრებში, აქციებში და მათზე შემოსავლების პასიური ფორმებით (საიჯარო გადასახადი, სარგებელი, დივიდენდი) შემოიფარგლოს;

5.) ბიზნესისაგან განსხვავებით, მეწარმეობის, როგორც ინოვაციური და შედარებით სარისკო საქმიანობის, მიზანია არა უბრალოდ მოგების, არამედ წმინდა ეკონომიკური მოგების მიღება და მეწარმის როგორც პიროვნების იდეის რეალიზაცია, მისი თვითდამკვიდრება, თვითგანახლება და თვითგანვითარება. ამ შემთხვევაში სოციალური მხარე (საზოგადოებრივი აღიარება) წამყვან როლს თამაშობს, ხოლო წმინდა ეკონომიკური მომენტით (მოგება) მის მიმართ დაქვემდებარება უღია.²

ამგვარად, მეწარმეობა ნოვატორული და შედარებით სარისკო ბიზნესია. მეწარმეობა ბიზნესის სხვა დანარჩენი რუტინული, გაცეკითილი ფორმებისაგან გამორჩევა მუდმივად ახლის ძიებით და ძლიერი სოციალური მოტივებით. ყველა მეწარმეობა ბიზნესია, მაგრამ

ყველა ბიზნესი როდია მეწარმეობა. ასევე, ყველა მეწარმე ბიზნესმენია, მაგრამ ყველა ბიზნესმენი მეწარმე არ არის. ე.ი. ცნება „მეწარმეობა“ შინაარსით უფრო ფართოა, ვიდრე „ბიზნესი“, რადგანაც მეწარმეობა თავისი არსით ბიზნესიც არის და კიდევ სხვა რამ - შემოქმედებითი ბიზნესიც, რაოდენობრივი, მოცულობითი თვალსაზრისით კი, პირიქით, - ბიზნესი უფრო მეტია, ვიდრე მეწარმეობა, რადგანაც რუტინულიც და შემოქმედებითი ბიზნესიც ორივე ბიზნესია. ასევე, ბიზნესმენები უფრო მეტნი არიან, ვიდრე მეწარმენი, რადგანაც რუტინური ბიზნესმენებიც და შემოქმედი მეწარმენიც, ორივე ბიზნესმენები არიან.

ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ სამეწარმეო უნარი და მეწარმეობა. სამეწარმეო უნარი მოგების მიღების მიზნით საქონლისა და მომსახურების წარმოების ორგანიზების უნარია, პოტენციალია. ამ უნარის, პოტენციალის გამოვლენისა და რეალიზების პროცესი კი მეწარმეობაა. სამეწარმეო (მეწარმეობრივი) უნარი, როგორც უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური რესურსი მოიცავს, როგორც თავად მეწარმეებს, ისე მათი სამეწარმეო ინფრასტრუქტურას და

ნიშნის საფუძველზე:

- ინიციატივიანობა, ანუ ახალი საემის წამოწყების, დამოუკიდებელი აქტიური მოქმედებისა და საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის ადების უნარი;

- ნოვატორობა, ანუ ბიზნესში ცვლილებებისადმი, განახლებისადმი მიდრეკილება;

- ეკონომიკური გაურკვევლობის პირობებში რისკზე წასვლის უნარი, ოღონდაც ისე, რომ რისკის ხარისხი არ აღემატებოდეს გონივრულ ზღვარს;

- წარმოების ფაქტორთა რაციონალური კომბინაცია, ანუ წარმოების ფაქტორთა კომბინაციის მრავალი

² გ. შუბლაძე. ბიზნესის საფუძვლები, თბ., 2000, გვ. 12-13.

³ ი. ჩხარტიშვილი. მეწარმეობის არსი, მეწარმეობის თეორიის რეტროსპექტიული ანალიზის კონტექსტში, ჟურნ. „ეკონომიკა“, 2002, №3-4, გვ. 93.



საბაზრო ეკონომიკაში

ვარიანტიდან საუკეთესოს შერჩევა (მაგ., ძვირად ღირებული შრომის იაფი ფიზიკური კაპიტალით, რობოტ-ტექნიკით შეცვლა; მიწის დეფიციტის, გაძვირების შემთხვევაში მრავალსართულიანი სათბურების მშენებლობა; სამშენებლო ფართის დეფიციტის პირობებში მრავალსართულიანი შენობების, ცათამბჯენების მშენებლობა და სხვა);

- წარმოების ფაქტორების ეფექტიანი ორგანიზება, ანუ რესურსების მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგების მიღება.⁴

სწორედ ამ ნიშან-თვისებების წყალობით მეწარმეობა გვევლინება სხვადასხვა ფუნქციების შემსრულებლად და ეკონომიკის მუდმივი განახლებისა და განვითარების უმთავრეს ფაქტორად.

მენეჯერისა და მეწარმის ცნებები და მათი მიმართება

ბიზნესში ფართოდ გამოიყენება ტერმინი „მენეჯერი“, რომელიც პროფესიონალ მმართველს ნიშნავს. მენეჯერისაგან წარმოსდგება სიტყვა მენეჯმენტი, ანუ წარმოების მართვა. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ არამეურნეობრივი მართვა და მენეჯმენტი. მენეჯმენტს გამოიყენებენ, როგორც წესი, წარმოებასთან (ფირმასთან) მიმართებაში, ხოლო მართვას და მმართველს – ქვეყნის დონეზე, მაგ.: ქვეყნის პრეზიდენტს მმართველია და არა მენეჯერი.

საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის დასაწყისში ანუ სრულყოფილი კონკურენციის პირობებში, როდესაც მცირე ბიზნესი ბატონობდა მეწარმის (მმართველის) ფუნქციას თავად მესაკუთრე ასრულებდა. შემდეგ, წარმოების მასშტაბების გაფართოებასთან ერთად მეწარმის

ფუნქცია თანდათანობით დაქირავებულ პროფესიონალ მმართველზე გადადიოდა, რომელიც თავის საქმიანობაში მესაკუთრის ინტერესებს ახორციელებდა, ე.ი. მეწარმეობამ, როგორც მესაკუთრის ფუნქციამ, მოდიფიკაცია განიცადა და გადავიდა მენეჯერის კონტროლის ზოგიერთ ფუნქციაში. მეწარმის ფიგურა არ იგიველება მესაკუთრისა და მენეჯერის (მმართველის) ფიგურასთან. მეწარმე შეიძლება იყოს ან არ იყოს მის მიერ გამოყენებული რესურსების მესაკუთრე (ნახესხი კაპიტალის, იჯარით აღებული ქონების გამოყენება), ხოლო მესაკუთრეს შეუძლია მიიღოს შემოსავალი თავისი საკუთრებიდან ისე, რომ არ იყოს მეწარმე. მაგ.: მიწის გაცემა იჯარით. ამ შემთხვევაში მეწარმის როლში გამოდის მოიჯარე (ფუნქციონერი).

საკვირა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ, ასევე, „მეწარმე“ და „მენეჯერი“. მეწარმეს მენეჯერისაგან განასხვავებს მოგებასა და მართვაში მონაწილეობა. აქედან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა მენეჯერს მეწარმედ ვეღარ გადააქცევს. მაგალითად, მენეჯერი ეწევა რა მმართველურ ფუნქციებს, ღებულობს შრომის ანაზღაურებას, მაგრამ მოგების განაწილებაში არ მონაწილეობს, რის გამოც იგი მეწარმედ ვერ გადაიქცევა. რაც შეეხება მესაკუთრე-მეწარმეს, რომელიც არა მხოლოდ ორგანიზაციის მიზნების ფორმირებაში, არამედ მის რეალიზაციაშიც, ანუ მენეჯერულ შივც (დაგეგმვა, ორგანიზება, მონეგაცია, კონტროლი) აქტიურად მონაწილეობს – მისი სპეციფიკური ანაზღაურება შედგება სამი ელემენტისგან: ა) მეწარმის საზღაური, რომელიც მას ეძლევა მოგების მიღების მიზნით მომავალი მოთხოვნის სწორი პროგნოზირებისათვის, ამ მოთხოვნის მიხედვით გამოშვებული ახალი პროდუქციის რისკისათვის, რესურსების შესაბამისი კომბინაციისათვის, მოკლედ, ინიციატივიანი, ინოვაციური, არაორდინალური აზროვნების და მონოპოლიური საბაზრო ხელისუფლებისათვის. ეს არის

⁴ ა. სისვაძე. როგორ გავხდეთ წარმატებული მეწარმე, თურ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2004, №6, გვ. 58.



მეცნიერება

ეკონომიკური მოგება. ბ) სამეწარმეო პროცენტი, ანუ შემოსავალი საკუთრებიდან, ქონებრივი შემოსავალი; გ) მეწარმის ნორმალური მოგება, ანუ მეწარმის გარანტირებული შემოსავალი (ხელფასი), რომელიც მიიღება ორგანიზატორული, რუტინული მმართველური საქმიანობისათვის გამოწვეული პროდუქციის რეალიზაციიდან. ნორმალური მოგება შედის წარმოების ხარჯებში.

ცხადია, სამეწარმეო შემოსავლის სიდიდის რყევა შეიძლება მოხდეს პირველი მდგენლის, ანუ ეკონომიკური მოგების ხარჯზე. სწორედ წმინდა ეკონომიკური მოგებაა მეწარმის მამოძრავებელი. შესაძლოა, ზოგიერთ მეწარმეს უბრალოდ არ ჰქონდეს მენეჯმენტის ფუნქციების (დაგეგმვა, ორგანიზება, მორტივაცია და კონტროლი) ეფექტიანად შესრულების უნარი და მიდრეკილება. ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ გამოჩენილი მეწარმე არცთუ კარგი მენეჯერი იყოს და ამის გამო მის მიერ შექმნილი ორგანიზაცია გაკოტრდეს კიდევ. პრაქტიკაში ამგვარი მაგალითები ბევრია, ხოლო ამ შემთხვევაში გაკოტრების მიზეზია არა ცუდი იდეები (მიზნები) ანუ მეწარმე, არამედ არაკვალიფიციური და მოუქნელი ხელმძღვანელობა, მენეჯერი. პრაქტიკაში ბევრია, აგრეთვე, ისეთი ფაქტიცი, როცა კრახის პირას მისული ორგანიზაცია გონიერ მენეჯერს გადაურჩენია და მოწინავეთა რიგებში ჩაუყენებია. ასე მაგალითად, ღი იაკოკა სათავეში ჩაუდგარა გაკოტრების პირას მისულ ღიმუხინების მეწარმეებელ კრახსლერის კომპანიას, „გამოთავანროთელა“ იგი და დააწინაურა.

ამგვარად, ჩატარებული თეორიული ანალიზი საშუალებას გვაძლევს პუნქტობრივად ჩამოვაყალიბოთ “მეწარმესა” და “მენეჯერს” შორის განსხვავება:

– მეწარმე ახალი იდეების შემოქმედი, ბიზნესის სტრატეგიული მიმართულებების (მიზნის, მიზნის) შემუშავებელია, მენეჯერი კი – ამ სტრატეგიული მიმართულებების რეალიზატორი;

– მეწარმეს მოგებისაკენ მიმართული დამოუკიდებელი საქმიანობისათვის გარკვეული კაპიტალი ესაჭიროება, მენეჯერს კი ეს არ მოეთხოვება;

– წარუმატებლობის შემთხვევაში მეწარმე მიდის კაპიტალის (ქონების) დაკარგვის რისკზე, მენეჯერი კი – თანამდებობის დაკარგვის რისკზე;

– მეწარმე დამოუკიდებელი მეურნეა, მენეჯერი კი – მისგან დაქირავებული მმართველი;

– მეწარმე შესაძლოა არ ფლობდეს მენეჯმენტის ფუნქციებს, პროფესიონალი მენეჯერისათვის კი ეს სავალდებულოა;

– მეწარმის შრომის საზღაურია მოგება, მენეჯერისა კი – ხელფასი;

– სამეწარმეო უნარით (ტალანტით) დაჯილდოებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მაქსიმუმ ათი პროცენტი, პროფესიონალი მენეჯერი კი ბევრად მეტია.

გაწილავთ

მეწარმის

მეწარმეების, ბუღალტრების, აუდიტორების, ეკონომისტების, სტატისტიკოსების, ინჟინერების, მასშტაბირების, ხიმამდლო ექსპერტების

სელმომსახურების დირექციისთვის:

3 თვე	24 ლარი
6 თვე	48 ლარი
9 თვე	72 ლარი
12 თვე	96 ლარი

სველი რეკლამის ტიპები:
 თბილისი, ათონაძის ქ. №5
 ტელ.: 90 05 70 855 277 554
 ელ.ფოსტა: karchava-ta.myoffice.ge
 ვებ-გვერდი: www.economist.ge

ახალი ეკონომისტი



ბულალტრული აღრიცხვა

არამატერიალური აქტივების აღრიცხვა



ელენე ხარაბაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბულალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროგრამის სრული პროფესორი, საქართველოს დამოუკიდებელ ბულალტერთა და აუდიტორთა კავშირის პრეზიდენტი

საქართველოს ანტიკორუპციული სამსახური

(გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „ახალი ეკონომისტი“ №1, 2006წ; №1, 2, 2007წ)

3. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის აღრიცხვა.

არამატერიალური აქტივი, წარმოადგენს რა გრძელვადიან აქტივს, მისი ღირებულება, აქტივად თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სასარგებლო გამოყენების მთელი პერიოდის განმავლობაში თანდათანობით, ამორტიზირების გზით აღიარდება ხარჯად. „ამორტიზაცია არის არამატერიალური აქტივის ცვეთის თანხის სისტემატური ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში“ (ბასს 38, მ.8) მაშასადამე, მსგავსად ძირითადი საშუალებებისა, არამატერიალური აქტივების მიღებისას საწარმომ უნდა განსაზღვროს მისი სასარგებლო გამოყენების პერიოდი, თუ ეს შესაძლებელია. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, საწარმომ უნდა შეაფასოს არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განუსაზღვრელია თუ შეზღუდული, ხოლო აქტივის სასარგებლო მომსახურების შეზღუდული ვადის დადგენისას, განსაზღვროს მისი ხანგრძლივობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, არამატერიალური აქტივების აღრიცხვა დამოკიდებულია მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. არამატერიალური აქტივი შეზღუდული სასარგებლო

მომსახურების ვადით ამორტიზდება, ხოლო განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით – არ ამორტიზდება.

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ამორტიზება იწყება აქტივის გამოყენების დაწყების მომენტიდან და წყდება ორი მომენტიდან ერთ-ერთის დადგომისას:

1. თუ იგი კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდი;
2. როდესაც შეწყდება ამ აქტივის აღიარება.

შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ამორტიზაციის სხვადასხვა მეთოდი, როგორცაა:

- წრფივი დარიცხვის (თანაბარზომიერი ჩამოწერის) მეთოდი;
- შემცირებადი ნაშთის მეთოდი;
- წარმოების ერთეულთა ჯამის მეთოდი.

ამორტიზაციის გამოყენებულმა მეთოდმა უნდა ასახოს წესი, მოდელი, რომლის



ბუნალტრული აღრიცხვა

მიხედვითაც საწარმო მოვლის აქტივის მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. თუ ამ მოვლის სამედიოლ განსახდერა შეუძლებელია, მაშინ გამოიყენება წრფივი დარიცხვის (თანაბარზომიერი ჩამოწერის) მეთოდი.

ამორტიზაციის დარიცხვა წარმოადგენს რა არამატერიალური აქტივის ღირებულების ნაწილის ხარჯად აღიარებას, ჩვეულებრივ, მოკება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება, თუ რომელიმე სტანდარტის მიხედვით ნებადართულია ან მითხოვნილია, რომ ამორტიზაციის ხარჯი შეტანილ იქნას სხვა აქტივის ღირებულებაში.

სხვა გრძელვადიანი აქტივებისაგან განსხვავებით, არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის დარიცხვის ორი ვარიანტი შეიძლება იქნას გამოყენებული:

1. როდესაც არამატერიალური აქტივის ღირებულება პირდაპირ მცირდება დარიცხული ამორტიზაციის თანხით:

ღ-ტი ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი;

კ-ტი არამატერიალური აქტივი; ამ მეთოდს ამოწურვის მეთოდს უწოდებენ.

2. როდესაც ბასს შემოსავლებისა და დანახარჯების შესაბამისობის პრინციპის თანახმად, არამატერიალური აქტივის ყოველწლიურად დასარიცხი ამორტიზაციის თანხა ჯერ აღიარებულ იქნება ხარჯად და აისახება აქტივის დაგროვილი ამორტიზაციის ანგარიშზე, შემდეგ კი აქტივის არამორტიზირებული ნაწილი განისახდერება ნარჩენი ღირებულების სახით:

ღ-ტი ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი;

კ-ტი არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია.

ამორტიზაციის პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი ყოველი წლის ბოლოს უნდა გადაისინჯოს და საჭიროების შემთხვევაში შეიცვალოს.

განუსახდერელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური

აქტივები არ უნდა იქნან ამორტიზებული. ბასს 36-ის „აქტივების გაუფასურება“ მიხედვით, საწარმოს მოეთხოვება შემოწმოს განუსახდერელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივი გაუფასურებაზე, მისი აღდგენითი და საბალანსო ღირებულების შედარების გზით ყოველწლიურად, ან ასეთის საჭიროების მიხედვით.

4. არამატერიალური აქტივების ბაღაშასების აღრიცხვა

არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში საბალანსო ღირებულებით აისახება. არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება არის თანხა, რომლითაც იგი ასახულია ბალანსში დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ბასს 38-ის მიხედვით, საწარმოს შეუძლია აირჩიოს და თავისი სააღრიცხვო პოლიტიკით განსახდეროს არამატერიალური აქტივების ნაწილის აღიარების შემდგომი შეფასების მოდელი:

- თვითღირებულების მოდელი; ან
- გადაფასებული ღირებულების მოდელი.

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს აქტივების დაჯგუფებას თავიანთი ბუნებისა და წარმოების პროცესში გამოყენების ერთგვაროვნების ნიშნის მიხედვით. ამიტომ, თუ არამატერიალური აქტივები აღრიცხულია გადაფასების მოდელის გამოყენებით, მაშინ მის ჯგუფში არსებული ყველა აქტივი აღრიცხული უნდა იყოს იმავე მეთოდით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ აქტივებისათვის არ არსებობს აქტიური ბაზარი. ბასს-ით აქტიური ბაზარი არის ბაზარი, სადაც არსებობს ყველა შემდეგი პირობა:

- ბაზარზე არსებული საქონელი ერთგვაროვანია;
- როგორც წესი, ყოველთვის არსებობენ დაინტერესებული მყიდველები და გამყიდველები;
- ფასები ცნობილია საზოგადოებისათვის.

საქონლის აღრიცხვის მეთოდები



ბუნებრივი ადრინსეპა

საქართველოს
საგარეო
საზღვაო
საზღვაო
საზღვაო

აქტიური ბაზრის არსებობა არამატერიალური აქტივისათვის ჩვეულებრივი ამბავი არ არის, თუმცა შესაძლებელია. იგი შეიძლება არსებობდეს თავისუფლად გადაცემადი ლიცენზიის, ან წარმოების კვოტებისათვის და არ შეიძლება არსებობდეს ისეთი უნიკალური არამატერიალური აქტივებისათვის, როგორცაა: სასაქონლო მარკები, გაზეთების სათაურები, მუსიკისა და ფილმების გამოცემის უფლებები, პატენტები და სხვა.

„საწყისი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივი უნდა აისახოს გადაფასებული ღირებულებით, რომელიც არის რეალური ღირებულება გადაფასების თარიღით, შემცირებული ნებისმიერი შემდგომი აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის ოდენობით“ (ბასს 38,მ.75). სტანდარტით გადაფასების მიზნით, რეალური ღირებულება უნდა განისაზღვროს აქტიური ბაზრიდან მიღებული ინფორმაციის საშუალებით. გადაფასებები უნდა მოხდეს რეგულარულად, ისე, რომ ბაზლის სედეგების თარიღისათვის მისი საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს რეალური ღირებულებისაგან. გადაფასების მოდელის გამოყენებისას არ უნდა მოხდეს:

- იმ არამატერიალური აქტივების გადაფასება, რომლებიც მანამდე არ იყო აღიარებული აქტივების სახით; ან
- არამატერიალური აქტივების საწყისი აღიარება მათი თვითღირებულების გარდა რაიმე სხვა თანხით.

გადაფასების მოდელი გამოიყენება აქტივის თვითღირებულებით საწყისი აღიარების შემდეგ.

არამატერიალური აქტივის გადაფასების სისწორე დამოკიდებულია მისი რეალური ღირებულების ცვლილებაზე.

თუ არამატერიალური აქტივის გადაფასება ხდება, ნებისმიერი აკუმულირებული ამორტიზაცია გადაფასების თარიღით უნდა იქნას:

- გადაანგარიშდეს აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების ცვლილების პრო-პორ-ცი-ულად ისე, რომ გადაფასების შემდეგ აქტივის საბალანსო ღირებულება მისი გადაფასებული ღირებულების ტოლი იყოს; ან

- ელიმინირდეს აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების საპირისპიროდ, ხოლო წმინდა საბალანსო ღირებულება გადაანგარიშდეს აქტივის გადაფასებულ ღირებულებამდე.

„თუ არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულება გადაფასების შედეგად იზრდება, აღნიშნული ზრდის თანხა უნდა აისახოს უშუალოდ საკუთარი კაპიტალის კრედიტ ში, დასაბუთებით გადაფასების რეზერვი. თუმცა, გადაფასებიდან მიღებული მატება უნდა აღიარდეს შემოსავლის სახით ისე, რომ მოხდეს იმავე აქტივის გადაფასებით განპირობებული ღირებულების შემცირების კომპენსირება, როდესაც გადაფასებით მიღებული ღირებულების შემცირება მანამდე აღიარებული იყო ხარჯის სახით“ (ბასს 38, მ. 85).

დ-ტი არამატერიალური აქტივები;

კ-ტი არამატერიალური აქტივების გადაფასების რეზერვი.

„თუ აქტივის საბალანსო ღირებულება გადაფასების შედეგად შემცირდა, შემცირება ხარჯის სახით უნდა აღიარდეს. თუმცა, გადაფასების შემცირება პირდაპირ უნდა აისახოს საკუთარი კაპიტალის დებუტის მხარეს გადაფასების რეზერვში ისე, რომ შემცირების თანხა არ აღემატებოდეს გადაფასების რეზერვში ასახულ ამ აქტივთან დაკავშირებულ საკრედიტო ნაშთს“ (ბასს 38, მ. 86). ბასს-ის მიხედვით, საკუთარ კაპიტალში ასახული დავროვილი გადაფასებიდან მატება შეიძლება გადატანილ იქნეს პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში, როდესაც ნაშუტის რეალიზება მოხდება. აქტივის ბრუნვიდან ამოღებისას ან გასვლისას შესაძლოა რეალიზებულ იქნას მთლიანი ნამეტი.



კითხვა-პასუხი

დასმულ კითხვებზე პასუხობს ჩვენი
ჟურნალის ექსპერტი, ეკონომისტი -
იშრ ძარჩავა

კითხვა:

306 არის ვალდებულ დამტკიცებულ ალტერნატივად აღრიცხვას ფიზიკურ პირად - გადასახადის გადამხდელად?

პასუხი:

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების თანახმად (ცვლილებების გათვალისწინებით), ფიზიკურ პირად - გადასახადის გადამხდელად საგადასახადო აღრიცხვაზე დადგომის ვალდებულება ეკისრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფიზიკურ პირს, ასევე საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკურ პირს, საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების (მათ შორის მიმდინარე გადასახადების) გადახდის ან საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებების წარმოქმნისას.

კითხვა:

რა შემთხვევაშია ვალდებულ ფიზიკური პირი დარეგისტრირდეს მეწარმე ფიზიკურ პირად?

პასუხი:

ფიზიკური პირი, რომელიც ეწევა (ან აპირებს განახორციელოს) სამეწარმეო საქმიანობას (სამეწარმეო საქმიანობა), ვალდებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად დაარეგისტრირდეს ინდივიდუალური საწარმო. ამავე კანონის პირველი მუხლის თანახმად, „სამე-

წარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად“.

კითხვა:

ფართის ბამბირაგვებელი ფიზიკური პირი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მუშა ალტერნატივად თუ საქმიანობის ადგილის მიხედვით?

პასუხი:

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად (ცვლილებების გათვალისწინებით), „ფიზიკური პირის - საქართველოს მოქალაქის საიდენტიფიკაციო ნომერია ამავე პირის მოქალაქის პირადობის მოწმობაში აღნიშნული პირადი ნომერი...“ „...ფიზიკური პირის საგადასახადო აღრიცხვა (ფიქსირება) ხდება მისი საგადასახადო დეკლარაციის ან/და ბანკში წარდგენილი გადასახადის გადახდის დამადასტურებელი საგადასახადო დავალების მონაცემების საფუძველზე“. მისი, როგორც გადასახადის გამხდელის საგადასახადო აღრიცხვა (ფიქსირება) ხდება მისი საგადასახადო დეკლარაციის საგადასახადო ორგანოში წარდგენის ან/და საბანკო დაწესებულებაში წარდგენილი გადასახადის გადახდის დამადასტურებელი საგადასახადო დავალების მონაცემების საფუძველზე, სადაც გადასახადის გადამხდელის შესახებ სხვა რეკვიზიტებთან ერთად ასევე მითითებულია ფიზიკური პირის - საქართველოს

ეკონომისტი იშრ ძარჩავა



პითხვა-პასუხი

მოქალაქის პირადი ნომერი. აღნიშნული პირადი ნომრის საფუძველზე, ფიზიკური პირი - საქართველოს მოქალაქე საგადასახადო აღრიცხვაზე დგება პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული მისამართის მიხედვით, ანუ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 29 ივნისის №171 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საგადასახადო ორგანოში ფიზიკური პირის - საქართველოს მოქალაქის ზემოაღნიშნული წესით გადასახადის გადამხდელად დაფიქსირების შემდგომ, მას „გადასახადის გადამხდელის მოწმობის მისაღებად შეუძლია მიმართოს საგადასახადო ორგანოს თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით“.

პითხვა:

რა ითვლება არასამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობა?

პასუხი:

არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება პირის მიერ სხვა პირისათვის საფასურის გადახდით ქონების [მათ შორის, ფულადი სახსრების] დროებით მფლობელობაში, მართვაში ან სარგებლობაში გადაცემა, ამ ქონებაზე ან მის ნაწილზე საკუთრების უფლების გადაცემისა და ქონების შემდგომი გასხვისების შესაძლებლობის გარეშე. ასეთი გადაცემა არ უნდა განეკუთვნებოდეს ფინანსურ საფინანსოებს და ქონების მიმღები პირისათვის არ უნდა წარმოშობდეს გადაცემული ქონების მიზნობრივ გამოყენებასთან დაუკავშირებელ დამატებით ვალდებულებებს.

არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას განეკუთვნება: დაქირავებით მუშაობა; ფულადი სახსრების განთავსება ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში; ქონების იჯარით გადაცემა, აგრეთვე ფიზიკური პირის მიერ მის საკუთრებაში არსებული

უძრავი ქონების გაქირავება ან იჯარით გადაცემა;

ფიზიკური პირის მიერ სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტორული, საადვოკატო, ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო, სასოფლო სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა. არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას უთანაბრდება საწარმოს საწესდებო კაპიტალში წილის ან ფასიანი ქაღალდების შექენა ან რეალიზაცია; აგრეთვე გამყიდველის საკუთრებაში არსებული საავტორთან სხვა ანალოგიური უფლებების რეალიზაცია.

პითხვა:

უცხოურ ორბანიზაციას პირადად, ფიზიკურ პირთან აქვს გაფორმებული ხელშეკრულება მისი საქმიანობის სამართლებრივ ბანსორცილებაში შენახვა. მოცემულ შემთხვევაში საგადასახადო ორგანოსათვის ფიზიკური პირის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს იურიდიული თუ ფიზიკური პირის სახით?

პასუხი:

მოცემულ შემთხვევაში ფიზიკური პირი, როგორც გაწეულ მომსახურებაზე მიღებულ შემოსავლებზე უშუალოდ გადასახადის გადამხდელი, ექვემდებარება რეგისტრაციას საგადასახადო ორგანოში. საგადასახადო ორგანოში, ასევე ცალკე რეგისტრაციას ექვემდებარება უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულება, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 29-ე მუხლის მე-12 ნაწილისა.



საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება № 31

2007 წლის 23 იანვარი ქ. თბილისი

სოციალური გადსახადის დეკლარირების, შრომის ანაზღაურების თანხებისა და დაკავებული გადსახადის გაანგარიშების და გადახდილი თანხების ინფორმაციის შესახებ ყოველთვიური საგადასახადო ანგარიშის ფორმის და მისი შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

(სსმ 26.01.2007 წ., № 10 მუხ. 104)

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი
200.010.000.22.033.009.849

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, 217-ე მუხლის მე-7 ნაწილის, 218-ე მუხლის მე-4 ნაწილის, 269-ე მუხლის პირველი ნაწილის აღსრულების მიზნით და "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის 39 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის "ლ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ებრძანება:

1. დამტკიცდეს თანდართული სახით:

ა) ინსტრუქცია „სოციალური გადასახადის დეკლარირების, შრომის ანაზღაურების თანხებისა და დაკავებული გადასახადის გაანგარიშების და გადახდილი თანხების ინფორმაციის შესახებ ყოველთვიური საგადასახადო ანგარიშის ფორმის შევსების წესის შესახებ“ (დანართი 1);

ბ) „სოციალური გადასახადის დეკლარირების, შრომის ანაზღაურების თანხებისა და დაკავებული გადასახადის გაანგარიშების და გადახდილი თანხების ინფორმაციის შესახებ ყოველთვიური საგადასახადო ანგარიშის“ ფორმა (დანართი 2).

2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „სოციალური გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის ფორმის და მისი შევსების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 28 ივლისის 865 ბრძანება;

ბ) „ფიზიკურ პირებზე გადახდილი თანხების და დაკავებული საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური გაანგარიშების ფორმისა და გაანგარიშების ფორმის შევსების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 13 სექტემბრის 1123 ბრძანება.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ა. ალექსიშვილი



საკანონმდებლო სიხსენი

დანართი №1

ინსტრუქცია

სოციალური გადსახადის დეკლარირების, შრომის ანაზღაურების თანხებისა და დაკავშული გადსახადის გაანგარიშების და გადამდები თანხების ინფორმაციის შესახებ ყოველთვიური საგადასახადო ანგარიშის ფორმის შევსების წესის შესახებ

მუხლი 1.

ანგარიშის I ნაწილი იყვება შემდეგი წესით:

- ა) "საიდენტიფიკაციო ნომერი" - შესაბამის უჯრებში ჩაიწერება - საგადასახადო ორგანოს მიერ გადამხდელზე მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი;
- ბ) "გადამხდელის პირადი ნომერი" - შესაბამის უჯრებში ჩაიწერება - საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობაში ფიქსირებული პირადი ნომერი;
- გ) "ეკონომიკური საქმიანობის კოდი" - შესაბამის უჯრებში ჩაიწერება - იმ საქმიანობის კოდი, რომელ საქმიანობასაც გადამხდელი თვლის ძირითად საქმიანობად;
- დ) "ანგარიშის სახე" - პირველ უჯრაში ჩაიწერება - "1", შემდგომ ორ უჯრაში - საანგარიშო თვის რიგითი ნომერი, ბოლო ორ უჯრაში წელი. თუ ანგარიში გასული საგადასახადო პერიოდისაა და წარმოდგენილია დაზუსტების (კორექტირების) მიზნით, პირველ უჯრაში ერთის ნაცვლად ჩაიწერება "2", შემდგომ ორ უჯრაში - საანგარიშო თვის რიგითი ნომერი, ხოლო ბოლო ორ უჯრაში წელი;

მაგალითი 1:

გადამხდელმა 2006 წლის ნოემბერში წარმოადგინა 2005 წლის სექტემბრის თვის დაზუსტებული ანგარიში.

მოცემულ პირობებში:

ანგარიშის პირველ უჯრაში ჩაიწერება - "2", შემდგომ ორ უჯრაში - "09" და ბოლო ორ უჯრაში - "05", სადაც "2" ნიშნავს, რომ ანგარიში არის დაზუსტებული, "09" ნიშნავს, რომ წარმოდგენილი ანგარიში არის სექტემბრის, "05" ნიშნავს, რომ საანგარიშო თვე (სექტემბერი) არის 2005 წლის.

ე) "საგადასახადო ორგანოს დასახელება" - შესაბამის ადგილზე აღინიშნება - ტერიტორიული საგადასახადო ორგანოს სრული დასახელება, რომელსაც წარედგინება ანგარიში;

ვ) ქართული საწარმო (ორგანიზაცია), უცხოური საწარმო, მეწარმე ფიზიკური პირი, სხვა საწარმო - საჭირო უჯრაში აღინიშნება - "X";

ზ) "გადამხდელის დასახელება" - შესაბამის ადგილზე აღინიშნება - გადამხდელის (აგენტის) სრული დასახელება, მეწარმე ფიზიკური პირის სახელი და გვარი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის შესაბამისად;

თ) "გადამხდელის მისამართი" - შესაბამის ადგილზე აღინიშნება - გადამხდელის სრული (იურიდიული) მისამართი.

მუხლი 2.

ანგარიშის II ნაწილის უჯრებში ჩაიწერება:

- ა) პირველ უჯრაში - საანგარიშო თვეში დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირებზე საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლის შესაბამისად ფულადი ფორმით გაცემული ანაზღაურება, კერძოდ: ხელფასი, სარგებელი, წინა სამუშაო ადგილიდან მიღებული პენსია ან სხვა სახით მიღებული შემოსავალი, შემოსავალი მომავალი სამუშაო ადგილ-

სახელი მკონობისა

საკანონმდებლო სიასკენი



იდან, სტიპენდია და უუნარობის დროებით დაკარგვისათვის დახმარება საკუთარი სახსრებიდან - 2000 ლარი და ბიუჯეტის სახსრებიდან - 600 ლარი.

მოცემულ პირობებში:

გადამხდელმა 2006 წლის მარტის ანგარიშის II ნაწილის პირველ უჯრაში უნდა ასახოს 12 600 ლარი (10 000 + 2000 + 600).

ბ) მე-2 უჯრაში - საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად საანგარიშო თვეში დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირებზე არაფულადი ფორმით გაცემული ხელფასის და სარგებლის ღირებულება, რომელიც ასევე აისახება ანგარიშის III ნაწილის ცხრილის ერთ-ერთ ბოლო სტრიქონზე აღნიშნული თანხიდან საშემოსავლო გადასახადის დაკავებისა და გადახდის ვალდებულებების წარმოშობა განისაზღვრება საანგარიშო თვის ბოლო რიცხვით;

მაგალითი 3:

გადამხდელმა დაქირავებულ ფიზიკურ პირს 2006 წლის 12 მარტს ანაზრაურების გარეშე 2006 წლის 20 აპრილამდე სარგებლობაში გადასცა 3000 ლარად ღირებული (საბაღანისო ღირებულება) მსუბუქი ავტომობილი.

მოცემულ პირობებში:

გადამხდელმა მარტის ანგარიშის II ნაწილის მე-2 უჯრაში უნდა ასახოს სარგებლის ღირებულება 57 ლარი (3000X0,1%X19). აპრილის ანგარიშის იგივე უჯრაში - 60 ლარი (3000X0,1X20), ამასთან, აღნიშნული სარგებლის ღირებულებები შესაბამისი თვეების ანგარიშის III ნაწილის ცხრილში აისახება 31 მარტის და 30 აპრილის ჩანაწერებით.

მაგალითი 4:

გადამხდელი დაქირავებულ ფიზიკურ პირს ხელფასის სანაცვლოდ 2006 წლის აპრილში ყოველდღიურად არაფულადი ფორმით აძლევდა 4 ცალ პურს, რომლის საბაზრო ღირებულება შეადგენდა 2 ლარს.

მოცემულ პირობებში:

გადამხდელმა აპრილის ანგარიშის II ნაწილის მე-2 უჯრაში უნდა ასახოს 60 ლარი (30X2), რომელიც ანგარიშის III ნაწილის ცხრილში აისახება 30 აპრილის ჩანაწერით.

გ) მე-3 უჯრაში - გადასახადის გადამხდელის მოწმობის არმქონე რეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაწეული მომსახურებისათვის საანგარიშო თვეში გაცემული ანაზღაურება;

მაგალითი 5:

გადამხდელს, გადასახადის გადამხდელის მოწმობის არმქონე რეზიდენტმა ფიზიკურმა პირმა ჩაუტარა ოფისის რემონტი, რისთვისაც მას 2006 წლის 26 მარტს აუნაზღაურა 800 ლარი.

მოცემულ პირობებში:

გადამხდელმა მარტის ანგარიშის II ნაწილის მე-3 უჯრაში უნდა ასახოს 800 ლარი. ამასთან, ანგარიშის III ნაწილის შესაბამის სტრიქონზე იგი აისახება 26 მარტის ჩანაწერით.

დ) მე-4 უჯრაში - საანგარიშო თვეში სათამაშო ბიზნესის მომწყობთა მიერ ფიზიკურ პირებზე მოგების სახით განაცემი (როგორც თანხობრივი ასევე ნივთ-მოგებების ღირებულების სახით). აღნიშნული განაცემი ასევე აისახება ანგარიშის III ნაწილის ბოლო სტრიქონზე საანგარიშო თვის ბოლო რიცხვით;

მაგალითი 6:

სათამაშო ბიზნესის მომწყობმა 2006 წლის მაისში მოგების სახით სხვადასხვა

სახელი მკონიანი სტა



საკანონმდებლო სიხსენი

ფიზიკურ პირზე გაცა 15000 ლარი.

მოცემულ პირობებში:

გადამხდელმა აღნიშნული განაცემი 15000 ლარი უნდა შეიტანოს მაისის ანგარიშის II ნაწილის მე-4 უჯრაში და ანგარიშის III ნაწილის ცხრილში ასახოს 31 მაისის თარიღით.

ე) მე-5 უჯრაში - საგადასახადო კოდექსის 195-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკურ პირებზე და უცხოურ საწარმოებზე საანგარიშო თვეში გაცემული დივიდენდები, რომელიც საგადასახადო კოდექსით ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას;

მაგალითი 7:

გადამხდელმა 2005 წლის შედეგების მიხედვით 2006 წლის 20 აპრილს ფიზიკურ პირებზე გაცა 10 000 ლარი დივიდენდი, რეზიდენტ ოურიდიულ პირზე - 50 000 ლარი და უცხო საწარმოზე - 80 000 ლარი.

მოცემულ პირობებში:

გადამხდელმა 2006 წლის აპრილის ანგარიშის II ნაწილის მე-5 უჯრაში უნდა ასახოს 90 000 ლარი (10 000+80 000).

ვ) მე-6 უჯრაში - საგადასახადო კოდექსის 196-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე (რეზიდენტი ბანკების გარდა) საანგარიშო თვეში გაცემული პროცენტები, რომელიც საგადასახადო კოდექსით ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბეგვრას;

მაგალითი 8:

გადამხდელმა 2006 წლის 10 თებერვალს გიორგის გადაუხადა პროცენტის სახით 100 ლარი, 15 თებერვალს არარეზიდენტ საწარმოს - 3 000 ლარი, და 22 თებერვალს რეზიდენტ ბანკს - 4 000 ლარი.

მოცემულ პირობებში:

გადამხდელმა 2006 წლის თებერვლის ანგარიშის II ნაწილის მე-6 უჯრაში უნდა ასახოს 3100 ლარი (100+3 000).

ზ) მე-7 უჯრაში - მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტებზე სგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლში დასახელებული განაცემების მიხედვით საანგარიშო თვეში გადახდილი თანხა (გარდა სხვა უჯრებში ასახულისა);

მაგალითი 9:

გადამხდელმა 2006 წლის 19 თებერვალს მუდმივი დაწესებულების არმქონე უცხო საწარმოს საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვებისათვის გადაუხადა 50 000 ლარი, ხოლო არარეზიდენტ ფიზიკურ პირს - 10 000 ლარი.

მოცემულ პირობებში:

გადამხდელმა 2006 წლის თებერვლის ანგარიშის II ნაწილის მე-7 უჯრაში უნდა ასახოს 60 000 ლარი (50 000+10 000).

თ) მე-8 უჯრაში - საანგარიშო თვეში გადასახდელი სოციალური გადასახადი, რომელიც გაიანგარიშება ანგარიშის II ნაწილის პირველ, მე-2, მე-3 უჯრებში ასახული თანხების და მე-7 უჯრაში არარეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაცემული თანხების ჯამის (რომელიც უნდა შემცირდეს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული შეღავათების თანხით) სოციალური გადასახადის საგადასახადო განაკვეთზე გამრავლებით;

მაგალითი 10:

გადამხდელს იანვრის ანგარიშის II ნაწილის პირველ უჯრაში ასახული აქვს 10 000 ლარი (მათ შორის საგადასახადო კოდექსის შესაბამისად საშეღავათო თანხა შეადგენს 2 000 ლარს); მე-2-ში - 1000 ლარი; მე-3-ში - 3 000 ლარი; მე-4-ში - 500

საანგარიშო თვე



საკანონმდებლო სიხსენი

ლარი; მე-5-ში - 400 ლარი; მე-6-ში - 300ლარი; მე-7-ში - 4 000 ლარი. ამასთან, ანგარიშის II ნაწილის მე-5 და მე-6 უჯრებში ასახული თანხა (400 და 300 ლარი) გაცემულია ფიზიკურ პირებზე, ხოლო მე-7 უჯრაში ასახული 4 000 ლარი მთლიანად მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტ იურიდიულ პირზე.

მოცემულ პირობებში:

გადამხდელმა იანერის ანგარიშის II ნაწილის მე-8 უჯრაში უნდა ასახოს სოციალური გადასახადი 2 400 ლარი $(10\ 000 - 2\ 000 + 1\ 000 + 3\ 000) \times 20\%$.

ი) მე-9 უჯრაში - საანგარიშო თვეში გადახდის წყაროსთან დაკავებას დაქვემდებარებული საშემოსავლო გადასახადის ოდენობა, რომელიც გამოიანგარიშება:

ი.ა) პირველ, მე-2, მე-3 და მე-4 უჯრებში ასახული თანხების ჯამი (შემცირდება საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან განთავისუფლებული თანხით) გამრავლებული 12%, პლიუს მე-5 და მე-6 უჯრებში ასახული თანხების ჯამი გამრავლებული 10 %-ზე და პლიუს მე-7 უჯრაში ასახული არარეზიდენტ ფიზიკურ პირებზე განაცემის თანხა გამრავლებული საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის შესაბამის განაკვეთზე;

მაგალითი 11:

საწყისი მოცემულობა და პირობები იგივეა, რაც მე-10 მაგალითში, იმ განსახვავებით, რომ დაქირავებულ არცერთ ფიზიკურ პირზე არ ვრცელდება საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათები.

მოცემულ პირობებში:

გადამხდელმა იანერის ანგარიშის II ნაწილის მე-9 უჯრაში უნდა ასახოს გადახდის წყაროსთან დაკავებას დაქვემდებარებული საშემოსავლო გადასახადი 1810 ლარი $(10\ 000 + 1\ 000 + 3\ 000 + 500) \times 12\% + (400 + 300) \times 10\%$.

კ) მე-10 უჯრაში - მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტებისათვის საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის შესაბამისად გადახდილი თანხიდან გაცემის წყაროსთან დაკავებას დაქვემდებარებული გადასახადი, რომელიც გაიანგარიშება მე-7 უჯრაში ასახული თანხის (გარდა არარეზიდენტ ფიზიკურ პირებზე გაცემულისა) აღნიშნული მუხლით დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე გამრავლებით;

მაგალითი 12:

საწყისი მოცემულობა და პირობები იგივეა, რაც მე-10 მაგალითში, იმ განსახვავებით, რომ იანერის ანგარიშის II ნაწილის მე-7 უჯრაში ასახული განაცემის მიხედვით გადასახდის განაკვეთი საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის შესაბამისად შეადგენს 10%-ს.

მოცემულ პირობებში:

იანერის ანგარიშის II ნაწილის მე-10 უჯრაში აისახება გადახდის წყაროსთან დაკავებას დაქვემდებარებული გადასახადი 400 ლარი $(4\ 000 \times 10\%)$.

ლ) მე-11 უჯრაში - გადასახადის გადამხდელის მოწმობის მქონე ფიზიკურ პირებზე საანგარიშო თვეში მომსახურებისათვის გაცემული ანაზღაურება, რომელიც არ იბეგრება გადახდის წყაროსთან;

მ) მე-12 უჯრაში - არადაქირავებულ ფიზიკურ პირებზე საანგარიშო თვეში გაცემული დახმარება, სარგებელი და სხვა ქველმოქმედების სახით განაცემები, მათ შორის არაფულადი ფორმით, რომელიც არ უკავშირდება მომსახურების ანაზღაურებას;

ნ) მე-13 უჯრაში - საანგარიშო თვეში გამოშვებული პროდუქციის (შესრულებული სამუშაოს, მომსახურების) ღირებულება (სტატისტიკური ანგარიშების მიხედვით);

ო) მე-14 უჯრაში - დაქირავებულ პირთა რიცხოვნობა, რომლებზეც საანგარიშო თვეში გაცემულია ანაზღაურებები ხელფასის სახით;

სახელი: მკონიძისძე



საკანონმდებლო სიახლეები

მაგალითი 13:

გადამხდელს დაქირავებული ყავს 8 ფიზიკური პირი, იანვარში ხელფასი გაცემულია 7 პირზე, თებერვალში – 6 პირზე.

მოცემულ პირობებში:

გადამხდელმა იანვრის ანგარიშის მე-14 უჯრაში უნდა ასახოს 7 კაცი, თებერვლის ანგარიშის ამავე უჯრაში – 6 კაცი.

პ) მე-15 უჯრაში – გადასახადის გადამხდელის მოწმობის არმქონე ფიზიკურ პირთა რიცხვნობა, რომლებზეც ანგარიშის IV ნაწილის მიხედვით გაწეული მომსახურებისათვის საანგარიშო თვეში გაცემულია შესაბამისი ანაზღაურება;

მაგალითი 14:

გადამხდელმა იანვარში გადასახადის გადამხდელის მოწმობის არმქონე 5 ფიზიკურ პირზე გაწეული მომსახურებისათვის გასცა შესაბამისი ანაზღაურება, თებერვალში – 9 ფიზიკურ პირზე, მათ შორის სამზე წინა პერიოდში (იანვარში) იყო გაცემული.

მოცემულ პირობებში:

გადამხდელმა იანვრის ანგარიშის მე-15 და 32-ე უჯრებში უნდა ასახოს 5 კაცი, თებერვლის ანგარიშის მე-15 უჯრაში – 9, ხოლო 32-ე უჯრაში – 11 (5+9-3) კაცი.

ჟ) მე-16 და მე-17 უჯრებში – საანგარიშო თვეში შესაბამისად დაქირავებულ ფიზიკურ პირებზე გაცემული მაქსიმალური და მინიმალური ხელფასის ოდენობა;

მაგალითი 15:

გადამხდელს დაქირავებული ჰყავს 5 ფიზიკური პირი, ხელფასი იანვარში ერთ დაქირავებულ პირზე პირობითად გაიცა 300 ლარი, მეორე დაქირავებულ პირზე – 50 ლარი, მესამეზე – 150 ლარი, მეოთხეზე – 100 ლარი, მეხუთეზე – 200 ლარი.

მოცემულ პირობებში:

გადამხდელმა იანვრის ანგარიშის II ნაწილის მე-16 და 33-ე უჯრებში უნდა ასახოს მაქსიმალური ხელფასის სახით 300 ლარი, მე-17 და 34-ე უჯრებში – მინიმალური ხელფასის სახით 50 ლარი.

მაგალითი 16:

საწყისი მოცემულობა და პირობები იგივეა რაც მე-15 მაგალითში, იმ განსხვავებით, რომ გადამხდელმა ხელფასი თებერვალში ერთ დაქირავებულ პირზე პირობითად გასცა 500 ლარი, მეორეზე – 600 ლარი, მესამეზე – 150 ლარი, მეოთხეზე – 100 ლარი და მეხუთეზე – 400 ლარი.

მოცემულ პირობებში:

გადამხდელმა თებერვლის ანგარიშის II ნაწილის მე-16 და 33-ე უჯრებში უნდა ასახოს მაქსიმალური ხელფასის სახით 600 ლარი, მე-17 უჯრაში – მინიმალური ხელფასის სახით 100 ლარი, ხოლო 34-ე უჯრაში – 50 ლარი.

რ) 18–30 უჯრებში – გასული საანგარიშო თვეების ანგარიშის შესაბამისი უჯრების მონაცემების ჯამური მონაცემები (ნაზარდი ჯამი წლის დასაწყისიდან);

მაგალითი 17:

გადამხდელმა იანვარში ანგარიშის II ნაწილის პირველ უჯრაში ასახა 10 000 ლარი, თებერვლის ანგარიშის II ნაწილის პირველ უჯრაში – 20 000 ლარი.

მოცემულ პირობებში:

გადამხდელმა იანვრის ანგარიშის II ნაწილის პირველ და მე-18 უჯრებში უნდა ასახოს 10 000 ლარი, თებერვლის ანგარიშის II ნაწილის პირველ უჯრაში – 20 000 ლარი, ხოლო მე-18 უჯრაში – 30 000 ლარი (10 000+20 000).

მუხლი 3.

ანგარიშის III ნაწილის ცხრილში აისახება:

საქართველოს საჯარო ადმინისტრაციის რეფორმების ეროვნული აგენტობა



საკანონმდებლო სიასლენი

ა) პირველ სვეტში - ანაზღაურების გაცემის კონკრეტული თარიღი;

ბ) მე-2 სვეტში - განაცემის სახე (ხელფასი, დივიდენდი, პროცენტი, ნივთ-მოგება, მომსახურების ანაზღაურება და სხვა);

გ) მე-3 სვეტში - განაცემები (თანხა), მე-3 სვეტის ჯამი უნდა შეესაბამებოდეს ანგარიშის II ნაწილის პირველ, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 უჯრებში ასახული თანხების ჯამს;

დ) მე-4 სვეტში - შესაბამისი ანაზღაურებებიდან გამომდინარე შეზღუდული დაკავებას დაქვემდებარებული საშემოსავლო გადასახადი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ანგარიშის II ნაწილის მე-9 უჯრაში ასახულ თანხას;

ე) მე-5 სვეტში - გამომდინარე შეზღუდული სოციალური გადასახადი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მე-8 უჯრაში ასახულ თანხას;

ვ) მე-6 სვეტში - არარეზიდენტებზე დაკავებას დაქვემდებარებული გადასახადი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მე-10 უჯრაში ასახულ თანხას.

მაგალითი 18:

გადამხდელმა 2006 წლის 5 იანვარს ხელფასის სახით გასცა 500 ლარი, გადასახადის გადამხდელის მოწმობის არმქონე ფიზიკურ პირზე გაწეული მომსახურებისათვის - 400 ლარი, მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტ ფიზიკურ პირზე - 600 ლარი და მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტ იურიდიულ პირზე (საგადასახადო განაკვეთი 10%) - 1000 ლარი. მოცემულ პირობებში:

ა) გადამხდელმა ანგარიშის III ნაწილის ცხრილის პირველ სტრიქონზე უნდა ასახოს:

- ა.ა) პირველ სვეტში - თანხების გაცემის თარიღი 05.01.06;
- ა.ბ) მეორე სვეტში - სიტყვა „ხელფასი“;
- ა.გ) მე-3 სვეტში - 500 ლარი;
- ა.დ) მე-4 სვეტში - დაკავებული საშემოსავლო გადასახადი 60 ლარი (500X12%);
- ა.ე) მე-5 სვეტში - კუთვნილი სოციალური გადასახადი 100 ლარი (500X20%);
- ა.ვ) მე-6 სვეტში - 0.

ბ) გადამხდელმა ანგარიშის III ნაწილის ცხრილის მე-2 სტრიქონზე უნდა ასახოს:

- ბ.ა) პირველ სვეტში - თანხების გაცემის თარიღი 05.01.06;
- ბ.ბ) მეორე სვეტში - სიტყვები „მომსახურების ანაზღაურება“;
- ბ.გ) მესამე სვეტში - 400 ლარი;
- ბ.დ) მე-4 სვეტში - საშემოსავლო გადასახადი 48 ლარი (400 X 12%);
- ბ.ე) მე-5 სვეტში - სოციალური გადასახადი 80 ლარი (400 X 20%);
- ბ.ვ) მე-6 სვეტში - 0.

გ) გადამხდელმა ანგარიშის III ნაწილის ცხრილის მე-3 სტრიქონზე უნდა ასახოს:

- გ.ა) პირველ სვეტში - თანხების გაცემის თარიღი 05.01.06;
- გ.ბ) მეორე სვეტში - სიტყვები „ს.კ. 197-ე მუხლის შესაბამისად გაცემული ანაზღაურება“;
- გ.გ) მესამე სვეტში - 600 ლარი;
- გ.დ) მე-4 სვეტში - 72 ლარი;
- გ.ე) მე-5 სვეტში - 120 ლარი;
- გ.ვ) მე-6 სვეტში - 0.

დ) გადამხდელმა ანგარიშის III ნაწილის ცხრილის მე-4 სტრიქონზე უნდა ასახოს:

- და) პირველ სვეტში - თანხების გაცემის თარიღი 05.01.06;

საკანონმდებლო სიასლენი



საკანონმდებლო სიახლენი

დ.ბ) მეორე სვეტში – სიტყვები „ს.კ. 197-ე მუხლის შესაბამისად გაცემული ანაზღაურება“;

დ.გ) მესამე სვეტში – 1000 ლარი;

დ.დ) მე-4 სვეტში – 0;

დ.ე) მე-5 სვეტში – 0;

დ.ვ) მე-6 სვეტში მოგების გადასახადი 100 ლარი (1 000 X 10%).
მუხლი 4.

ანგარიშის IV ნაწილის ცხრილში აისახება გადასახადის გადამხდელის მოწმობის არმქონე ფიზიკურ პირებზე და საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლში აღნიშნული განაცემების მიხედვით არარეზიდენტებზე გაცემული თანხების ოდენობა, კერძოდ:

ა) პირველ სვეტის უჯრებში – რიგითი ნომერი;

ბ) მე-2 სვეტის უჯრებში – ანაზღაურების მიმღების დასახელება, ფიზიკური პირის გვარი, სახელი;

გ) მე-3 სვეტის უჯრებში – ანაზღაურების მიმღების მისამართი;

დ) მე-4 სვეტის უჯრებში – ანაზღაურების მიმღები ფიზიკური პირის პირადობის მოწმობის ნომერი, თუ ანაზღაურების მიმღები არ არის ფიზიკური პირი აღნიშნულ უჯრაში ჩაიწერება – ტირე;

ე) მე-5 სვეტის უჯრებში – მომსახურების (განაცემების) სახე;

ვ) მე-6 სვეტის უჯრებში – მომსახურების ანაზღაურების ოდენობა ლარებში.
მუხლი 5.

ანგარიშის V ნაწილი ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ.

სახელმწიფო მკონომიკის



საკანონმდებლო სიასქენი

ღანართი 2

ყოველთვიური საგადასახადო ანგარიში
სოციალური გადასახადის დეკლარირების, შრომის ანაზღაურების თანხებისა და
დაკავებული გადასახადის გაანგარიშების და გადახდილი თანხების
ინფორმაციის შესახებ

I ნაწილი

საიდენტიფიკაციო ნომერი

გადამხდელის პირადი ნომერი

გეონომიკური საქმიანობის კოდი (NACE)

ანგარიშის სახე წარმოდგენის თარიღი

წარდგინება

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

საქართველოს საწარმო მეწარმე ფიზიკური პირი
(ორგანიზაცია)

უცხოური საწარმო სხვა საწარმო
(ორგანიზაცია)

(საჭირო აღინიშნება X-ით)

(გადამხდელის (აგენტის) სრული დასახელება, მეწარმე ფიზიკური პირის გვარი, სახელი)

გადამხდელის მისამართი: ქალაქი, რაიონი, ბინა, კორპუსი, ქუჩა, საკონტაქტო ტელეფონი

ანგარიში შედგენილია — ფურცელზე. თანდართული დოკუმენტები — ფურცელზე.

შენიშვნა:

1) საგადასახადო ანგარიშს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე
წარადგენენ:

ა) საგადასახადო კოდექსის 266-ე მუხლით „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით
განსაზღვრული გადამხდელები;

ბ) საგადასახადო აგენტები, რომლებსაც წარმოეშევათ საგადასახადო კოდექსის
218-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ პირებზე გაცემული თანხებიდან
გადახდის წყაროსთან გადასახადების დაკავების და გადახდის ვალდებულება.

2) თუ გადასახადის გადამხდელს (აგენტს) საგადასახადო პერიოდში არ გააჩნია
ანგარიშში შეტანას დაქვემდებარებული განაცემები მას უფლება აქვს შესაბამის
პერიოდის მიხედვით არ წარადგინოს აღნიშნული ანგარიში.

ახალი ეკონომისტი



საკანონმდებლო სიახლეები

II ნაწილი

(ლარი)

სახალხო მკობრების

დასახელება	საანგარიშო თვე	წლის დასაწყისიდან	
1	2	3	4
დაქირაევით მომუშავე ფიზიკურ პირებზე ფულადი ფორმით ხელფასის (სარგებლის) სახით გაცემული ანაზღაურება, პენსია, სტიპენდია დახმარება და სხვა.	1	18	
დაქირაევით მომუშავე ფიზიკურ პირებზე არაფულადი ფორმით გაცემული ხელფასი (სარგებლის ღირებულება).	2	19	
რეზიდენტ ფიზიკურ პირებზე (რომლებსაც არ გააჩნიათ გადასახადის გადახდელის მოწმობა) გაწეული მომსახურებისათვის გაცემული ანაზღაურების (სარგებლის) ღირებულება.	3	20	
სათამაშო ბიზნესის მომწყობთა მიერ ფიზიკურ პირებზე გაცემული მოგებები.	4	21	
ფიზიკურ პირებზე და უცხოურ საწარმოებზე გაცემული დივიდენდები.	5	22	
პირებზე (გარდა რეზიდენტ ბანკებზე) გაცემული პროცენტები.	6	23	
განაცემები მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტებზე (გარდა სხვა უჯრებში ასახულისა).	7	24	
სოციალური გადასახადი ანაზღაურების (განაცემის) მიხედვით.	8	25	
გადახდის წყაროსთან დაკავებას დაქვემდებარებული საშემოსავლო გადასახადის ოდენობა.	9	26	
არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემულ თანხებზე გადახდის წყაროსთან დაკავებას დაქვემდებარებული გადასახადი.	10	27	
გადასახადის გადახდელის მოწმობის მქონე ფიზიკურ პირებზე მომსახურებისათვის გაცემული ანაზღაურება, რომელიც არ იბეგრება გადახდის წყაროსთან.	11	28	
არადაქირაევებულ ფიზიკურ პირებზე გაცემული დახმარების, სარგებლის ღირებულება (ქველმოქმედება), მათ შორის არაფულადი ფორმით, რომელიც არ უკავშირდება მომსახურების ანაზღაურებას.	12	29	
გამოშვებული პროდუქციის (მომსახურების, შესრულებული სამუშაოს) ღირებულება.	13	30	
ფიზიკურ პირთა რიცხოვნობა, რომლებზეც საანგარიშო თვეში ხელფასის სახით გაცემულია ანაზღაურება (ფიზიკური პირი).	14	31	
გადასახადის გადახდელის მოწმობის არმქონე ფიზიკურ პირთა რიცხოვნობა, რომლებზეც მომსახურების გაწევისათვის გაცემულია ანაზღაურება (ფიზიკური პირი).	15	32	
მაქსიმალური ხელფასი.	16	33	
მინიმალური ხელფასი.	17	34	



საქართველოს სიხლენი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება № 50

2007 წლის 29 იანვარი ქ. თბილისი

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნების შექმნის, რეგისტრაციისა და დამაგრების, დაზიანებული ნიშნების შეცვლის, აგრეთვე უმოქმედო დაბეგვრის ობიექტების დალუქვის წესების დამტკიცების შესახებ

(სსმ 30.01.2007 წ., № 12 მუხ. 127)
რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი
210.070.000.22.033.009.866

სადაც უკონკრეტო

“სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 ივნისის 39 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს “სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნების შექმნის, რეგისტრაციისა და დამაგრების, დაზიანებული ნიშნების შეცვლის, აგრეთვე უმოქმედო დაბეგვრის ობიექტების დალუქვის წესები” თანდართულ დანართებთან ერთად (დანართი №1 და №2).

2. ძალდაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 31 დეკემბრის 896 ბრძანება “სათამაშო ბიზნესის გადასახადის გადახდის ნიშნების შექმნის, რეგისტრაციის, დამაგრებისა და დაზიანებული ნიშნების შეცვლისა და უმოქმედო დაბეგვრის ობიექტების დალუქვის წესების დამტკიცების შესახებ” (სსმ III, 2004წ., 156, მუხ. 1457).

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ა. ალექსიშვილი

საკანონმდებლო სიახლენი



სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნების შექმნის, რეგისტრაციისა და დამატების, დაზიანებული ნიშნების შეცვლის, აგრეთვე უმოქმედო დაზიანების ობიექტების დალუქვის წესები

წესები შემუშავებულია “სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე და განსაზღვრავს სამორინეს მაგიდების, სათამაშო აპარატებისა და ტოტალიზატორის, ბინგოსა და ლოტოს საღარიბოსათვის სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის დამატებითი ნიშნების შექმნის, რეგისტრაციისა და დამატების, დაზიანებული ნიშნების შეცვლის, აგრეთვე უმოქმედო დაზიანების ობიექტების დალუქვის წესს.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის დამატებითი ნიშანი – მოსაკრებლის გადახდის ნიშანში იგულისხმება თამაშების მოწყობის დროს სათამაშო მაგიდებსა და სათამაშო აპარატებზე, ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს საღარიბოებზე მისამარებელი ნიშანი, რომელიც ადასტურებს მოსაკრებლის გადახდას და თამაშების მოწყობის უფლებას თამაშების მოწყობის ადგილებზე სათამაშო მაგიდებისა და აპარატების დადგმასა და ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს საღარიბების მოწყობაზე.

2. სამორინეს მაგიდა – სამორინეში განთავსებული სპეციალურად მოწყობილი მაგიდა, რომელზეც სამორინეს წარმომადგენელსა და მოთამაშეს (მოთამაშეებს) შორის, აგრეთვე მოთამაშეებს შორის მიმდინარეობს ერთი კონკრეტული თამაშობა სათამაშო ბორბლის (რულეტის), ბანქოს, კამათლებისა და სხვა საშუალებებით ფულადი მოგების გათამაშებისათვის.

3. ლოტო – ჯგუფური თამაშობა, რომლის მონაწილე ირჩევს რიცხვით ან სიმბოლოების კომბინაციებს და მოგება დამოკიდებულია რიცხვითი ან სიმბოლოების კომბინაციების მთლიან ან ნაწილობრივ დამთხვევაზე და მოგება განისაზღვრება საპრიზო ფონდის ოდენობიდან. ლოტო ტარდება სპეციალურად მოწყობილ შენობაში და მასში მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება შენობაში არსებული სათამაშო ადგილების რაოდენობით.

4. ტოტალიზატორი – თამაშობა, რომელიც იმართება მოთამაშეების მიერ შეჯიბრების მიმდინარეობისა ან/და თამაშობის შედეგის პროგნოზზე ფსონების დადებით, ხოლო მოგება დამოკიდებულია ფსონის მოცულობაზე.

5. ბინგო – ჯგუფური თამაშობა, რომელშიც რიცხვითი ბარათების ან ელექტროტაბლოს მეშვეობით ფიქსირდება მოგება სპეციალური მოწყობილობიდან ამოსული რიცხვითი კომბინაციების დამთხვევით და მოგება განისაზღვრება საპრიზო ფონდის ოდენობიდან. ბინგო ტარდება სპეციალურად მოწყობილ შენობაში და მასში მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება შენობაში არსებული სათამაშო ადგილების რაოდენობით.

6. სათამაშო აპარატი – მექანიკური ან ელექტრონული მექანიზმები, რომლებიც მოქმედებაში მოჰყავთ მონეტებით, ექტონებით ან სხვა საშუალებით და მოგება განისაზღვრება ციფრების, სიმბოლოების ან მათი კომბინაციის მთლიანი ან ნაწილობრივი დამთხვევით.

7. საღარიბო – სპეციალურად მოწყობილი ადგილი, სადაც მოლარის ან/და სპეციალური აპარატის, ან სხვა საშუალებით ხორციელდება ფსონის მიღება ან/და მოგების გაცემა.



საკანონმდებლო სიახლენი

მუხლი 2. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნების გაცემის წესი

1. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნების შესაქმნად სათამაშო ბიზნესის მომწოდებელი პირი ადგილობრივ საგადასახადო ორგანოში წარადგენს განაცხადს მოსაკრებლის გადახდის ნიშნების მოთხოვნაზე, სადაც მითითებული უნდა იყოს მოქმედი და სარეზერვო (გამოუყენებელი) სათამაშო მაგიდებისა და აპარატების, აგრეთვე ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს საღაროების რაოდენობა. განაცხადს თან უნდა ერთვოდეს სათამაშო ბიზნესის ორგანიზებაზე დადგენილი წესით აღებული ლიცენზიის ან ნებართვის ასლი და სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის მიერ გადახდის დამადასტურებელი ნიშნების მიღება ხდება შესაბამის ტერიტორიულ საგადასახადო ინსპექციაში, დაბეგვრის ობიექტის ფაქტობრივი განთავსების ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებული მოსაკრებლის განაკვეთების მიხედვით.

3. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნების მიღება თამაშების მომწოდებელ პირთა მიერ უნდა მოხდეს ყოველი საანგარიშო პერიოდის (ეკვარტალის) დაწყებამდე, წინა ეკვარტალის განმავლობაში. თუ თამაშის მომწოდებელი (ორგანიზატორი) პირი საქმიანობას იწყებს საანგარიშო პერიოდის (ეკვარტალის) განმავლობაში ან ეკვარტალის განმავლობაში გადახდელს ემატება დაბეგვრის ახალი ობიექტი, მაშინ მოსაკრებლის გადახდის ნიშნები გაიცემა მიმდინარე საანგარიშო ეკვარტალზე, ამასთან, მოსაკრებელი საანგარიშო პერიოდზე გადახდილ უნდა იქნეს სრულად. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ახალი ნიშნების დამტკიცებამდე, გამოყენებულ იქნეს ძველი ნიშნები. იმ პირობით, რომ აღნიშნული ნიშნების სანაცვლოდ გადახდილი იქნება შესაბამისი მოსაკრებელი.

4. საგადასახადო ინსპექციის მიერ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ნიშნის გაცემის დროს ამოჭრილ უნდა იქნეს შესაბამისი მიმდინარე აღმნიშვნელი ციფრი (ციფრები ნიშანზე განთავსებულია ეკვარტალების მიხედვით I დან IV ის ჩათვლით).

5. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნები საგადასახადო ინსპექციის მიერ თამაშების მომწოდებელ პირებზე გაიცემა უფასოდ.

მუხლი 3. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნების რეგისტრაცია

1. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნების დაბეჭდვისა და უტილიზაციის წესი განისაზღვრება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

2. საგადასახადო ინსპექციებზე მოსაკრებლის გადახდის ნიშნების გაცემის აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნების გაცემის აღრიცხვის უზრუნველს მიხედვით (დანართი 1).

3. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ნიშნების მიღებისა და სათამაშო ბიზნესის მომწოდებელ პირებზე ნიშნების გაცემის აღრიცხვას აწარმოებენ საგადასახადო ინსპექციები სათამაშო ბიზნესის ორგანიზატორებზე მოსაკრებლის გადახდის ნიშნების გაცემის აღრიცხვის უზრუნველს მიხედვით (დანართი 2).

საკანონმდებლო სიახლენი

საკანონმდებლო სიასლენი



დანართი №1

საგადასახადო ინსპექციებზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნების გაცემის აღრიცხვის უურნალი

საგადასახადო ინსპექცია -----

N	გაყვ მის თარი ღი	სათამაშო მაგიდა			სათამაშო ავტომატები			ტოტალიზატორი			ბინვო			ლოტო		
		რაო დენობა	სურია	ნომერი	რაო დენობა	სურია	ნომერი	რაო დენობა	სურია	ნომერი	რაო დენობა	სურია	ნომერი	რაო დენობა	სურია	ნომერი

ნიშნების მიმღების ვეარი, სახელი	მინდობილო_ ბის N და თარიღი	პირადობის მოწმობის N	მიმღების ხელმოწერა	გამცემის ხელმოწერა	შენიშვნა (ნიშნების დაბრუნების აღნიშვნა)

სახელი აკონონმდებლის



საკანონმდებლო სიახლენი

დანართი №2

სათამაშო ბიზნესის ორგანიზატორებზე მოსაკრებლის გადახდის ნიშნების გაცემის აღრიცხვის კურნალი

გაღამხელელის დასახელება -----

საიდენტიფიკაციო ----- შემთხვევითობის თამაშ. მოწყობის
ადგილი

ლიცენზია -----

რეგისტ. გაცემ. თარიღი მოქმედების პერიოდი

ბელეფონი-----

სახელი კონიანიძე

N	გაცემის თარიღი	საანგარიშო პერიოდი, რომელი სთვისაც გაიცა ნიშანი	სათამაშო მაკიდა			სათამაშო ავტომატები			ტოტალიზატორი			ბინგო			ლოტო				
			რაოდენობა	სერი	ნომერი	რაოდენობა	სერი	ნომერი	რაოდენობა	სერი	ნომერი	რაოდენობა	სერი	ნომერი	რაოდენობა	სერი	ნომერი		

გაგრძელება

განაცხადის N და თარიღი	მოსაკრებლის გადახდის დოკუმენტი	ადახდის მოსაკრებლის თანხა	ნიშნების მიმღების გვარი, სახელი	მინდობის N და თარიღი	ძირადგომის N და თარიღი	ნიშნების მიმღებზე დასმული	ნიშნების დაბრუნების აღნიშვნა
						გვარი, სახელი	ნიშნების დაბრუნების აღნიშვნა



საკანონმდებლო სიასქენი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება № 52

29 იანვარი 2007 წელი ქ. თბილისი

სოციალური და საშემოსავლო გადასახადების
დეკლარაციის ფორმის შევსების წესის შესახებ
ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის, 95-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად და 217-ე მუხლის პირველი ნაწილის და 269-ე მუხლის მე-2 ნაწილის აღსრულების მიზნით ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული რედაქციით:
 - ა) სოციალური და საშემოსავლო გადასახადების დეკლარაციის ფორმა (დანართი №1).
 - ბ) სოციალური და საშემოსავლო გადასახადების დეკლარაციის ფორმის შევსების წესის შესახებ ინსტრუქცია (დანართი №2).
 2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს:
 - ა) „საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის ფორმის და შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 12 აპრილის №249 ბრძანება
 - ბ) „სოციალური გადასახადის წლიური დეკლარაციის ფორმის და შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 27 ივნისის №479 ბრძანება.
 3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.
- ა. ალექსიშვილი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის განყოფილება

საკანონმდებლო სიხსლენი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
2007 წლის 29 იანვრის № 52 ბრძანების
დანართი №1

**სოციალური და საზემოსავლო გადასახადების დეკლარაციის
ფორმა**

I ნაწილი

<table border="1" style="width: 100%; height: 20px;"> <tr><td> </td><td> </td><td> </td><td> </td><td> </td><td> </td><td> </td><td> </td><td> </td><td> </td></tr> </table> <p style="text-align: center;">გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი</p>											<table border="1" style="width: 100%; height: 20px;"> <tr><td> </td><td> </td><td> </td><td> </td><td> </td><td> </td><td> </td><td> </td><td> </td><td> </td></tr> </table> <p style="text-align: center;">საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირის პირადი ნომერი</p>										

ეკონომიკური საქმიანობის კოდი (NACE)	<table border="1" style="width: 100%; height: 20px;"> <tr><td> </td><td> </td><td> </td><td> </td><td> </td><td> </td><td> </td><td> </td><td> </td><td> </td></tr> </table>											საანგარიშო წელი

დეკლარაციის სახე	დეკლარაციის წარდგენის თარიღი	<table border="1" style="width: 100%; height: 20px;"> <tr><td> </td><td> </td><td> </td><td> </td><td> </td><td> </td><td> </td><td> </td><td> </td><td> </td></tr> </table>										

ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტის თარიღი	<table border="1" style="width: 100%; height: 20px;"> <tr><td> </td><td> </td><td> </td><td> </td><td> </td><td> </td><td> </td><td> </td><td> </td><td> </td></tr> </table>										

(გადამხდელის სახელი, გვარი)

(შისამართი, ბინა, კორპუსი, ქუჩა, ქალაქი /რაიონი)

(საკონტაქტო ტელეფონები)

(დეკლარაციის მიმღები საგადასახადო ორგანოს დასახელება)

შენიშვნა:

1. დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს საგადასახადო აღრიცხვის ადგილის (საგადასახადო აღრიცხვის არმქონე პირები საცხოვრებელი ადგილის) მიხედვით საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე წარადგენენ:

- ა) რეზიდენტი ფიზიკური პირები, რომელთა შემოსავლები არ იბეგრება საქართველოში არსებულ გადახდის წყაროსთან;
 - ბ) რეზიდენტი ფიზიკური პირები, რომელთაც ფულადი სახსრები აქვთ ანგარიშზე უცხოეთში;
 - გ) არარეზიდენტი ფიზიკური პირები, რომლებიც შემოსავლებს იღებენ საქართველოში არსებული წყაროდან და არ იბეგრებიან გადახდის წყაროსთან;
2. საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტისას დეკლარაცია საგადასახადო ორგანოს წარედგინება საქმიანობის შეწყვეტიდან 30 დღის ვადაში.

საგარეო ურთიერთობების



საკანონმდებლო სიასლენი

II ნაწილი

			(ლარი)
შემოსავლი სამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობიდან		1	
შემოსავალი, "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის I მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საქმიანობიდან		2	
სხვა შემოსავალი არასამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობიდან (ხელფასის სახით მიღებული შემოსავლის გარდა)		3	
შემოსავალი, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან და დაქირავებით მუშაობასთან		4	
საწვეის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ღირებულება	5		
საბოლოო სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ღირებულება		6	
ჯამური შემოსავალი (უჯრ. 1+2+3+4-5+6)		7	
გამოქვითვის დაქვემდებარებული ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია პირველ და მეორე უჯრეტში ასახულ შემოსავლების მიღებასთან	8		
გამოქვითვის დაქვემდებარებული წინა წლების ზარალი	9		
სოციალური გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული შედავათების გათვალისწინებით		10	
სოციალური გადასახადი (უჯრა 10 X 20%)		11	
გამოქვითვის დაქვემდებარებული ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მე-7 უჯრაში ასახულ შემოსავლის მიღებასთან (გარდა მე-11 უჯრაში ასახულისა)	12		
საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული შედავათების გათვალისწინებით		13	
გამოქვითვის დაქვემდებარებული ხარჯების გადაშტეკვა ჯამურ შემოსავლებზე	14		
საშემოსავლო გადასახადი (უჯრა 13 X 12%)		15	
გადახდის წყაროსთან დაკავებული და გადახდილი გადასახადი, გარდა ხელფასიდან, აგრეთვე ს.კ.-ის 195-ე და 196-ე მუხლების მიხედვით დაკავებული გადასახადებისა	16		
ს.კ. 193 მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით საქართველოს ფარგლებს გარეთ გადახდილი გადასახადი	17		
სოციალური გადასახადის დარიცხული მშენიარე გადასახადელები	18		
საშემოსავლო გადასახადის დარიცხული მშენიარე გადასახადელები	19		
დამატებით დასარიცხი სოციალური გადასახადი (11-18)		20	
დამატებით დასარიცხი საშემოსავლო გადასახადი (15-16-17-19)		21	
შესამტრებელი სოციალური გადასახადი (18-11)	22		
შესამტრებელი საშემოსავლო გადასახადი (16+17+19-15)	23		

დეკლარაციაში ასახული მონაცემების სისრულეს და უტყუარობას ვადასტურებ:

გადახდელის ხელისმოწერა (სახელი, გვარი)

III ნაწილი

საგადასახადო ორგანოს აღნიშვნა:

დეკლარაცია წარმოდგენილია ფოსტით _____ პირადად _____
 მოცემული დეკლარაცია შედგენილია _____
 ფურცელზე _____
 თანდართული დოკუმენტები _____
 გვერდზე _____
 წარმოდგენის თარიღი " _____ " _____
 რეგისტრაციის ნომერი _____

(სახელი გვარი)

(ხელმოწერა)

2007 წლის 29 იანვრის № 52 ბრძანების
დანართი №2

სოციალური და საშემოსავლო გაღასახალების დეკლარაციის
შორის შემსუბუქების წესის შესახებ ინსტრუქცია

მუხლი 1.

1 დეკლარაციაში მონაცემები უნდა აისახოს იმდგვარად, რომ დასაბეგრი შემოსავლების (გამოქვითვების) განსაზღვრასთან დაკავშირებული არც ერთი ელემენტი არ იქნეს გამოტოვებული ან მრავალჯერ ჩართული.

2. დეკლარაციის შევსება ხდება გადამხდელის მიერ გარდა იმ განაყოფისა, რომელიც იესება საგადასახადო ორგანოს მიერ.

3. დეკლარაციის უტყუარობა და სისრულე დასტურდება გადამხდელის ხელმოწერით. ამასთან, სახელი და გვარი, ხელმოწერის თარიღი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი მიეთითება სრულად.

4. დეკლარაციის უჯრებში (სტრიქონებში), რომლებშიც მითითებულია ლოგიკური ფორმულები შეიტანება აღნიშნული ფორმულების მიხედვით განსაზღვრული მონაცემები. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მიზეზის გამო დასახელებულ სტრიქონებში შეიტანება განსხვავებული მონაცემი, გადამხდელი ვალდებულია აღნიშნულზე დეკლარაციაში გააკეთოს სათანადო შენიშვნა.

5. გადამხდელი ვალდებული არიან შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვა აწარმოონ სამეწარმეო და არასამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით ცალცალკე ხარჯების ცალკეული ელემენტების ცალ-ცალკე აღრიცხვის შეუძლებლობის შემთხვევაში, ხარჯების ასეთი ელემენტები სამეწარმეო და არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობებზე უნდა განაწილდეს ასეთი საქმიანობებიდან მიღებული შემოსავლების პროპორციულად.

მაგალითი 1:

გადამხდელ პირს, რომელსაც საკუთრებაში გააჩნია საცხოვრი და ახორციელებს პურის მიწოდებას, პარალელურად ამავე შენობაში გირავნობის ხელშეკრულებით გაცემული აქვს ფართი სხვა პირზე, რომლის საექსპლოატაციო ხარჯების გაღება (მოვლა, პატრონობა, კომუნალური გადასახადები და სხვა) სათანადო შეთანხმებით გამქარავებულს ეკისრება.

ამ გადამხდელმა საანგარიშო წელში ჯამურ შემოსავლების სახით 150 000 ლარი მიიღო, მათ შორის სამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობიდან (პურის ცხოვა) - 140 000 ლარი, გაქირავებული ფართის ქირიდან - 10 000 ლარი. აღნიშნული შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებით გამოქვითვას დაქვემდებარებულმა ხარჯმა შეადგინა 100 000 ლარი, მ.შ. ფუქილის შექენაზე დახარჯულია - 60 000 ლარი, დაქირავებულთა ხელფასზე - 20000 ლარი, (აქედან გაქირავებული ფართის მოვლისათვის დასაქმებულ დაქირავებულზე - 1 000 ლარი), სარემონტო სამუშაოებზე - 5 000 ლარი (სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა ფასადს, რომელიც მოიცავს ქირავნობის ხელსეკრულებით გადაცემულ ფართსაც) და სხვა საექსპლოატაციო სამუშაოებზე - 15 000 ლარი (აქედან ქირავნობის ხელშეკრულებით გადაცემული ფართის საექსპლოატაციო ხარჯია - 2 000 ლარი).

საანგარიშო ეკონომიკური



საკანონმდებლო სიახლეები

ფასადების რემონტზე დახარჯული თანხები.

მოცემულ პირობებში:

სარემონტო სამუშაოებზე დახარჯული თანხა 5 000 ლარი უნდა განაწილდეს სამეწარმეო და არასამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების პირობითულად.

საანგარიშო პერიოდში მიღებულ ჯამურ შემოსავალში (150 000 ლარი) სამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 140 000 ლარს ანუ 93,4 პროცენტს, ხოლო არასამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი - 10 000 ლარს, ანუ 6,6 პროცენტს. ამდენად, სარემონტო სამუშაოებზე გაწეული ხარჯებიც განაწილდება ასეთივე პროპორციით, შესაბამისად 4 680 ლარი (5000X93,6%) და 320 ლარი (5000X6,6%).

გადამხდელის საანგარიშო წლის სოციალური გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი (სამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობიდან) იქნება 43 320 ლარი (140 000-60 000-19 000-13 000-4 680).

6. დეკლარაციის უჯრებში მანქანების გაანგარიშება და ასახვა ხორციელდება ლარებში.

მუხლი 2.

1. დეკლარაციის სატიტულო გვერდის პირველი ნაწილის შესაბამის უჯრებში და სტრიქონებზე ჩაიწერება:

ა) უჯრებში "გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი" --გადამხდელზე საგადასახადო რეგისტრაციისას საგადასახადო ორგანოს მიერ მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ) უჯრებში „საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირის პირადი ნომერი“ -საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობაში ფიქსირებული პირადი ნომერი;

გ) უჯრებში "ეკონომიკური საქმიანობის კოდი (NACE)" --იმ საქმიანობის კოდი (ეკონომიკური საქმიანობის სახეობების კლასიფიკატორის მიხედვით), რომელ საქმიანობასაც პირი თვლის ძირითად საქმიანობად;

დ) უჯრებში "საანგარიშო წელი" - საანგარიშო წელი;

ე) უჯრებში "დეკლარაციის სახე" -- თუ დეკლარაცია საანგარიშო წლის მიხედვით პირველადია მოცემულ უჯრებში ჩაიწერება „1“, თუ დეკლარაცია წარმოდგენილია დაზუსტების (კორექტირების) მიზნით, მაშინ უჯრებში ჩაიწერება „2“ და თუ დეკლარაცია წარმოდგენილია ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტის გამო, უჯრებში ჩაიწერება „3“;

მაგალითი 2:

გადამხდელმა საგადასახადო ორგანოში 2006 წლის 30 მარტს წარადგინა 2005 საანგარიშო წლის დეკლარაცია.

მოცემულ შემთხვევაში, დეკლარაციის უჯრებში ჩაიწერება „1“, რაც ნიშნავს, რომ დეკლარაცია არის პირველადი.

მაგალითი 3:

მე-2 მაგალითში აღნიშნულმა გადამხდელმა 2006 წლის 30 მაისს კვლავ წარმოადგინა 2005 საგადასახადო წლის დეკლარაცია დაზუსტების მიზნით.

მოცემულ შემთხვევაში, უჯრებში ჩაიწერება „2“, რაც იმას ნიშნავს, რომ დეკლარაცია არ არის პირველადი და იგი წარდგენილია დაზუსტების (კორექტირების) მიზნით.

საკანონმდებლო სიახლეები

მაგალითი 4:

გადამხდელმა ეკონომიკური საქმიანობა შეწყვიტა 2006 წლის 25 ივლისს, რის შესახებ შესაბამისი დეკლარაცია წარადგინა 2006 წლის 10 აგვისტოს.

მოცემულ შემთხვევაში, უჯრაში ჩაიწერება „3“, რაც იმას ნიშნავს, რომ დეკლარაცია წარდგინილია საგადასახადო კოდექსის 217-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტის გამო.

ე) უჯრაში “დეკლარაციის წარდგინის თარიღი” აისახება დეკლარაციის წარდგენის თარიღი, შემდეგი რიგისობით: რიცხვი, თვე, წელი.

მაგალითი 5:

გადამხდელმა წარმოადგინა 2005 წლის დეკლარაცია 2006 წლის 5 მარტს.

მოცემულ შემთხვევაში, დეკლარაციის პირველ ორ უჯრაში აისახება 05, შემდგომ ორ უჯრაში -03, ბოლო ორ უჯრაში - 06.

ზ) უჯრა “ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტის თარიღი” - ივლება მე-5 მაგალითის პირობების ანალოგიურად და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დეკლარაციის წარდგენის საფუძველია საგადასახადო კოდექსის 217-ე მუხლის მე-3 ნაწილი და შესაბამისად უჯრაში “დეკლარაციის სახე” ასახულია „3“.

თ) სტრიქონზე - “გადამხდელის სახელი, გვარი” - მიეთითება მეწარმე ფიზიკური პირის სახელი და გვარი სრულად, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის შესაბამისად;

ი) სტრიქონზე “მისამართი, ბინა, კორპუსი, ქუჩა ქალაქი/რაიონი”, - გადადამხდელის საცხოვრებელი ან სამეწარმეო საქმიანობის ადგილის სრული მისამართი;

კ) სტრიქონზე “საკონტაქტო ტელეფონები” - გადადამხდელის საკონტაქტო ტელეფონები;

ლ) სტრიქონზე “დეკლარაციის მიმღები საგადასახადო ორგანოს დასახელება”- ტერიტორიული საგადასახადო ორგანოს სრული დასახელება, რომელსაც წარედგინება დეკლარაცია;

მუხლი 3.

1) დეკლარაციის II ნაწილის უჯრებში შეიტანება:

ა) პირველ უჯრაში - შემოსავალი სამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობიდან საგადასახადო კოდექსის 175-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით.

ბ) მეორე უჯრაში - შემოსავალი “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის 1 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საქმიანობიდან, კერძოდ:

სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო და სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მ.შ. საგადასახადო კონსულტაცია), სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობებიდან მიღებული შემოსავლები.

გ) მესამე უჯრაში - სხვა შემოსავალი არასამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობიდან (ხელფასის სახით მიღებული შემოსავლების გარდა), საგადასახადო კოდექსის 175-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით.

დ) მეოთხე უჯრაში - შემოსავალი, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან და დაქირაავებით მუშაობასთან, საგადასახადო კოდექსის 176-ე მუხლის მიხედვით.

ე) მე-5 და მე-6 უჯრებში - საქართველოს საგადასახადო კოდექსის 208-ე მუხლის შესაბამისად მონაცემები გადადამხდელის საკუთრებაში არსებული საწყისი და საბოლოო

საკანონმდებლო

საკანონმდებლო სიახლენი

სასაკონლო მატერიალური ფასეულობების შესახებ.

ე) მე-7 უჯრაში -ჯამური შემოსავალი, რომელიც მიიღება პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე და მეექვსე უჯრების ჯამს გამოკლებული მეხუთე უჯრაში ასახული მონაცემი. მაგალითი 6:

გადამხდელს დეკლარაციის პირველ უჯრაში ასახული აქვს 10 000 ლარი, მეორეში 8 000 ლარი, მესამეში 5 000 ლარი, მეოთხეში 3 000 ლარი, მეხუთეში 2 000 ლარი და მეექვსეში 1 000 ლარი.

მოცემულ პირობებში:

დეკლარაციის მეშვიდე უჯრაში აისახება 25 000 ლარი (10 000+8 000+5 000+3 000-2 000+1 000)

ზ) მე-8 უჯრაში - საგადასახადო კოდექსით გამოქვეყნებული დაქვემდებარებული ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მოცემული ინსტრუქციის ამავე მუხლის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებში დასახელებული შემოსავლების მიღებასთან.

თ) მე-9 უჯრაში -წინა წლების აუნაზღაურებელი ზარალი, საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვების გათვალისწინებით.

ი) მე-10 უჯრაში -სოციალური გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული შეღავათების გათვალისწინებით, რომელიც მიიღება შემდეგი ფორმულით: დანართი 1-ის II ნაწილის პირველ უჯრაში ასხულ მონაცემს, მიმატებული მეორე უჯრის მონაცემი, გამოკლებული მე-5 უჯრის მონაცემი, მიმატებული მე-8 უჯრის მონაცემი, გამოკლებული მე-8 უჯრის მონაცემი და გამოკლებული მე-9 უჯრის მონაცემი. ამასთან, მიღებული თანხის შემცირება ხდება საგადასახადო კოდექსით სოციალურ გადასახადში შეღავათის არსებობის შემთხვევაში

მაგალითი 7:

პირობები იგივეა, რაც მე-8 მაგალითში იმ დამატებით, რომ დეკლარაციის მე-8 უჯრაში ასახულია 12 000 ლარი და მე-9 უჯრაში 1 000 ლარი.

მოცემულ პირობებში:

დეკლარაციის მე-10 უჯრაში აისახება 4 000 ლარი (10 000+8 000 -2 000+1 000) - 12 000 -1 000).

კ) მე-11 უჯრაში -სოციალური გადასახადი, რომელიც გამოიანგარიშება მე-10 უჯრაში ასახული მონაცემის სოციალური გადასახადის საგადასახადო განაკვეთზე (20 %) გამრავლებით.

ლ) მე-12 უჯრაში -საგადასახადო კოდექსით გამოქვეყნებული დაქვემდებარებული ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია დეკლარაციის მე-7 უჯრაში ასახული შემოსავლის მიღებასთან, გარდა მე-11 უჯრაში ასახული სოციალური გადასახადისა.

მ) მე-13 უჯრაში -საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული შეღავათების გათვალისწინებით, რომელიც მიიღება შემდეგი ფორმულით: მე-7 უჯრაში ასახულ მონაცემს გამოაკლდება მე-11 და მე-12 უჯრებში ასახული მონაცემები.. დადებითი შედეგის მიღების შემთხვევაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი მის განულებამდე შეიძლება შემცირდეს დეკლარაციის მე-9 უჯრაში ასახული თანხით.

მაგალითი 8:

პირობები იგივეა, რაც მე-7 მაგალითში იმ განსხვავებით, რომ მე-12 უჯრაში ასახულია 14 000 ლარი.



საკანონმდებლო სიახლეები

მოცემულ პირობებში:

დეკლარაციის მე-13 უჯრაში აისახება დადებითი შედეგი 9 200 ლარი (25 000-1 000-800-14 000)

მაგალითი 9:

პირობები იგივეა რაც მე-7 მაგალითში იმ განსხვავებით, რომ მე-12 უჯრაში ასახულია 24 000 ლარი.

მოცემულ პირობებში:

მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 200 ლარი (25 000 - 800 - 24 000) შემცირდება დეკლარაციის მე-9 უჯრაში ასახული თანხიდან მხოლოდ 200 ლარით და დეკლარაციის მე-13 უჯრაში აისახება ნული.

ნ) მე-14 უჯრაში -გამოქვითვას დაქვემდებარებული ხარჯის გადამტება ჯამურ შემოსავალზე.

მაგალითი 10:

მოცემულობანი და პირობები იგივეა, რაც ზემოხსენებულ მაგალითებში იმ განსხვავებით, რომ დეკლარაციის მე-12 უჯრაში ასახულია 28 000 ლარი.

მოცემულ პირობებში:

დეკლარაციის მე-14 უჯრაში აისახება 3 000 ლარი (28 000 - 25 000)

ო) მე-15 უჯრაში -საშემოსავლო გადასახადი, რომელიც გაინაგარიშება მე-13 უჯრაში ასახული მონაცემის საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო განაკვეთზე გამრავლებით.

პ) მე-16 უჯრაში -გადახდის წყაროსთან დაკავებული და გადახდილი გადასახადი, რომელზეც არსებობს გადახდის დამადასტურებელი საბუთი, გარდა ხელფასიდან, აგრეთვე საგადასახადო კოდექსის 195-ე და 196-ე მუხლების მიხედვით დაკავებული გადასახადებისა.

ჟ) მე-17 უჯრაში -საქართველოს ფარგლებს გარეთ ფაქტობრივად გადახდილი გადასახადის თანხა, რომელიც მიღებული არ არის საქართველოში არსებული წყაროდან და საგადასახადო კოდექსის 193-ე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება ჩათვლას საქართველოში გადასახადის გადახდისას. აღნიშნულ უჯრაში ასახული ჩასათვლელი თანხა არ უნდა აღემატებოდეს გადასახადის იმ თანხას, რომელიც დარიცხული იქნებოდა ამ შემოსავალზე საქართველოში მოქმედი წესითა და განაკვეთით, აგრეთვე დეკლარაციის მე-15 სტრიქონზე ასახულ ბიუჯეტში გადასახდელად გამოინაგარიშებულ საშემოსავლო გადასახადის თანხას.

მაგალითი 11:

გადამხდელის მიერ საინაგარიშო პერიოდში მიღებულია და დეკლარაციის მე-13 უჯრაში ასახული 9 200 ლარის დასაბეგრი შემოსავალი, აღნიშნულიდან 3 000 ლარი საქართველოს ფარგლებს გარეთ არის მიღებული. წარმოდგენილი საბუთების მიხედვით უცხო ქვეყანაში მასზე გადახდილია საშემოსავლო გადასახადი 600 ლარის ოდენობით ანუ 20 პროცენტი.

მოცემულ პირობებში:

დეკლარაციის მე-17 უჯრაში აისახება 360 ლარი (3 000X12%) ანუ თანხა, რომელიც დარიცხული იქნებოდა ამ შემოსავლებზე საქართველოში მოქმედი წესითა და განაკვეთით.

მაგალითი 12:

ხალხი მკითხველი



პირობები იგივეა, რაც მე-11 მაგალითში იმ განსხვავებით, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ გადახდილია 300 ლარი (3 000X10%).

მოცემულ პირობებში:

დეკლარაციის მე-17 უჯრაში აისახება 300 ლარი.

მაგალითი 13:

პირობები იგივეა, რაც მე-11 მაგალითში იმ განსხვავებით, რომ გადამხდელმა ვერ წარმოადგინა საქართველოს ფარგლებს გარეთ გადახდილი გადასახადის დამადასტურებელი საბუთი.

მოცემულ პირობებში:

დეკლარაციის მე-17 უჯრაში ჩასათვლელი თანხა იქნება ნული.

რ) მე-18 უჯრაში -საანგარიშო წელში სოციალური გადასახადის დარიცხული მიმდინარე გადასახდელები.

ს) მე-19 უჯრაში -საანგარიშო წელში საშემოსავლო გადასახადის დარიცხული მიმდინარე გადასახდელები.

ტ) მე-20 უჯრაში -დამატებით დარიცხული და გადასახდელი სოციალური გადასახადი, რომელიც მიიღება მე-11 და მე-18 უჯრების სხვაობით.

უ) 21-ე უჯრაში - დამატებით დარიცხული და გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც მიიღება მე-15, მე-16, მე-17 და მე-19 უჯრების სხვაობით.

ფ) 22-ე უჯრაში -შემცირებას დაქვემდებარებული სოციალური გადასახადი, რომელიც მიიღება მე-11 და მე-18 უჯრების სხვაობით.

ქ) 23-ე უჯრაში -შემცირებას დაქვემდებარებული საშემოსავლო გადასახადი, რომელიც მიიღება შემდეგი ფორმულით: მე-16, მე-17 და მე-19 უჯრებში ასახულ მონაცემთა ჯამს გამოაკლდება მე-15 უჯრაში ასახული მონაცემი. ამასთან, მე-17 უჯრის მონაცემი არ უნდა აღემატებოდეს მე-15 უჯრაში ასახულ მონაცემს.

მაგალითი 14:

პირობები იგივეა, რაც მე-11 მაგალითში იმ განსხვავებით, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავლების მიხედვით საშემოსავლო გადასახადით დაბეგურის ობიექტი შეადგენს 12 000 ლარს, ხოლო უცხო ქვეყანაში გადახდილი გადასახადი -2 400 ლარს (12 000X20%). თანხა, რომელიც დარიცხული იქნებოდა ამ შემოსავლებზე საქართველოში მოქმედი წესითა და განაკვეთით -1440 ლარს (12 000X12%).

მოცემულ პირობებში:

დეკლარაციის მე-17 უჯრაში აისახება მე-15 უჯრაში ასახული გადასახდელი გადასახადი 1104 ლარი, რადგან მე-17 უჯრაში ასახული გამოსაკვეთი გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს მე-15 უჯრაში ასახულ ბიუჯეტში გადასახდელ თანხას.

მუხლი 4

1. დეკლარაციის III ნაწილი იესება საგადასახადო ორგანოს მიერ.

საკანონმდებლო სიასლენი

საკანონმდებლო სიასლენი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება № 51

2007 წლის 29 იანვარი ქ. თბილისი

“ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გაანგარიშების ფორმის” დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 21 იანვრის № 31 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

(სსმ 31.02.2007 წ., 13 მუხ. 135)

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი
210.070.000.22.033.009.867

“ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-3 მუხლის საფუძველზე, “ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლები შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლისა და მე-9 მუხლის შესრულების მიზნით, ებრძანება:

1. “ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გაანგარიშების ფორმის” დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 21 იანვრის 31 ბრძანებით (სსმ III, 2005წ., № 9, მუხ. 95) დამტკიცებულ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გაანგარიშების ფორმაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი №1).

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ა. ალექსიშვილი



საკანონმდებლო სიასლენი

დანართი №1

გსნ ----- გვერდი -----

ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი -----

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გაანგარიშება

I.

გაანგარიშების სახე ----- საანგარიშო თვის ნომერი ----- საანგარიშო წელი -----

წარედგინება -----
(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

საქართველოს საწარმო ----- ფიზიკური პირი -----

უცხოური საწარმოს დაწესებულება ----- სხვა საწარმო -----

(საჭირო აღნიშნეთ V ნიშნით)

(საწარმოს სრული დასახელება/ინდემქწარმის გვარი, სახელი)

მისამართი: ბინა, კორპუსი, ქუჩა, ქალაქ/რაიონი ----- საკონტაქტო
ტელეფონი -----

მოცემული გაანგარიშება შედგენილია ----- ფურცელზე
თანდართული დამადასტურებელი დოკუმენტები ----- გვერდი

გაანგარიშებაში მოცემული მონაცემების უტყუარობასა და სისრულეს
ვადასტურებ:

საწარმოს ხელმძღვანელი -----	-----	-----	-----
(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)	(თარიღი)	
ფიზიკური პირი (სახელი, გვარი) -----	(ხელმოწერა) -----	(თარიღი) -----	

II. ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ აღნიშვნა გაანგარიშების წარმოდგენის შესახებ:

გაანგარიშება წარმოდგენილია ფოსტით ----- პირადად -----

მოცემული გაანგარიშება შედგენილია ----- ფურცელზე

თანდართული დამადასტურებელი დოკუმენტები ----- გვერდი

წარმოდგენის თარიღი -----

რეგისტრაციის ნომერი -----

(სახელი, გვარი) ----- (ხელმოწერა) -----

სახელი ეკონომისტი



საკანონმდებლო სიახლენი



გსნ

გვერდი

III. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გაანგარიშება

გარემოდან ამოღებული (მომოცულებული) ბუნებრივი რესურსის ძირითადი სახეობები (ჯგუფებისა) და კონკრეტული სახეობათა დასახელების ჩათვლით) ბუნებრივი რესურსების დანახელება	ზომის ერთეული	გარემოდან ამოღებული (მოპოვებული) ბუნებრივი რესურსების მოცულობა (რაოდენობა)	მოცულობა (რაოდენობა), რომელიც არ მიეკუთვნება მოსაკრებლის გადახდას	მოსაკრებლის გადახდას დაქვემდებარებული ბუნებრივი რესურსების მოცულობა (რაოდენობა) (სტკ 3-სტკ 4)	მოსაკრებლის განაკვეთი	გადახდას დაქვემდებარებული მოსაკრებლის თანხა (სტკ 5 X სტკ 6)
1	2	3	4	5	6	7
8					ჯამი	

შენიშვნა:

- სოფლის მეურნეობაში გამოყენებული წყლის რესურსების მოსაკრებლის გადახდები მოსაკრებლის გაანგარიშებას თავისი ადგილსამყოფლის მიხედვით საგადასახადო ორგანოს წარუდგენენ ყოველი წლის 1 დეკემბრამდე;

- ტყის ფონდის ზეზეული ხეების მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გადახდები მოსაკრებლის გაანგარიშებას, თავისი ადგილსამყოფლის მიხედვით საგადასახადო ორგანოს წარუდგენენ არა უგვიანეს ტყიდან მათი ტრანსპორტირებისა. ამასთან, პირებს, რომლებიც აკონომიკური საქმიანობის ფარგლებში სისტემატიურად (ყოველდღიურად) ახდენენ ზემოაღნიშნული რესურსების გარემოდან ამოღებას, შეუძლიათ წინასწარ წარადგინონ მოსაკრებლის გაანგარიშება თვის მოსალოდნელი მოსაპოვებელი რესურსების მოცულობების მიხედვით, რომელიც შემდგომში ექვემდებარება შესაბამისი სასაქონლო ზედნადებით განაშთავს;

- მცენარეთა არამერქნული რესურსებით და მათი პროდუქტებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი გადახდება წინასწარ ლიცენზიის მიღებამდე;

- მინერალურ წყლებზე ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი გადახდება წილით სარგებლობის ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს ყოველი კვარტლის მომდევნო თვის 15 რიცხვისა ამ პერიოდის განმავლობაში ლიცენზიით განსაზღვრული წლიური ოდენობის მიხედვით თანაბარ ნაწილებად;

- სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი გადახდება ნბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებო საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მე-9 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადებში.

-გაანგარიშების:

პირველ სვეტში შეიტანება იმ დასაბეგრი ობიექტების დასახელება, რომლებზეც ხდება მოსაკრებლის გადახდა;

მე-2 სვეტში შეიტანება ბუნებრივი რესურსების სახეობათა მიხედვით ის ზომის ერთეული, რომლითაც ისაზღვრება დასაბეგრი ობიექტის ოდენობა (გრამი, კილოგრამი, ტონა, კუბური მეტრი);

სახლი მეცნიერებისა



საკანონმდებლო სიახლენი

მე-3 სვეტში შეიტანება გარემოდან ამოღებული (მოპოვებული) ბუნებრივი რესურსების მოცულობა (რაოდენობა);

მე-4 სვეტში შეიტანება ბუნებრივი რესურსების ის მოცულობა (რაოდენობა), რომელზეც ვრცელდება შეღავათები;

მე-5 სვეტში შეიტანება მოსაკრებლის გადახდას დაქვემდებარებული ბუნებრივი რესურსების მოცულობა (რაოდენობა) (სვ3- სვ.4);

მე-6 სვეტში შეიტანება მოსაკრებლის ის განაკვეთი, რომელიც კონკრეტულად განსაზღვრულია პირველ სვეტში მოცემული მოსაკრებლის გადახდას დაქვემდებარებული თითოეული ობიექტისათვის;

მე-7 სვეტში შეიტანება მე-5 და მე-6 სვეტებში მოცემული სიდიდეების ნამრავლი;

მე-8 სვეტში შეიტანება მე-7 სვეტში მოცემული გადახდას დაქვემდებარებული მოსაკრებლის თანხების ჯამი.

განაგარიშების უტყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ:

ხელმძღვანელი _____	_____	_____
(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)	(თარიღი)
ფიზიკური პირი _____	_____	_____
(სახელი, გვარი)	(ხელმოწერა)	(თარიღი)

სახელი მკონომისტი



საკანონმდებლო სიახლეები

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება № 1442

2006 წლის 22 ნოემბერი ქ. თბილისი

ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით,
მემკვიდრეობით ან ჩუქვებით მიღებული შემოსავლების დეკლარაციის
ფორმისა და მისი შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების
თაობაზე

(სსმ 27.11.2006 № 159 მუხ. 2184)

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი
200. 250.000.22.033.009.584

საკანონმდებლო სისტემა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-3 მუხლის, 95-ე მუხლის მე-5 ნაწილის, 217-
ე მუხლის 8-11 ნაწილებისა და „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების
დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის 39 დადგე-
ნილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის “ღ” ქვეპუნქტის
საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული რედაქციით:

ა) ინსტრუქცია „ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით,
მემკვიდრეობით ან ჩუქვებით მიღებული შემოსავლების დეკლარაციის შევსების წესის
შესახებ“ (დანართი № 1);

ბ) „ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით, მემკვიდრეობით
ან ჩუქვებით მიღებული შემოსავლების დეკლარაციის“ ფორმა (დანართი № 2).

2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ფიზიკური
პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით, მემკვიდრეობით ან ჩუქვებით
მიღებული შემოსავლების დეკლარირების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა
მინისტრის 2004 წლის 31 დეკემბრის № 900 ბრძანება.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ა. ალექსიშვილი



საკანონმდებლო სიხსენი

დანართი № 1

ი ნ ს ტ რ უ ძ ც ი ა

ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით, მემკვიდრეობით ან მემკვიდრეობით ან ჩუქავით მიღებული შემოსავლების დეკლარაციის შემსახადის წესის შესახებ

მუხლი 1.

1. ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივის რეალიზაციით, მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული შემოსავლების დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება ეკისრება ფიზიკურ პირებს, რომლებიც:

ა) რეალიზაციას უკეთებენ 2 წლამდე საკუთრებაში არსებულ მატერიალურ აქტივებს (გარდა სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში აქტივების ან/და ფასიანი ქაღალდების რეალიზაციისა);

ბ) საგადასახადო წლის განმავლობაში საჩუქრად (უსასყიდლოდ) იღებენ 1000 ლარის და მეტი ღირებულების ქონებას, გარდა I-II რიგის მემკვიდრეებისაგან მიღებული ქონებისა;

გ) წარმოადგენენ III-IV რიგის მემკვიდრეებს და საგადასახადო წლის განმავლობაში შესაბამისი პირებიდან მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიიღეს 150000 ლარის და მეტი ღირებულების ქონება.

2. გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირები დეკლარაციას საგადასახადო ორგანოში წარადგენენ საგადასახადო აღრიცხვის, ხოლო საგადასახადო აღრიცხვის არარსებობის შემთხვევაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით,

მატერიალური აქტივის გადაცემამდე.

3. დეკლარაციაში მიეთითება გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი (თუ ასეთი ნომერი მინიჭებული ჰქონდა საგადასახადო ორგანოს მიერ), და საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობაში ფიქსირებული პირადი ნომერი. ამასთან, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირები, რომლებსაც დეკლარაციის შევსების დღისათვის მინიჭებული არა აქვთ საიდენტიფიკაციო ნომერი, ვალდებული არიან დადგენენ საგადასახადო აღრიცხვაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2.

1. დეკლარაციის პირველ უჯრაში სრულად აღინიშნება გადამხდელის სახელი, გვარი და მისამართი.

2. მე-2 უჯრაში მიეთითება - რეალიზებული, მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული მატერიალური აქტივების დასახელება (საცხოვრებელი სახლი, ბინა მრავალსართულიან სახლში, ავტოფარეხი, მიწის ნაკვეთი, აქციები და ა.შ.) იმ შემთხვევაში თუ ხდება ერთდროულად რამოდენიმე მატერიალური აქტივის რეალიზაცია, მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღება, დეკლარაციას შეიძლება დაერთოს ასეთი ქონების ჩამონათვალი, (მისამართის (ადგილსამყოფელის) მითითებით) დანართის სახით.

3. მე-3 უჯრაში მიეთითება - რეალიზებული ან ჩუქებით მიღებული მატერიალური აქტივების მისამართი (ადგილსამყოფელი).

4. მე-4 უჯრაში მიეთითება - მატერიალური აქტივების გადაცემის სახის გათვალისწინებით შესაბამისი ციფრი, კერძოდ:

საკანონმდებლო სიხსენი



- ა) რელიზაცია - „1“;
- ბ) მემკვიდრეობა - „2“;
- გ) ჩუქება - „3“.

5. მე-5 უჯრაში მიეთითება - რელიზატორის მიერ მატერიალური აქტივებზე საკუთრების წარმოშობის თარიღი (წელი, თვე, რიცხვი), ივსება იმ შემთხვევაში თუ დეკლარაციის წარდგენის საფუძველია ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივის რელიზაცია, სხვა შემთხვევაში იწერება - „X“.

6. მე-6 უჯრაში მიეთითება - გადასაცემ მატერიალურ აქტივზე საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელება რეკვიზიტების მითითებით (ნასყიდობის ხელშეკრულება, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ანდერძი და ა.შ.).

7. მე-7 უჯრაში მიეთითება - ქონების მემკვიდრეობით (ჩუქებით) მიღების შემთხვევაში ნათესაური კავშირი ქონების მესაკუთრესთან (მაგ. „ბიძა“ „დისშვილი“ „მეუღლე“ და ა.შ.). ნათესაური კავშირის არარსებობის შემთხვევაში სტრიქონში შეიტანება - „X“.

8. მე-8 უჯრაში მიეთითება - ნათესაური კავშირის გათვალისწინებით შესაბამისი ციფრი, კერძოდ:

ა) I-II რიგის მემკვიდრეები (მეუღლეები, შვილები, შვილიშვილები, მშობლები, ნაშვილები, მშვილებელი, დები და ძმები, დისშვილები და ძმისშვილები) - „1“;

ბ) III-IV რიგის მემკვიდრეები (ბებიები და პაპები, ბებიების და პაპების დედ-მამები, ბიძები, მამიდები, დეიდები) - „2“;

გ) ნათესაური კავშირის არარსებობის შემთხვევაში - „0“.

9. მე-9 უჯრაში მიეთითება - მატერიალური აქტივის რელიზაციის შემთხვევაში ხელშეკრულებაში მითითებული თანხა. მემკვიდრეობით ან ჩუქებით მატერიალური აქტივის მიღებისას ღირებულება განისაზღვრება საბაზრო ფასით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 22-ე მუხლის მიხედვით.

10. მე-10 უჯრაში მიეთითება - მატერიალური აქტივის შექმნაზე ან მის მიღებაზე გაწეული ხარჯები ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამასთან, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს ცნობის გაცემა მდე მოითხოვოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები მათი კამერალური წესით შემოწმების მიზნით, ასევე შეიტანოს შესწორებები რელიზაციის დაფიქსირებულ ფასში, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 22-ე მუხლის 10-ე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

11. მე-11 უჯრაში მიეთითება - მიმდინარე კალენდარული წლის განვლილ პერიოდში ფიზიკური პირისაგან ჩუქებით, მემკვიდრეობით, მიღებული მატერიალური აქტივების ღირებულება (გარდა I-II რიგის მემკვიდრეებისაგან მიღებული ქონებისა) ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დეკლარაციის წარდგენის საფუძველია ფიზიკური პირის მიერ ქონების მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღება, სხვა შემთხვევაში იწერება „X“.

12. მე-12 უჯრაში მიეთითება - მე-11 უჯრიდან გამოყოფილი მიმდინარე კალენდარული წლის განვლილ პერიოდში III-IV რიგის მემკვიდრეებისაგან მიღებული მატერიალური აქტივების ღირებულება, ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დეკლარაციის წარდგენის საფუძველია ფიზიკური პირის მიერ ქონების მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღება, სხვა შემთხვევაში იწერება „X“.

13. მე-13 უჯრაში მიეთითება - მე-11 უჯრიდან გამოყოფილი მიმდინარე კალენდარული წლის განვლილ პერიოდში სხვა ფიზიკური პირისაგან მიღებული მატერიალური აქტივების ღირებულება, ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დეკლარაციის წარდგენის



საკანონმდებლო სიახლენი

საფუძველია ფიზიკური პირის მიერ ქონების მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღება, სხვა შემთხვევაში იწერება „X“.

14. მე-14 უჯრაში მიეთითება - შედგავთები საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის თანახმად (მუხლისნაწილების მითითებით). ამ უჯრას ავსებენ მხოლოდ ის ფიზიკური პირები, რომლებიც არ ეწვეიან ეკონომიკურ საქმიანობას, მათ შორის დაქირავებული შრომის სახით. პირებს, რომლებიც ეწვეიან ეკონომიკურ საქმიანობას უფლება არ აქვთ შეაგონ დასახელებული უჯრა, ამასთან საგადასახადო კოდექსის 217-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად მათ შეუძლიათ საგადასახადო ორგანოებში წარადგინონ დეკლარაცია გადასახადის გადაანგარიშებისა და ანაზღაურების მოთხოვნით.

15. მე-15 უჯრაში მიეთითება - დასაბუერი შემოსავალი, რომელიც გამოითვლება შემდეგი წესით:

ა) აქტივის რეალიზაციისას - უჯრა(9-10-14);

ბ) აქტივის ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებისას III-IV რივის მემკვიდრეებისაგან - უჯრა 9-10+12-ციფრი150000. ამასთან, უჯრა 12-ის მონაცემი ფორმულაში არ შეიძლება იყოს 150000-ზე მეტი, მოცემულ შემთხვევაში ფორმულაში დასახელებულ მე-12 უჯრაში შეიტანება ციფრი 150000, უარყოფითი ციფრის მიღების შემთხვევაში იწერება „0“, თავის მხრივ საგადასახადო ორგანო კამერალური წესით აზუსტებს ნამეტ თანხაზე საგადასახადო ვალდებულების სრულად შესრულების საკითხს;??

გ) აქტივის ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებისას სხვა ფიზიკური პირისაგან - უჯრა 9-10+13-ციფრი1000, უარყოფითი ციფრის მიღების შემთხვევაში იწერება „0“, ამასთან, უჯრა 13-ის მონაცემი ფორმულაში არ შეიძლება იყოს 1000-ზე მეტი. მოცემულ შემთხვევაში ფორმულაში დასახელებულ მე-13 უჯრაში შეიტანება ციფრი 1000, თავის მხრივ საგადასახადო ორგანო კამერალური წესით აზუსტებს ნამეტ თანხაზე საგადასახადო ვალდებულების სრულად შესრულების საკითხს.

16. მე-16 უჯრაში მიეთითება - გადასახდელი გადასახადის თანხა, რომელიც გამოითვლება დასაბუერი შემოსავლის (უჯრა 15) გამრავლებით საშემოსავლო გადასახადის განაკვეთზე (12%), აღნიშნული თანხა შემცირდება ამ ქონების მიხედვით გადახდილი (მათ შორის, წინა საგადასახადო პერიოდებში) საშემოსავლო გადასახადის თანხით (საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 190).

17. მე-17 უჯრაში მიეთითება - მატერიალური აქტივის ფაქტობრივად გადაცემის თარიღი (წელი, თვე, რიცხვი).

18. მე-18 უჯრაში მიეთითება - დარიცხული გადასახადის გადახდის ვადები და თანხები, რომლებიც საგადასახადო კოდექსის 217-ე მუხლის 10-ე ნაწილის თანახმად ითვრება 2 წელზე გაწერილი შესაბამისი ვადებისა და თანხების მითითებით.

19. დეკლარაციაში შეტანილი მონაცემების სისწორე დასტურდება გადაამხდელის ხელისმწვერით.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მკვლევართა საბჭოს განცხადებით

საკანონმდებლო სიახლენი

დანართი №2

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით,
მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული შემოსავლების

დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა

გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი

გადამხდელის პირადი ნომერი

საბანკო ეკონომისტები

1	მატერიალური აქტივების რეალიზატორის (ჩუქებით, მემკვიდრეობით მიღების) სახელი, გვარი, მისამართი			
2	რეალიზებული (ჩუქებით, მემკვიდრეობით მიღებული) მატერიალური აქტივების დასახელება			
3	რეალიზებული (ჩუქებით, მემკვიდრეობით მიღებული) მატერიალური აქტივების მისამართი (ადგილსამყოფელი)			
	მატერიალური აქტივის გადაცემის სახე: 1 - რეალიზაცია; 2 - მემკვიდრეობა; 3 - ჩუქება	4		
	რეალიზატორის მიერ მატერიალურ აქტივებზე საკუთრების წარმოშობის თარიღი (წელი, თვე, რიცხვი)	5		
	გადასაცემ მატერიალურ აქტივზე საკუთრების წარმოშობის საფუძველი ქონების მემკვიდრეობით (ჩუქებით) მიღების შემთხვევაში ნათესაური კავშირი ქონების შესაკუთრებთან	6		
		7	8	
			დასახელება	
	რეალიზებული (ჩუქებით, მემკვიდრეობით მიღებული) მატერიალური აქტივის ფასი (ღირებულება) (ლარი)	9		
	მატერიალური აქტივის შემსახე, წარმოებაზე, ჩუქებასთან, მემკვიდრეობის მიღებასთან, დაკავშირებული ხარჯები	10		
	მიმდინარე კალენდარული წლის განხილვით პერიოდში ფიზიკური პირისაგან ჩუქებით (მემკვიდრეობით) მიღებული მატერიალური აქტივების ღირებულება (გარდა I და II რიგის მემკვიდრეებისაგან მიღებული ქონებისა)	11		
	მათ შორის III და IV რიგის მემკვიდრეებისაგან მიღებული მატერიალური აქტივები	12		
	სხვა ფიზიკური პირისაგან მიღებული მატერიალური აქტივები	13		
	შელაგაბებით საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის ----- ნაწილ(ებ)ის თანახმად	14		
	დასაბერი შემოსავალი	15		
	გადასახდელი გადასახადის თანხა საგადასახადო კოდექსის 190-ე მუხლის გათვალისწინებით	16		
	მატერიალური აქტივის ფაქტობრივად გადაცემის თარიღი (წელი, თვე, რიცხვი)	17		
	დარიცხული გადასახადის გადახდის ვადა საგადასახადო კოდექსის 217-ე მუხლის მე-7 და მე-9 ნაწილების გათვალისწინებით	18	საეალო	თანხა

გადამხდელის ხელის მოწერა /- - - - -/ თარიღი - - - - -

ბიზნისის ისტორიიდან

ტურიზმის ისტორიიდან

ბიორბი მჯეღლიძე

ისტორიკოს-კულტუროლოგი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

საქართველო დიდი ტურიზმის მოღვაწეა. სხვადასხვა თაობის მკვლევართა ფუნდამენტური კვლევები უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია საქართველოში ტურიზმის და განსაკუთრებით კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის.

ცნობილია, რომ ტურიზმს, როგორც ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სახეს, უძველესი ისტორია აქვს. ადამიანებს ყოველთვის იზიდავდა აქტიური დასვენება, რომელიც ხშირ შემთხვევაში მოგზაურობაში გამოიხატებოდა.

ცნობები პირველი მოგზაურების შესახებ ანტიკური დროიდან ჩნდება. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 776 წლიდან, ათასობით ადამიანი მიემგზავრებოდა ოლიმპიაში სპორტულ შეჯიბრებებსა და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად ან მათ სანახავად. საინტერესოა, რომ ასეთი მოგზაურები სრული ხელშეუხებლობით სარგებლობდნენ მეზობელ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე. ისეთი ცნობილი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: ციცერონი, ლეონარდო და ვინჩი და სხვა მრავალი, მოგზაურობდნენ სამყაროს შესწავლისა და ცოდნის შექმნის მიზნით, რადგან მოგზაურობა უძველესი დროიდან ითვლებოდა ადამიანის განსწავლულობის წყაროდ.

გზების სისტემა ეგვიპტიდან ბრიტანეთამდე რომის იმპერიის დროიდან შეიქმნა. მდიდარ რომაელებს იტაცებდა მოგზაურობა ეგვიპტესა და საბერძნეთში. მათი

ცნობისმოყვარეობა ახლისა და საინტერესოსადმი თითქმის არაფრით განსხვავდებოდა თანამედროვე ტურისტების ინტერესებისაგან. ისინი ათვალნიერებდნენ ბერძნულ ტაძრებს, ეგვიპტის პირამიდებსა და სფინქსებს, ადგილებს, სადაც განიხილავდნენ ალექსანდრე მაკედონელი, ცხოვრობდა ფილოსოფოსი სოკრატე და ა.შ.

რომის იმპერიის ძლიერება მის კულტურაშიც მკვლევებოდა. ყველგან გაჟღერებულად გზები, იგებოდა გრანდიოზული წყალსადენები, უზარმაზარი ამფითეატრები, ტაძრები და აბანოები, ტრიუმფალური თაღები. რომაელებმა მომავალ თაობებს დაუტოვეს მდიდარი მემკვიდრეობა – ათვისებელი „ცივილიზებული“ სივრცე.

მაგრამ, საზოგადოება განუწყვეტლივ მოძრაობს – შესაბამისად იცვლება მსოფლიოც. ისტორიის ყოველი ეპოქა კი ისტორიულად განპირობებულ, სამყაროს თავისებურ სურათს ტოვებს.

დროთა განმავლობაში ბარბაროსების განუწყვეტელი შემოსევების შედეგად დაიგრა რომის ცივილიზაცია და მასთან ერთად ცივილიზაციურობის ის დონე, რაც მრავალი საუკუნის განმავლობაში იქმნებოდა. ამიტომაც შემთხვევითი არაა, რომ იმპერიის დაღუპვის მერე მომდევნო პირველ საუკუნეებს უწოდებენ „ბნელს“. მოსახლეობა იტანჯებოდა განუწყვეტელი ომებისაგან, დამპყრობელთა სისასტიკისა და შიმშილისაგან. ცარიელდებოდა ქალაქ-

სახელი მკონიძის

ბი, ინგროდა ხელოვნების უძვირფასესი ნიმუშები, წყდებოდა ვაჭრობა. იზრდებოდა მიტოვებული, დაუმუშავებელი მიწების ფართობი. შუა საუკუნეების დასაწყისში დასავლეთ ევროპა ასე გამოიყურებოდა: ტყისა და დაუმუშავებელი მიწების უზარმაზარი სივრცეები, აქა-იქ მიმოფანტული სოფლებით.

საინტერესოა, როგორ ხელაფდა და აღიქვამდა ქვეყნიერებას ადამიანი კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე. ეს წერილიც ხომ ადამიანური ყოფისა და საქმიანობის ერთ-ერთ არსებით თვისებაზე მოგვითხრობს.

ერთი შეხედვით, შუა საუკუნეებში მცხოვრებ ადამიანს შინ ჯდომას არაფერი ერჩევნა, მაგრამ ეს – ერთი შეხედვით. შუა საუკუნეებში იდამიანები „მომკიდები“ იყვნენ და „უძრავნიც“ დაქირავებული ჯარისკაცები და ვაჭრები, ხელოსნები და პილიგრიმები, ბერები, შიმშილსა თუ სენიორის სისასტიკეს გამოქცეული გლეხები – მთელი ეს ჭრელი საზოგადოება სძლედა რა სივრცესაც და საკუთარ შიმშილსაც, განუწყვეტლივ არღვევდა უცვლელობას სივრცეში. ამ მხრივ, მაშინდელი ინტელექტუალებისათვის ნიშანდობლივია შუა საუკუნეების ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერის, ანსელმის (1033-1109 წწ.) ცხოვრების გზა. ის ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ აოსტაში დაიბადა და გაიზარდა, შემდეგ, გადალახა რა ალპები, ნორმანდიაში ჩავიდა სასწავლებლად, ხოლო სიცოცხლე ინგლისში დაასრულა, როგორც კენტერბერის არქიეპისკოპოსმა. შუა საუკუნეების ღვთის მსახურებისა და მეცნიერების საერთო ენა – ლათინური – აადვილებდა ღვთისმეტყველთა და სასულიერო პირთა ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასვლას, ისევე, როგორც გაბატონებული კლასის წესჩვეულებათა ერთიანობა ხელს უწყობდა რაინდს, ერთი ფეოდალის კარიდან მეორე ფეოდალის კარზე გადასულიყო.

იმხანად, რაღა თქმა უნდა, ამგვარ გადაადგილებას ძალიან დიდხანს უნდებოდა. დღე-ღამეში მხოლოდ რამდენიმე ათეული კილომეტრის გაგლას ახერხებდნენ. მაგალითად, ნეაპოლიდან ფლორენციაში ჩასვლას თერთმეტი-თორმეტი დღე სჭირდებოდა. ნელა მგზავრობდნენ არა მარტო იმიტომ, შუა საუკუნეობრიობა დროს რომ არ უფროხილდებოდა მაინცდამაინც, არამედ იმიტომაც, რომ სატრანსპორტო საშუალებანი არ უვარგოდათ.

აქა-იქ კიდევ არსებობდა რომაელთა მიერ გაყვანილი მოკრწყლული და, უპირველეს ყოვლისა, ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი გზები, მაგრამ იმის თქმა, თუ როგორ გამოიყურებოდა ეს გზები შუა საუკუნეებში, ძნელია. ხშირად, ახლომახლო მცხოვრები მიწათმოქმედები ამ გზების ქვაფენილს საკუთარი სახლების მშენებლობისათვის იყენებდნენ. ჯერ კიდევ კარლოს დიდი, შემთხვევიდან-შემთხვევამდე ბრძანებდა, დაესუფთავებინათ და მოეკრწყლათ გზები, მაგრამ, ეტყობა, ეს ბრძანებები მაშინ გაიცემოდა ხოლმე, როცა იმპერატორი სადმე გამგზავრება დააპირებდა. ჩვეულებრივი გზები იმდენად ვიწრო იყო, ორი ურემი ვერ აუქცევდა ერთმანეთს გვერდს. მეცამეტე საუკუნეში კანონიკი არსებობდა იმის შესახებ, რომ ცარიელ ურემს სავესთოვის გზა უნდა დაეთმო. ორ ურემს ერთმანეთისათვის თავისუფლად გვერდის ავლა მხოლოდ საფრანგეთში, ე.წ. „სამეფო გზებზე“ შეეძლო. იდეალურად ითვლებოდა ის გზა, სამი ცხენი გვერდიგვერდ თუ გაივლიდა ერთდროულად, ან, როგორც მაშინ ამბობდნენ, პატარძალს ისე ჩაატარებდნენ, კაბის კალთით მიცვალებულის კუბოს არ გამოსდებოდა. კაცმა რომ თქვას, ეს გზები სხვა არაფერი იყო, თუ არა მინდროსა და ტყეში გაკეალული ბილიკები. თანაც, ამ ბილიკებით სარგებლობა მხოლოდ კარგ ამინდში შეიძლებოდა. ზამთარში, ან თუნდაც წვიმის დროს, ისინი სრულიად გაუვალი ხდებოდნენ.

ხანა, კანონისა



ბიზნესის ისტორიიდან

შედარებით უკეთესი გზებით საფრანგეთი გამოირჩეოდა, რადგან აქ მუყევა და მონასტრებიც მკაცრად აღევნებდნენ თვალყურს მათ მშენებლობასაც და მოვლავატრონობასაც. ამ გზების ნაწილი უკვე მეთერთმეტე საუკუნის დასასრულისათვის ყოფილა მოკირწყლული.

ამ დროისათვის დიდ მდინარეებზე გადაებული რომაული ხიდები უკვე დანგრეული იყო, ახლების მშენებლობას კი ჯერ მხოლოდ იწყებდნენ. კარლოს დიდის დროს დუნაიზე ააგეს პონტონებიანი ხიდი, თუმცა, პრაქტიკულად, ამ ხიდით არც სარგებლობდნენ. მაინცის მახლობლად დღესაცაა შემორჩენილი ქვის ხარები, ნაშთი რომაელთა მიერ აგებული ხიდისა, რომლებიც შემდეგაც გამოუყენებიათ ხის ხიდის მშენებლობისას; 813 წელს ეს ხიდიც დაუწვეთ სხვადასხვა მიზეზთა გამო. ასეა თუ ისე, ხიდი დიდხანს აღარ აღუდგენიათ. მეთორმეტე საუკუნიდან გარკვეული მნიშვნელობა ეძლევა ხიდების მშენებლობას. 1135-1146 წლებში დუნაიზე, რეგენსბურგის მახლობლად ქვის ხიდი აუგიათ, რომელიც თექვსმეტი მალისაგან შედგებოდა. ხოლო 1225 წელს რაინზე, ბახულის მახლობლად აგებული ხიდი ჯერ ისევ ხისა ყოფილა. უფრო ხშირად ხიდებს პატარა მდინარეებზე აგებდნენ, თანაც ძირითადად ხისგან; მაგრამ ამგვარი ხიდები იმდენად არასაიმედო იყო, რომ მათზე ურმებიც ვერ გადაიოდა. შედარებით მაღალ დონეზე იდგა ქვის ხიდების მშენებლობა ჩრდილოეთ იტალიაში, სადაც, ეტყობა, კიდევ შემორჩენილიყო რომაული ტრადიცია.

პირუტყვის შებენის რომაული სისტემა მეტად პრიმიტიული იყო; ხარებს პირდაპირ რქებზე, ხოლო ცხენებს კისერზე აბამდნენ დვევს. გამოთვლილია, რომ ასეთ დროს პირუტყვს შეეძლო გაეწია არა უმეტეს სამოცდარი კილოგრამისა (ე.ი. ოთხჯერ ნაკლები, ვიდრე დღეს). ამგვარად შებამულ პირუტყვს მძიმე გუთნის გა-

ტანაც უჭირდა და დატვირთული ურმის დაძვრაც. სწორედ ადრეულ შუა საუკუნეებს ემთხვევა მუშა საქონლის აღკაზმულობის მთელი რიგი გაუმჯობესებანი, უპირველეს ყოვლისა, გავრცელდა რკინის ნალი: რომაელები ცხენებისა და აქლემებისათვის ხმარობდნენ სხვა ლითონის ნალებს, ან ტყავისა და ჩალის ამოსაკრავებს, ისიც განსაკუთრებულ შემთხვევაში. ხოლო იმ ნალმა, რომლითაც დღეს ჭედავენ ცხენს და რომელიც ჯერ კიდევ რომის იმპერიის ჩრდილოეთ პროვინციებში განჩნდა, საყოველთაო გავრცელება, ეტყობა, მხოლოდ მეათე საუკუნეში ჰპოვა. ნალი არა მარტო დაზიანებისა და გაცვეთისაგან იცავდა ფლოქებს, არამედ ცხენს მძიმე ტვირთის გადატანასაც უადვილებდა; დაჭედილი ცხენი უფრო მყარად იდგა მიწაზე.

დღეები ანტიკური გამოგონებაა, მაგრამ, აი, უზანგი კი მხოლოდ მერვე საუკუნის გარიჟრაჟზე ჩნდება დასავლეთ ევროპაში, ალბათ, აღმოსავლელი ტომების გავლენით. უზანგების გამოგონებამ მცირე როლი როდი ითამაშა სამხედრო საქმის გადახალისებისა და მძიმედ შეიარაღებულ რაინდთა კავალერიის შექმნაში, მაგრამ, ამასთან ერთად, დიდად შეუწყო ხელი სატრანსპორტო საშუალებების გაუმჯობესებასაც.

საეაჭრო ურთიერთობების და, შესაბამისად, მოგზაურობის განვითარებას არა მარტო ცუდი გზები და ხიდების სიმცირე აფერხებდა, რაც, თავის მხრივ, შუა საუკუნეობრივი კომუნიკაციების სისუსტის მაჩვენებელი იყო, არამედ, თავად შუა საუკუნეების სოციალური პირობები, რომლებსაც შემოდებული გაცვლა-გამოცვლა აჩენდა, თავის მხრივ ხელს უშლიდა ამ ურთიერთობების მოგვარებას. საქმე მარტო ის არაა, რომ ვთქვათ, ტყეები ყანადებით იყო სავსე, ხშირად მიხვლა-მოსვლას თვით ფოვოდლთა მიერ მოუწესრიგებელი კანონები აღუდგებოდა ხოლმე წინ. უპირველეს ყოვლისა, მრავალრიცხოვანი საბაჟოები საქონლის გადატანასაც აძვირებდა

ხალხი აკონიანისზე



ბიზნისის ისტორიიდან

საქონლის მკვირვებნი

და, საერთოდ, მიმოსვლასაც ამუხრუჭებდა. საბაჟოების სიმრავლით განსაკუთრებით გერმანია გამოირჩეოდა. მდინარე რაინზე, ბაზელსა და როტერდამს შორის, ყოველ ათ კილომეტრში საბაჟო იყო განთავსებული; ელბაზე, პრალსა და ჰამბურგს შორის – ყოველ თოთხმეტ კილომეტრში, ხოლო დუნაიზე, ულმსა და პასაუს შორის – ყოველი თხუთმეტი კილომეტრის შემდეგ. ვაჭრები ბაზრობებზე სენიორთა მიერ წინასწარ დადგენილი გზით უნდა გამგზავრებულიყვნენ. ფეოდალური კანონმდებლობა კარნახობდა მგზავრს, რა გზით ევლო, სად ჩამომხდარიყო გზადაგზა: რომელ ფუნდუკში, რომელ სამჭედლოში, რომელ მეუნაგირესთან. ხშირად ასეთი ჩამოხდომები სავალდებულოდაც ცხადდებოდა ხოლმე; ჩვეულება განსაზღვრავდა, რა რაოდენობით მოემარაგებინათ მგზავრებს ესა თუ ის საჭირო ნივთი ყოველი შეჩერების დროს. განსაკუთრებული კანონის საფუძველზე, ურმის გადაბრუნებისა თუ პირუტყვის დაკარდნისას, რაც კი მიწაზე დაიჭრებოდა, ამ მიწის მფლობელის საკუთრება ხდებოდა.

სახმელეთო მიმოსვლის სირთულე და ხანგძლივობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენდა წყლის არტერიებს. ისეთი დიდი მდინარეები, როგორებიცაა დუნაი და რაინი, შუა საუკუნეებში მიმოსვლის საუკეთესო გზებად იქცნენ. ზღვითაც გაცილებით სწრაფად, იაფად და საიმედოდ გადაჰქონდათ ტვირთი თუ ინფორმაცია, ვიდრე სახმელეთო გზებით.

რა თქმა უნდა, უხიფათო არც საზღვაო მოგზაურობა იყო. თუ ტყეები ყინაღთა ბუნებაზე იყო გადაქცეული, ზღვებზე მეობრეთა ხომალდები დათარეშობდნენ; ის კი არა, ზოგჯერ სავაჭრო თუ სამხედრო გემებიც არ თავიღობდნენ მარცვა-გლეჯას. სანავსადგურო ბაჟიც საკმაოდ დიდი იყო. სანაპირო კანონმდებლობის თანახმად, გემის დაღუპვის შემდეგ გამორიყული

ნივთი იმის საკუთრება ხდებოდა, ვის სამფლობელოშიც ნაპირი შედიოდა.

იმდროინდელ ხომალდებზე არ მარტო იმ იშვიათი და უზუსტო გამოსახულებების მეშვეობით შეგვიძლია წარმოდგენის შექმნა, მინიატურებსა თუ ბეჭდებზე რომ არის შემორჩენილი, არამედ ჭაობებში ჩაფლული ვიკინგების გემებითაც. მათ გადარჩენას ნორვეგიელთა წესს უნდა ვუმაღლოდეთ, რომლის მიხედვითაც ვიკინგები თავიანთ ბელადს მის საბრძოლო ხომალთან ერთად ასაფლავებდნენ.

შუა საუკუნეების დროინდელი ზღვაოსნები, ძირითადად, ხმელეთის გასწვრივ დაცურავდნენ, თუკი, რა თქმა უნდა, საიდუმლოებით მოცულ იმ ნაოსნობებს არ ჩავთვლით, გრელანდიისა და ჩრდილოეთ ამერიკის ნაპირებისაკენ რომ ეწყობოდა. რუკები არ არსებობდა, ხოლო ე.წ. პეიტინგერის ტაბულები საგზაო ნომენკლატურა – მხოლოდ დასახელებულ ადგილთა უბრალო ჩამოთვლა იყო. საზღვაო რუკა პირველად 1270 წელს, საფრანგეთის მეფე ლუდვიკო მეცხრეს (1226-1270 წწ.) საზღვაო ლაშქრობასთან დაკავშირებით იხსენიება. მეთოთხმეტე საუკუნეში მეზღვაურები რუკები რეჟულარულად სარგებლობდნენ რუკებით. უფრო სწორად, სანაოსნო გამოსადეგი სივრცეების მაჩვენებლებით. ასტროლაბს ადრეულ შუა საუკუნეებშიც იცნობდნენ, მაგრამ მხოლოდ ასტრონომიული დაკვირვებებისათვის იყენებდნენ; ნავიგაციაში მისი გამოყენება გაცილებით გვიან, მეთექვსმეტე საუკუნეში დაიწყო. რაც შეეხება კომპასს, ევროპაში ის აღმოსავლეთიდან შემოვიდა, ალბათ, არაბების წყალობით. მისი არსებობის ამბავი მეთორმეტე საუკუნეშიც იცოდნენ, მაგრამ ფართო გავრცელება კომპასსმა მხოლოდ მეთოთხმეტე საუკუნიდან ჰპოვა. შუქურები შუა საუკუნეებმა რომაული ეპოქისგან მიიღო მემკვიდრეობად, თუმცა, ადრეულ შუა საუკუნეებში მათ ნირი იცვალეს და სხვა მნიშვნელობა შეიძინეს.



შუა საუკუნეები ტრანსპორტის მხრივ ძალიან მოიკოჭლებდნენ და, შესაბამისად, ინფორმაციის მიწოდებაც ნელა და არა-ზუსტად ხდებოდა. რომაული იმპერიის მიერ მოწესრიგებული საფოსტო სისტემა იმპერიასთან ერთად გაქრა. რაღა თქმა უნდა, ადრეული შუა საუკუნეების მეფეები დროდადრო მაინც უგზავნიდნენ წერილებს თავიანთ მამებს უგზავნიდნენ წერილებს თავიანთ მამებს თუ მეზობლებს, ამიტომაც არსებობდა კანცლარიები ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში. მთლიანად არც პირადი მიმოწერა შემწყვდარა: მაგალითად, ცნობილია, რომ კარლოს დიდმა გამოსცა სპეციალური კანონი, რის საფუძველზეც მონახუნებს სასიყვარულო წერილების გაგზავნა ეკრძალებოდა.

ინფორმაციის მიწოდებას (ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებაც კი) თვეები სჭირდებოდა. 1189 წლის ივნისში, მესამე ჯვაროსნულ ლაშქრობაში გამგზავრებულმა იმპერატორმა ფრიდრიხ ბარბაროსამ პირველი წერილი 19 ნოემბერს გამოგზავნა ადრიანოპოლიდან; ეს წერილი მისმა ვაჟიშვილმა და მემკვიდრემ, ჰენრიხმა, მხოლოდ მომდევნო წლის მარტში მიიღო. ხოლო 1190 წლის 10 ივნისს, კილიკიაში, მთის მდინარე საღეფაში ფრიდრიხის დახრჩობის ამბავმა გერმანიაში ოთხი თუ ხუთი თვის შემდეგ ჩააღწია.

საფოსტო კავშირის განვითარებას საყოველთაო უწიგნურობაც უშლიდა ხელს. დაგვიანებული, არაზუსტი ინფორმაცია, წიგნების სიმცირე და სიძვირე – ყველაფერი ეს ადამიანთა მიერ წარმოსახული სამყაროს ფარგლებს ავიწროებდა. მართალია, ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა ევროპელთათვის სამყარო ისევე გააფართოვა მაგრამ, ეს მაინც დროებითი იყო. მეთორმეტე საუკუნეში მცხოვრები ფრანგისა თუ ინგლისელებისათვის არა მარტო ბაღდადი, კონსტანტინოპოლიც ზღაპრული

ქალაქი იყო, ხოლო ინდოეთი და აფრიკა სულაც მითიურ ქვეყნებად მოიანზრებოდა. წარმოდგენები კოსმოსისა და დედამიწის შორეული საზღვრების შესახებ არა დაკვირვების, არამედ წიგნებისა და ზეპირი გადმოცემების საფუძველზე იქმნებოდა, საყოველთაო, ეკლესიის მიერ ნაკარნახევი და სახელმწიფოს მიერ დაცული ნორმების მექანიზმით.

და მაინც, მაშინაც იყვნენ ადამიანები, რომელთაც ვერავითარი დაბრკოლება და ხიფათი ვერ ააღებინებდა ხელს უცხო ქვეყნებში მოხვედრის განზრახვაზე. ერთ-ერთი ასეთი გაბედული მოგზაური გახლდათ ვენეციელი ვაჭარი მარკო პოლო, რომელმაც XIII საუკუნის მიწურულში თითქმის მთელი ქვეყანა შემოიარა. ხმელეთით მან ჩინეთის ზღვაამდე მიაღწია, აქეთობისას ხომალდით ჩაუარა ინდოეთს. და აი, მის მიერ ნანახი საკვირველებაც:

შუა საუკუნეების აღმოსავლეთი ევროპელთათვის წარმოადგენდა სიმდიდრისა და დახვეწილი ფუფუნების სიმბოლოს. ცხოვრების დონე იქ, თითქმის XVIII ს-ის დასასრულამდე გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე დასავლეთ ევროპაში, ხოლო ქალაქები თავისი სიდიდით გაცილებით აღემატებოდა ევროპულს. ლონდონში, პარიზში, ვენეციასა და ფლორენციაში – დასავლეთის ყველაზე დიდ ქალაქებში – XIII ს-ში ცხოვრობდა არა უმეტეს 100 ათასი კაცისა, მაშინ, როცა ჩინეთში უკვე XI ს-ში იყო ქალაქები, რომელთა მოსახლეობაც ნახევარი მილიონიდან მილიონამდე აღწევდა, ხოლო არაბულ აღმოსავლეთში 300-დან 400 ათას კაცამდე. ამიტომ სრულიად გასაგებია, რომ სახელგანთქმული ვენეციელი ვაჭარი, რომელმაც მრავალი წელი იცხოვრა ჩინეთში, შინ დაბრუნებისას, თანამემამულენი არ იჯერებდნენ მის მონათხრობს დიდ და ბრწყინვალე ქალაქების შესახებ, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ ფართო და სწორი გზებით, გზების გასწვრივ ხეივანებით, სასტუმროებით, სადაც

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



ბიზნესის ისტორიიდან

ყოველთვის 400-მდე ცხენი იყო გამზადებული, პურის ბედლები შესახებ, სადაც მარცვლეულს ინახავდნენ იმისათვის, რომ მოუსვავლიან წლებში იგი მოსახლეობას შორის დაერიგებინათ, გიგანტურ ბაზრებზე, რომლებიც ერთდროულად 50 ათასზე მეტ კაცს იტევდა. ყოველივე ეს იმდენად შორს იყო ტრადიციული ევროპული სინამდვილისაგან, რომ მოგზაურს ფანტაზიური უწოდეს და არ დაუჯერეს. ასე არ სჯეროდათ ოდესღაც ფინიკიელი და ბერძენი მეზღვაურებისა. ნანახ სასწაულებზე პოლომ მართალი წიგნი დაწერა, მაგრამ მაინც მატყუარობა დასწამეს.

როცა იგი კვდებოდა, მღვდელი არწმუნებდა:

- სიკვდილის წინ მაინც აღიარე, დაგმე შენს წიგნში დაწერილი სიცრუე.

მოხუცმა მარკომ კი მიუგო:
- რაც ვიცი, იმის ნახევარიც კი არ დამიწერია.

რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ფლორენციის ბანკის აგენტმა, იტალიელმა ბაღდუჩი პეგოლოტიმ მარკო პოლოს მიერ აღწერილი ადგილების გზამკვლევი შეადგინა.

მანამდე იქ ევროპელს ფეხი არ დაუდგამს და ახლა, უკვე, გაკვაღული გზით დაიდრა ვაჭართა ქარავნები - ასტრახანის, გურგანჯისა და ისიკ-ყულის ტბის გავლით და კიდევ უფრო იქით, გობის უდაბნოს გასწვრივ.

სამყარო ისევ გაფართოვდა...

რელიგიური მიზნებით კვლავაც მოგზაურობდნენ: ქრისტიანი მომლოცველები - იერუსალიმში, მუსულმანები - მექაში. რენესანსის ეპოქაში განვითარდა ვაჭრობა და ხელოსნობა, რამაც განაპირობა ცხოვრების დონისა და კულტურული მოთხოვნილებების მნიშვნელოვანი აღმავლობა. ამან, თავის მხრივ, ხელი შეუწყო მოგზაურობის განვითარებას.

ცნობილია, რომ ტურიზმის უმთავრეს კომონენტს "სტუმარმასპინძლობის" კულტურა და ხელოვნება წარმოადგენს. ცნება

"სტუმარმასპინძლობა" კი ისეთივე ძველია, როგორც თვითონ ცივილიზაცია.

ცივილიზაციის ერთ-ერთმა ფუნდამენტურმა ცნებამ - სტუმართმოყვარეობამ ანტიკური ეპოქიდან დაიწყო ჩამოყალიბება როგორც ინდუსტრიამ. მოგზაურთა განთავსების პირველი ობიექტები მოხსენებულია ჯერ კიდევ მანუსკრიპტებში, მათ შორის ბაბილონის მეფე ჰამურაბის კოდექსში (დაახლოებით 1700 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე). რესტორნები, ტავერნები, ღამის გასათევი სახლები აღმოჩენილია პომპეის გათხრებისას.

შუა საუკუნეებში ვაჭრობის განვითარებამ და მასთან დაკავშირებულმა მოგზაურობამ საჭირო გახადა მოგზაურთათვის დასასვენებელი ადგილების მოწყობა. იმის გამო, რომ იმ დროს გადაადგილება ხდებოდა ნელა, მოგზაურობა კი იყო ხანგრძლივი და დამქანცველი, გაჩნდა დასასვენებელი სახლების ტიპის შენობები, ისეთები, როგორიც, მაგალითად ძველ რომში იყო. ასეთ დასასვენებელ სახლებს ყველა მთავარ გზაზე აშენებდნენ. ისინი თავდაპირველად საკმაოდ მოუხერხებელი იყო და ნაკლებ კომფორტულობით გამოირჩეოდა. მაგალითად, შეძლებულ მოქალაქეთა პრივილეგიას წარმოადგენდა ნამძლეილი საწოლი, რომლის თავზედაც გაჭიმული იყო ფარდა. იგი მძინარეს იცავდა ბაღლინჯოების, ტარაკანების, რწყილებისა სხვა მწერებისაგან, რომლებიც ბლომად ფუთფუთებდნენ როგორც მდიდართა სასახლეებში, ისე ღარიბთა ქოხმახებში.

განსაკუთრებულ ფუფუნების საგნად ითვლებოდა ცალკე არსებული სააბაზანო ოთახი. იგივე შეიძლება ითქვას ვატერკლოზეტების (ტუალეტების) შესახებაც, რომელიც ინგლისელებმა XVI ს-ში გამოიგონეს. თავდაპირველად ტუალეტის ოთახი მეფის სასახლეში გამოჩნდა. რაც შეეხება მოქალაქეებს, მათი დიდი უმრავლესობა ღამის ქოთნებს პირდაპირ ქუნაში ღვრიდა.

სალონო ეპოქის ბიზნესი



სანიტარული ჰიგიენის დონე XVI-XVII საუკუნეების ევროპაში XV ს-თან შედარებით დაეცა კიდევ. თითქმის გაქრა საქალაქო საზოგადოებრივი აბანოები. ამის მიუხედავად იყო ახალი დაავადების გაერცვლება, რომელიც ამერიკიდან შემოიტანეს ევროპაში კონტინენტების პირველადმოჩენებმა.

საქართველოს გზაჯვარედინებზე უძველესი დროიდან ყოველი ერთი დღის საგალზე შენდებოდა სასტუმროს ტიპის სახლები. იყო შედარებით უფრო კეთილმოწყობილი სასტუმროებიც, რომლებსაც ქარვასლებს ან ფუნდუკებს უწოდებდნენ. აქ სასტუმრო ოთახების გარდა იყო დარბაზები, მდახიები, ღვინის სარდაფები, საწყობები, სახელოსნოები და და ეზოები ქარვასნის დასაყენებლად. თბილისის ერთ-ერთ ქარვასლაში თეატრი და ბიბლიოთეკაც კი ფუნქციონირებდა.

დროთა განმავლობაში "სტუმარმასპინძლობის" ინდუსტრია იხვეწებოდა და იცვლიდა როგორც სახეს, ასევე დანიშნულებასაც. მაგალითად, პირველი იღვა "საქმიანი ადამიანების სადილის" შესახებ ეკუთვნის რომელიმე მედუქნეს სეკშია ლაკამას. მონოტელედი ვაჭრები, მაკლერები და კლიენტები აღარ კარგავდნენ ძვირფას დროს სახლში სადილობისათვის, რადგან დუქანში გამართულ სადილზე ისინი აგრძელებდნენ საქმიან მოლაპარაკებებს და ხშირად მეტ წარმატებებსაც აღწევდნენ.

1788 წელს საფრანგეთის ქ. ნანტში, აშენდა ევროპაში პირველი სასტუმრო "ჰენრი IV-ის ოტელი" (60 საწოლი ადგილით), რომელიც იმ დროისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხა - 17500 დოლარი დაჯდა.

XVI ს-ში ინგლისში ჩამოყალიბდა ტაყერნები ღარიბებისთვის, ხოლო 1800 წლიდან ფრანგების მიბაძვით გაჩნდა პირველი რესტორნები მაღალი დონის მომსახურებით.

ადამიანების იმ ფენებს, რომლებიც სხვადასხვა მიზნებით მოგზაურობდნენ უცხო ქვეყნებში, XVIII საუკუნის მიწურულიდან ტურისტებს უწოდებდნენ. ვებსტერის ინგლისური ენის ლექსიკონში სიტყვა "ტურისტი" განმარტებულია, როგორც ადამიანი, რომელიც მოგზაურობს სიამოვნებისათვის ან შეშენების გაფართოებისათვის (one who makes a tour for pleasure or culture).

ტექნიკურმა პროგრესმა ხელი შეუწყო მასობრივი ტურიზმის განვითარებას. 1830 წელს მწყობრში ჩადგა მსოფლიოში პირველი რკინიგზა მანჩესტერსა და ლივერპულს შორის, რომელმაც პრინციპულად შეცვალა მოგზაურობის დროის ჩარჩოები. მოგზაურობები, რომელთაც ადრე მრავალი კვირა სჭირდებოდა, ახლა თითქმის ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა და მათი საფასურიც მნიშვნელოვნად შემცირდა. რკინიგზების მშენებლობა ყველა ქვეყანაში საოცარი ტემპებით მიმდინარეობდა.

თანამედროვე ტექნიკურმა საშუალებებმა არსებითად შეცვალა გადაადგილებისა და მოგზაურობის ხასიათი. ინგლისიდან საფრანგეთში ორგანიზებული ტურები ჯერ კიდევ 1815 წლიდან ხორცილდებოდა. ასეთი ტურების ინიციატორი და ორგანიზატორი იყო მწერალი და მოგზაური დ. გალინიანი. 1829 წელს პარიზში გამოვიდა მსოფლიოში პირველი გზამკვლევი მოგზაურთათვის, რომელიც მოამზადა და გამოსცა კ. ბაიდეკერმა. ეს გზამკვლევი დღესაც გამოიცემა და ევროპაში მოგზაურთა და ტურისტთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს.

სემოთქმულის მიუხედავად, ტურიზმის ისტორიკოსები და მკვლევარები, თანამედროვე ტურისტული მოძრაობის დამფუძნებლად თომას კუკს თვლიან.

თომას კუკი, ბაბტისტი პასტორი, რომელიც თანამედროვე ტურიზმის ფუძემდებლად ითვლება, პირველი ჩაწვდა მოგზაურობის

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



ბიზნესის ისტორიიდან

სადაც მკვიდრის

არსს და გაცნობიერა მასობრივი ორგანიზებული გადაადგილებების სარეზინობა. 1843 წელს მან მოაწყო პირველი სარკინიგზო ტური თავისი მრეწველისთვის, 1851 წელს კი შეკრიბა ქვეყნის ყველა პროვინციიდან ინგლისელების დიდი ჯგუფი პარიზში გამართულ საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობისათვის, სადაც ერთდროულად 165 ათასი ადამიანის ჩაყვანა მოახერხა. საგამოფენო ტურები საკმაოდ სარეზინო გამოდგა და კუკმა საქმიანობა შემდგომშიც გააგრძელა. შეიქმნა კუკის ტურისტული სააგენტო და მისი ფილიალები. თომას კუკის საქმიანობის წარმატების დასტურია 8000 სასტუმროსა და ოტელის კატალოგი, სადაც კუკი ტურისტებს განთავსებას სთავაზობდა. 1870 წელს ტურისტულ ფირმას – „თომას კუკი“ უკვე 500 ათასი ინგლისელი კლიენტი ჰყავდა.

ევროპასა და ამერიკას შორის პირველი სასომადლო მოგზაურობები 1832 წელს გაიხსნა და 1866 წელს კუკმა ამერიკაში ტურისტების ორი ჯგუფი ჩაიყვანა. ტურები გრძელვადიანი იყო და 5 თვე გრძელდებოდა. გამოჩენილ ამერიკელთა შორის, რომლებმაც თომას კუკის სააგენტოს მეშვეობით იმოგზაურა, იყო მარკ ტვენი, მან 60 ადამიანთან ერთად იმოგზაურა და შემდგომ დეტალურად აღწერა ეს მოგზაურობა. თომას კუკმა პირველმა წამოაყენა მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის იდეა 1872 წელს, რომლითაც მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის ინდუსტრიას ჩაუყარა საფუძველი. პირველმა 20 მოგზაურმა 220 დღის განმავლობაში იმოგზაურა მსოფლიოს გარშემო. კუკი 1892 წელს გარდაიცვალა და მისი საქმე მისმა შვილებმა კომპანიონებთან ერთად გააგრძელეს. კომპანიამ მნიშვნელოვნად გააფართოვა მოქმედების არეალი; ჩამოყალიბდა რა ფინანსურ ინსტიტუტად, დაიწყო მოგზაურთათვის საგზაო ჩეკების გამოშვება. ე.წ. „უსაფრთხო ფული“ თავისუფლად შეიძლება ჩათვლილი იყო საუკუნის გამოგონებად. დღეს კომპა-

ნი, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, 12000 ტურისტული სააგენტოს მფლობელია და 20 მლნ ტურისტს ემსახურება.³

ამ დროს ტურიზმი გულისხმობდა მხოლოდ სატრანსპორტო მომსახურებასა და განთავსებას. ტურიზმი ჯერ კიდევ არ იყო „განვითარებული სტუმარმასპინძლობის ინდუსტრია.“ იგი მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამდა.

ტურიზმი, თავისი დღევანდელი მდგომარეობით, ჩამოყალიბდა XIX-ის ბოლოს, ხოლო ინტენსიურ განვითარებას მხოლოდ XX-ის მეორე ნახევარში ტექნიკის, ტექნოლოგიებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების სწრაფი განვითარების ხანაში მიაღწია, რისთვისაც მას XX საუკუნის ფენომენი“ ეწოდა. დღეს ტურიზმი – ძლიერი მსოფლიო ინდუსტრიაა, რომელიც მსოფლიოს მილიანი პროდუქტის 10%-ს იკავებს, სადაც დასაქმებულია მომსახურეთა დიდი რაოდენობა და მოზიდულია ძირითადი საშუალებები და მსხვილი კაპიტალი. ეს არის მსხვილი ბიზნესი, დიდი ფული და გლობალური დონის სერიოზული პოლიტიკა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. იასტრებიცკაია, XI-XIII საუკუნეების დასავლეთ ევროპა ეპოქა, ყოფა, ჩაცმულობა, თბ., 1981, გვ. 29.
2. კ. აბულაძე, საქართველო დიდი ტურიზმის მილოდინში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის სახელმწიფო მართვისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რაიონის, „ხელისუფლება და საზოგადოება“, №1, 2006, გვ. 108.
3. ბ. ბიჭაკოვი, ტურიზმის თეორია, (წიგნი თარგმნა და ქართული მკითხველისათვის მოამზადა მ. მეტრეველმა), თბ., 2004, გვ. 13-14.



ვალუტის კურსი

**ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსები
2007 წლის 7 მარტის მდგომარეობით:**

კოდი	ვალუტის დასახელება	ერთეულის რაოდენობა	ოფიციალური გაცვლითი კურსი
BGN	ბულგარული ლევი	1	1.1480
DKK	დანიური კრონი	1	0.3014
EUR	ევრო	1	2.2447
GBP	დიდი ბრიტანეთის გირვანქა		
	სტერლინგი	1	3.2953
ISK	ისლანდიური კრონი	10	0.2500
CSD	სერბიული დინარი	100	2.7621
NOK	ნორვეგიული კრონი	1	0.2748
PLN	პოლონური ზლოტი	1	0.5757
ROL	რუმინული ლეი	10000	0.6629
HUF	უნგრული ფორინტი	100	0.8887
SEK	შვედური კრონი	1	0.2418
CHF	შვეიცარიული ფრანკი	1	1.4010
CZK	ჩეხური კრონა	1	0.0799
CYP	კვიპროსული გირვანქა	1	3.8784
USD	აშშ დოლარი	1	1.7100
CAD	კანადური დოლარი	1	1.4522
AUD	ავსტრალიური დოლარი	1	1.3241
EGP	ეგვიპტური გირვანქა	1	0.3004
TRY	თურქული ლირა	1	1.1921
JPY	იაპონური იენი	10	0.1468
AED	არაბეთის გაერთიანებული საემიროების ლირჰამი	1	0.4657
IRR	ირანული რიალი	1000	0.1852
ILS	ისრაელის შეკეელი	1	0.4049
SGD	სინგაპურული დოლარი	1	1.1187
KWD	ქუვეითური დინარი	1	5.9137
CNY	ჩინური იუანი	1	0.2208
HKD	ჰონ-კონგური დოლარი	1	0.2188
INR	ინდური რუპია	1	0.0384
NZD	ახალ ზელანდიური დოლარი	1	1.1626
RUB	რუსული რუბლი	1	0.0652
AZM	აზერბაიჯანული მანათი	1	1.9691
BYR	ბელორუსული რუბლი	1000	0.7974
EEK	ესტონური კრონი	10	1.4349
TMM	თურქმენული მანათი	1000	0.3288

ახალი ეკონომისტი



ჩვენი ავტორები

ახალი ეკონომისტი

- გორის ლავილავა** — ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.
- გიორგი მჭედლიშვილი** — ისტორიკოს-კულტუროლოგი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.
- დავით ნარმანა** — ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.
- უშანგი სამადაშვილი** — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.
- კობა სოხაძე** — ეკონომიკის დოქტორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი.
- ლელია ქადაგიშვილი** — ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი.
- ელენე ხარაბაძე** — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროგრამის სრული პროფესორი, საქართველოს დამოუკიდებელ ბუღალტერთა და აუდიტორთა კავშირის პრეზიდენტი.
- ლალი ხიხაძე** — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
- ელგუჯა სოკრიშვილი** — გერმანიის ქ. პოტსდამის უნივერსიტეტის დოქტორანტი.

ბაგოიფერეთ



ბაგოიფერეთ

ეკონომისტი

მეწარმეების, ბუღალტრების,
აუდიტორების, ეკონომისტების,
საგადასახადო ინსპექტორების
სამაგიდო ჟურნალი

ხელმოწერის ღირებულებაა:

- 3 თვე - 24ლარი
- 6 თვე - 48ლარი
- 9 თვე - 72ლარი
- 12 თვე - 96ლარი

ჩვენი რეკვიზიტებია:

თბილისი, ჯორჯაძის ქ. №5

ტელ.: 99-05-76/855 277-554

ელ.ფოსტა: karchava-1@myoffice.ge

ვებ.გვერდი: www.economisti.ge

შ.პ.ს. ტალინ

**მიტალე-პლასტმასის
ქარ-ფანჯრები**

პროფილები

ქმისპირები

ღაზბა-ღანადგობები

www.taia.ltd.ge

$\frac{36}{13}$

3-00

e-mail: taia.td@mail.r

28-28, 899 45-66-93, 898 25-97-70 · ქავთავის ქუჩა №1